ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ორშაბათი, 24 აგვისტო 1936 წ. № 196 (4695)

საბჭოთა ხალხის სიყვარული და ერთგულება თავისი დიდი ბელადისადმი უსაზღვროა და განუზომელი.

სტალინი—ეს გმირული ბრძოლაა და ვაჟკაცური გამარჯვება!

ჯალათური ბანდა, რომელმაც თავისი ბინძური ხელი აღმართა ისტორიის გმირთა-გმირის, დიდი სტალინისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლების წინააღმდეგ, თვითონ განადგურდა დაუზოგავად!

გაცოფებული ძაღლები უნდა დაიხვრიტონ!

ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ბანდის გასამართლება დასასრულს უახლოვდება. გუშინ სასამართლოში ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი, სსრ კავშირის პროკურორი ამხ. ვიშინსკი. ამ სიტყვამ შეაჯამა შედეგები სასამართლო გამოძიებისა, რომლის დროსაც ყურადღებით იყო განხილული და შემოწმებული საბრალდებლო დასკვნის ყველა პუნქტი. მტერს გასაქანი არა აქვს, იგი გაკრულია სამარცხვინო ბოძზე! სასწორზე ერთიერთმანეთს ემატებოდა კოშმარული ბოროტმოქმედებანი, ჩადენილნი ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ბანდის მიერ ტროცკისა და გერმანიის ფაშისტური ოხრანკის კარნახით. სრული ნათელი მოეფინა ბინძურ და სისხლიან საქმეს. მტერი ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას, დადგა პასუხისგების ჟამი.

დამტკიცებულია, — და ეს ბრალდებულებმაც აღიარეს, — რომ 1932—1936 წლების პერიოდში მოსკოვში დაარსდა და მოქმედებდა ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრი, რომელმაც თავის ამოცანად დაისახა, ძალაუფლების დაპყრობის მიზნით, ჩაედინა საკ. კ.პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მთელი რიგი საზიზღარი მკვლელობანი.

დამტკიცებულია,—და ეს ბრალდებულებმაც აღიარეს,—რომ ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ცენტრმა მოაწყო მთელი რიგი ტერორისტული ჯგუფები და მოამზადა პრაქტიკული ღონისძიებანი ამხ. სტალინის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, კიროვის, ჟდანოვის, ორჯონიკიძის, კოსიორისა და პოსტიშევის მოსაკლავად.

დამტკიცებულია, —და ეს ბრალდებულებმაც აღიარეს, —რომ ერთმა ამ ტერორისტულ ჯგუფთაგანმა, რომლებიც ზინოვიევისა და ტროცკის პირდაპირი მითითებებით მოქმედებდნენ, 1934 წლის 1 დეკემბერს განახორციელა ამხ. ს. მ. კიროვის ავაზაკური მკვლელობა.

მტერს დანაშაულზე წაასწრეს. ბრალდებულნი — ერთი მუჭა უბადრუკი, გაკოტრებული პოლიტიკური ავანტურისტები, ქურდებისა და კაცის მკვლელთა ბანდა—იძულებული გახდნენ აღიარებინათ, რომ ბრალდებანი და ფაქტები უდავოა, პროკურორის ანალიზი და დასკვნები სწორია.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის გასამართლება პოლიტიკური პროცესი როდია. საბრალდებლო სკამზე სხედან სისხლის სამართლის გამოუსწორებელი დამნაშავენი, ტროცკისტულ-ზინოვიევური „მალინის" ნაღები. უკვე მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს ძმაბიჭები თავისი საზიზღარი მიზნისათვის ხალხის ფულს იპარავდნენ, არკესების საჩით ხელს აფათურებდნენ სახელმწიფოს ჯიბეში, ყველაზე უკეთ ახასიათებს ზინოვიევის, კამენევისა და მისი კომპანიის „პოლიტიკურ" სახეს. ეს კომპანია ცდილობდა ხელთ ჩაეგდოთ ძალაუფლება ისე, რომ გადაევლო გვამების მთებზე, ხალხთა სისხლსა და ცრემლზე სურდა აეგო თავისი კეთილდღეობა.

სახელმწიფო ბრალმდებელმა თავის სიტყვაში სწორად და ამომწურავად განსაზღვრა ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის საშინაო და საგარეო „პროგრამა". საშინაო პოლიტიკა განისაზღვრება ერთი სიტყვით: მოკლულ იქნას. მოკლულ იქნას სტალინი, მოკლულ იქნას ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კიროვი, ჟდანოვი, კოსიორი, პოსტიშევი, ოღონდ გაძღნენ ძალაუფლებით. ოღონდ ამაღლდნენ მასაზე. განა ამ „პროგრამას" არ არის ამოფარებული ფაშიზმის საზიზღარი ღორული დინგი, განა ყოველივე ამას შმორისა და გახრწნის სუნი არ ასდის?

კიდევ უფრო სამარცხვინოა ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის საგარეო „პროგრამა". პორაჟენცობა, — აი რა ეწოდება ამ „პროგრამას". ეს იმას ნიშნავს, რომ ომის შემთხვევაში ტროცკისტები და ზინოვიეველები აიღებდნენ გეზს წითელი არმიის დამარცხებაზე, ინტერვენტების მიერ ჩვენი ქვეყნის განადგურებაზე. ბრალდებულმა რეინგოლდმა სასამართლოს აცნობა ის პოზიცია, რომელიც ზინოვიევს ამ საკითხში ეჭირა. 1931 წელს, როდესაც შორეულ აღმოსავლეთში ომის საფრთხე გაჩნდა, ზინოვიევმა რეინგოლდთან ლაპარაკში განაცხადა, რომ ისინი დგანან პორაჟენცობის ტროცკისტულ პოზიციაზე, რომ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობა უნდა დაემხოს, „თუგინდ შორეულ აღმოსავლეთში ერთი ნაკვეთის დაკარგვის ფასად".

აი, როგორ გამოიყურებიან მშრომელთა ინტერესების ეს „დამცველნი". ისინი მზად იყვნენ ნაფლეთ-ნაფლეთად ექციათ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მშვენიერი სამშობლო მხოლოდ იმიტომ, რომ ხელთ ეგდოთ ძალაუფლება. ამ მიზნისათვის ისინი მზად იყვნენ დაჰკავშირებოდნენ და მართლაც უკავშირდებოდნენ კიდეც — ვისაც გინდათ —ფაშისტურ ოხრანკას, ქურდებს, სისხლის სამართლის ყოველი ჯურის დამნაშავეებს. სწორედ ამით აიხსნება ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის ესოდენ მჭიდრო მეგობრობა გესტაპოსთან, ესოდენ მჭიდრო ერთობა მთელი მსოფლიოს პროვოკატორებსა და ოხრანიკებთან.

მკვლელთა არც მეთოდებია რთული. თვალთმაქცობა და შენიღბვა გამოცხადებული იყო მათი ტაქტიკური საქმიანობის სამღრთო პრინციპებად. ისინი მრავალჯერ ატყუებდნენ პარტიასა და მთავრობას, მრავალჯერ დახოხავდნენ მუხლებზე და პატიებას ითხოვდნენ, ლაპარაკობდნენ აღმგზნებ სიტყვებს და სწერდნენ ვრცელ სტატიებს გენერალური ხაზის დასაცავად. მაგრამ ყოველივე ეს იყო ნამდვილი მოტყუება და ჟულიკობა. გოლცმანის იდუმალ-ფსკერიანი ჩემოდანი, შიფრი „1001 ღამის" გვერდებზე, შესახვედრი ადგილები კონსპირაციულ ბინებზე და საიდუმლო შეხვედრები სედოვსა და ტროცკისთან ბერლინსა და კოპენჰაგენში, რევოლვერის სროლაში ვარჯიშობა მკვლელობის შესასრულებლად — ასეთია მათი აღიარებისა და მონანიების მეორე მხარე.

ამხ. ვიშინსკიმ, როდესაც იგი ბრალდებულთა პოლიტიკური და მორალური სახის შესახებ ლაპარაკობდა, მათ ცოფიანი ძაღლები უწოდა. ეს განსაზღვრა აბსოლუტურად სწორია. გაცოფებულ ძაღლებს დაუყოვნებლივ ხვრეტენ—ასეთია ცხოვრების საერთო წესი. ისინი არ უნდა სწამლავდნენ ჰაერს თავისი მყრალი სუნთქვით, სატუსაღით ვერ შეანელებთ მათს გაავებას და ვერ შეამცირებთ მათს მავნებლობას. შხამიანი ნერწყვი საშიშია ნორმალური ადამიანის სიცოცხლისათვის. რაც შეიძლება ჩქარა მოვიშოროთ ეს ძაღლები, ეს გაცოფებული ქოფაკები — აი საბჭოთა ხალხის ნებასურვილი და მოთხოვნა.

სახალხო მრისხანების ტალღები ყოველ წუთს, ყოველ საათს ზვირთდებიან. მოსკოვში ყოველი მხრიდან მოედინება ნაკადი მრისხანე რეზოლუციებისა, მშრომელთა დაჟინებული მოთხოვნისა — დაიხვრიტონ შეჩვენებული მკვლელნი. ჩვენი ქვეყანა განიცდის საყოველთაო-სახალხო მრისხანების დღეებს. საბჭოთა ხალხი რკინის კედლად არის შემჭიდროვებული თავისი დიდი ბელადის, ამხანაგი სტალინის გარშემო, სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გარშემო.

— სტალინის სიცოცხლე ხალხს ეკუთვნის. სტალინი ჩვენი ბელადია, ჩვენი მზე, ჩვენი სიხარული, ჩვენი ბედნიერება. ისინი, ვინც ხელს აღმართავს ჩვენი ბელადების წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ უნდა მოისპონ. დაიხვრიტოს ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის უკლებლივ ყველა მონაწილე—ასეთია მშრომელთა მილიონების ერთსულოვანი მოთხოვნა, ასეთია ხალხის განაჩენი.

ხალხის ხმა მრისხანე გაფრთხილებაა ყველა იმ არამზადისათვის, რომლებიც კიდევ ოცნებობენ, ან მოისურვებენ იოცნებონ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე. მათ ავიწყდებათ, რომ საქმე აქვთ საბჭოთა ქვეყანასთან, სადაც ძალაუფლების საკითხი სწყდება არა მაქინაციებით კულისების იქით, არამედ მთელი ხალხის მიერ. ბელადებს აყენებს ხალხი, მათი სიცოცხლე ხალხს ეკუთვნის. მათ არ გააჩნიათ სხვა მიზანი და ამოცანა, გარდა ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისა და აყვავებისა. ვაი მას, ვინც ხელს აღმართავს ჩვენი ბელადების სიცოცხლის წინააღმდეგ! საბჭოთა ხალხი მყისვე თავს გაუჭეჭყავს ასეთ ქვეწარმავალს!

სიფხიზლე, თვალმოუხუჭავი ბოლშევიკური სიფხიზლე, მტრის გამოცნობის უნარი, როგორიც უნდა ინიღბებოდეს იგი, — აი რა მოეთხოვება ყოველ საბჭოთა მოქალაქეს და, პირველ რიგში, კომუნისტს. სასამართლო პროცესი, რომელზედაც ლაპარაკი გვაქვს, ბევრს რასმე გვასწავლის. ძალაში რჩება ამხანაგი სტალინის გაფრთხილებანი, რომ კიდევ შეიძლება გამოცოცხლდნენ და ამოძრავდნენ განადგურებული კაპიტალისტური კლასების ნარჩენები, ტროცკისტთა და მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ჯგუფების ნარჩენები. ფხიზლად უნდა ვიყოთ და თოფის წამალი მშრალად ვიქონიოთ.

რაც შეეხება შეპყრობილ და გამოაშკარავებულ მტრებს, რომლებიც ეხლა საბრალმდებლო სკამზე სხედან, აქ დასკვნა ერთია:

— ცოფიანი ძაღლები უნდა დაიხვრიტონ!

„პრავდის" მოწინავე 23/VIII.

რუსთაველის თეატრი მოსკოვში

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 22 აგვისტო. რუსთაველის თეატრის გასტროლები დიდი წარმატებით მიდის. დღეს გაიმართება მესამე საგასტროლო წარმოდგენა. ყველა ბილეთი გაყიდულია.

მოსკოვის საზოგადოება მხურვალედ ესალმება ქართველ მსახიობებს. მაყურებლები ხანგრძლივი ტაშით აჯილდოვებენ შემსრულებლებს და რეჟისორებს. დღევანდელი „იზვესტია" აღნიშნავს, რომ პიესა „არსენას" მასალაზე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ შექმნა ნამდვილად ხალხური სპექტაკლი. „ვეჩერნაია მოსკვა" დღეს ბეჭდავს ა. ვასაძის, ა. ხორავას, გ. დავითაშვილის პორტრეტებს და მათი სასცენო გზის აწერას.

განაჩენი

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის სახელით.

სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე ამხ. ვ. ვ. ულრიხი,
წევრები: სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილენი კორპუსის სამხედრო იურისტი ამხ. ი. ო. მატულევიჩი და დივიზიის სამხედრო იურისტი ამხ. ი. ტ. ნიკიტჩენკო

1-ლი რანგის სამხედრო იურისტის ამხ. კოსტიუშკოს მდივნობით, სახელმწიფო ბრალმდებლის სსრ კავშირის პროკურორის—ამხ. ა. ი. ვიშინსკის მონაწილეობით

ქალაქ მოსკოვში 1936 წლის 19—24 აგვისტოს სასამართლოს ღია სხდომაზე განიხილა საქმე, რომლის გამო ბრალი ედებათ:

1. **გრიგორი ევსეევის-ძე ზინოვიევს**, დაბადებულს 1883 წელს, მოსამსახურეს, რომელსაც 1935 წლის 16 იანვარს ზინოვიეველთა „მოსკოვის ცენტრის" საქმის გამო რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—58—8 მუხლის ძალით მისჯილი ჰქონდა 10 წლის პატიმრობა;

2. **ლევ ბორისის-ძე კამენევს**, დაბადებულს 1883 წელს, მოსამსახურეს, რომელსაც 1935 წლის 16 იანვარს ზინოვიეველთა „მოსკოვის ცენტრის" საქმის გამო რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—58—8 მუხლის ძალით მისჯილი ჰქონდა 5 წლის პატიმრობა, ხოლო 1935 წლის 27 ივლისს რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—58—8 მუხლის ძალით ხელმეორედ მისჯა 10 წლის პატიმრობა;

3. **გრიგორი ერემიას-ძე ევდოკიმოვს**, დაბადებულს 1884 წელს, მოსამსახურეს, რომელსაც 1935 წლის 16 იანვარს ზინოვიეველთა „მოსკოვის ცენტრის" საქმის გამო რუსეთის სფსრ 17—58—8 მუხლის ძალით მისჯილი ჰქონდა 8 წლის პატიმრობა;

4. **ივანე პეტრეს-ძე ბაკაევს**, დაბადებულს 1887 წელს, მოსამსახურეს, რომელსაც 1935 წლის 16 იანვარს ზინოვიეველთა „მოსკოვის ცენტრის" საქმის გამო რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—58—8 მუხლის ძალით მისჯილი ჰქონდა 8 წლის პატიმრობა;

5. **სერგეი ვიტალის-ძე მრაჩკოვსკის**, დაბადებულს 1883 წელს, მოსამსახურეს;

6. **ვაღარშაკ არუთიუნის-ძე ტერ-ვაგანიანს**, დაბადებულს 1893 წელს, მოსამსახურეს;

7. **ივანე ნიკიტას-ძე სმირნოვს**, დაბადებულს 1880 წელს, მოსამსახურეს;

ყველა შვიდივეს რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58—8 და 58—11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი.

8. **ეფიმ ალექსანდრეს-ძე დრეიცერს**, დაბადებულს 1894 წელს, მოსამსახურეს;

9. **ისააკ ისაიას-ძე რეინგოლდს**, დაბადებულს 1897 წელს, მოსამსახურეს;

10. **რიჩარდ ვიტოლდის-ძე პიკელს**, დაბადებულს 1896 წელს, მოსამსახურეს;

11. **ედუარდ სოლომონის-ძე გოლცმანს**, დაბადებულს 1882 წელს, მოსამსახურეს;

12. **ფრიც დავიდს**, იგივე ილია—დავით ისრაილის-ძე **კრუგლიანსკის**, დაბადებულს 1897 წელს, მოსამსახურეს;

13. **ვალენტინ პავლის-ძე ოლბერგს**, დაბადებულს 1907 წელს, მოსამსახურეს;

14. **კონონ ბორისის-ძე**, იგივე **ალექსანდრე თომას-ძე ბერმან-იურინს**, დაბადებულს 1901 წელს, მოსამსახურეს;

15. **მოსე ილიას-ძე ლურიეს**, იგივე ალექსანდრე **ემელს**, დაბადებულს 1897 წელს, მოსამსახურეს;

16. **ნათან ლაზარეს-ძე ლურიეს**, დაბადებულს 1901 წელს, მოსამსახურეს;

ყველას რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—58—8 და 58—11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი.

წინასწარი და სასამართლო კვლევა-ძიებით გამორკვეულია:

1932 წლის შემოდგომას, **ლ. ტროცკის** დირექტივით, რომელიც მიიღო ტროცკისტული არალეგალობის ხელმძღვანელმა სსრ კავშირში **ი. ნ. სმირნოვმა**, მოხდა გაერთიანება ტროცკისტული და ზინოვიევური არალეგალური კონტრრევოლუციური ჯგუფებისა, რომლებმაც მოაწყეს „გაერთიანებული ცენტრი" შემდეგი შემადგენლობით: **ზინოვიევი, კამენევი, ევდოკიმოვი და ბაკაევი** (ზინოვიეველებისაგან) და **სმირნოვი, ტერ-ვაგანიანი და მრაჩკოვსკი** (ტროცკისტებისაგან).

ამ კონტრრევოლუციური ჯგუფების გაერთიანება მიღწეულ იქნა საკ. კ.პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ ინდივიდუალური ტერორის გამოყენების საფუძველზე.

ტროცკისტებმა და ზინოვიეველებმა **ტროცკის** პირდაპირი მითითებით, რომელიც „გაერთიანებულმა ცენტრმა" მიიღო ბრალდებულების **სმირნოვის, გოლცმანისა და დრეიცერის** საშუალებით, დროის ამ პერიოდში (1932—1936 წ. წ.) მთელი თავისი მტრული საქმიანობა საბჭოთა მთავრობისა და საკ. კ.პ. (ბ) წინააღმდეგ მათ ხელმძღვანელებზე ტერორის მოსაწყობად მიმართეს.

სასამართლომ გამოარკვია, რომ „გაერთიანებულმა ცენტრმა" **ლ. ტროცკისა და ზინოვიევის** პირდაპირი მითითებით ლენინგრადის ზინოვიეველთა **ნიკოლაევის-კოტოლინოვის** არალეგალური ტერორისტული ჯგუფის საშუალებით მოაწყო და 1934 წლის 1 დეკემბერს განახორციელა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრის ამხ. **სერგეი მირონის-ძე კიროვის** ავაზაკური მკვლელობა.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრი არ დასჯერდა ამხ. კიროვის მოკვლას და მოამზადა მთელი რიგი ტერორისტული აქტები ამხანაგების **სტალინის, ვოროშილოვის, ჟდანოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის, კოსიორისა და პოსტიშევის** წინააღმდეგ.

სასამართლოს კვლევა-ძიების მასალებითა და ბრალდებულ **ზინოვიევისა, კამენევისა, ევდოკიმოვისა, ბაკაევისა, მრაჩკოვსკისა და დრეიცერის** აღიარებებით გამორკვეულია, რომ **ლ. ტროცკი** საზღვარგარეთიდან და **ზინოვიევი** ჩვენი ქვეყნის შიგნით გამალებით აჩქარებდნენ ამხ. **ს. მ. კიროვის** მოკვლის მომზადებას. ამხ. **ს. მ. კიროვის** მოკვლის დასაჩქარებლად 1934 წ. ივნისში **კამენევი** ტროცკისტულ-ზინოვიევური გაერთიანებული ცენტრის დავალებით წავიდა ლენინგრადს, სადაც ამ ტერორისტული აქტის მოწყობის შესახებ ამხ. კიროვის წინააღმდეგ მოლაპარაკებას აწარმოებდა ლენინგრადის ერთ-ერთი ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელ **იაკოვლევთან**, რომლის საქმის წარმოებაც ცალკეა გამოყოფილი.

სასამართლოს მიერ დადგენილია აგრეთვე, რომ „გაერთიანებული ცენტრის" დავალებით, ბრალდებული ბაკაევი 1934 წლის ნოემბერში სპეციალურად წავიდა ლენინგრადს იმის შესამოწმებლად, მომზადებულია თუ არა ლენინგრადის ტერორისტული ჯგუფი **ნიკოლაევ-კოტოლინოვისა** ამხ. **კიროვის** მოკვლის მოსახდენად. ლენინგრადის ამ ტერორისტული ჯგუფის წევრთა კონსპირატიულ კრებაზე **ბაკაევმა** მოისმინა ამხ. **კიროვის მკვლელის—ლეონიდე ნიკოლაევის** მოხსენება და ტროცკისტულ-ზინოვიევური გაერთიანებული ცენტრის სახელით მისცა მას და მის თანამონაწილეთ მთელი რიგი პრაქტიკული მითითებანი **ს. მ. კიროვის** მოკვლის მოწყობის შესახებ. ამ მითითებათა შესაბამისად განახორციელეს ლ. ნიკოლაევმა და მისმა თანამონაწილეებმა 1934 წლის 1 დეკემბერს ამხ. **ს. მ. კიროვის** ავაზაკური მკვლელობა.

სასამართლომ გამოარკვია აგრეთვე, რომ 1934 წ. ბრალდებულნი **ბაკაევი, რეინგოლდი და დრეიცერი**, „გაერთიანებული ცენტრის" გადაწყვეტილების შესაბამისად ორჯერ ცდილობდნენ მოეხდინათ თავდასხმა ამხანაგ **სტალინზე**.

„გაერთიანებული ცენტრის" მიერ დასახული ტერორისტული აქტების უფრო წარმატებით განხორციელების მიზნით მან 1933 წელს მოსკოვში მოაწყო ე. წ. „მოსკოვის ტერორისტული ცენტრი" ბრალდებულ **რეინგოლდისა, პიკელისა და დრეიცერის** შემადგენლობით „გაერთიანებული ცენტრის" წევრ ბრალდებულ **ბაკაევის** უშუალო ხელმძღვანელობით.

„გაერთიანებულმა ცენტრმა" დაავალა ბრალდებულ ბაკაევს პრაქტიკულად მოემზადებინა ამხ. **სტალინის და კიროვის** მკვლელობის განხორციელება, „მოსკოვის ტერორისტული ცენტრის" წევრს ბრალდებულ **დრეიცერს** კი დაავალა ტერორისტული აქტის ორგანიზაცია ამხ. **ვოროშილოვის** წინააღმდეგ.

ლ. ტროცკი არ კმაყოფილდებოდა „გაერთიანებული ცენტრის" უშუალო ხელმძღვანელობით მთელი რიგი ტერორისტული აქტების მოწყობას საბჭოთა სახელმწიფოს და საკ. კ.პ. (ბ)-ს ხელმძღვანელთა წინააღმდეგ და 1932—1936 წლების განმავლობაში სისტემატურად ჰგზავნიდა იმავე მიზნით საზღვარგარეთიდან სსრ კავშირში მთელ რიგ ტერორისტებს.

1932 წლის ნოემბერში **ლ. ტროცკიმ** გამოგზავნა სსრ კავშირში **ბერმან-იურინი და ფრიც დავიდი**, ამასთანავე წამოსვლის წინ მათ პირადად **ტროცკიმ** მისცა ინსტრუქცია ამხ. **სტალინის** მკვლელობის ორგანიზაციის შესახებ.

იმავე 1932 წელს **ლ. ტროცკიმ** გამოგზავნა ბერლინიდან მოსკოვში ტერორისტი ნათან ლურიე. **ნათან ლურიე** მაშინ მოსკოვში უცხოეთის სპეციალისტის სახით მცხოვრებ გესტაპოს აგენტ და ჰიმლერის (გესტაპოს ახლანდელი ხელმძღვანელი) რწმუნებულ პირ **ფრანც ვაიცთან** ერთად ამზადებდა თავდასხმას ამხ. **სტალინისა, ვოროშილოვისა, კაგანოვიჩისა და ორჯონიკიძის** მოსაკლავად.

1932—1933 წლის ზამთარში, ფრანც ვაიცის მოსკოვიდან წასვლის შემდეგ **ნათან ლურიე** თავისი ტერორისტული ჯგუფით განაგრძობდა ამ ტერორისტული აქტების მომზადებას 1933 წლის მარტში ბერლინიდან მოსკოვს ჩამოსულ ბრალდებულ **მოსე ლურიესთან** ერთად, რომელმაც აგრეთვე **ტროცკისაგან** მიიღო დავალება ტერორისტული აქტების დაჩქარების შესახებ საბჭოთა ხელისუფლებისა და საკ. კ.პ. (ბ) ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

1934 წელს **ნათან ლურიე**, ჩელიაბსტროიზე ყოფნის დროს ცდილობდა მოეხდინა თავდასხმა ამხ. **კაგანოვიჩსა და ორჯონიკიძეზე**. დასასრულ იგივე **ნათან ლურიე** 1936 წლის 1 მაისს **მოსე ლურიეს** დავალებითა და მასთან წინასწარი შეთანხმებით ცდილობდა თავდასხმა მოეხდინა ამხ. **ჟდანოვზე** პირველი მაისის დემონსტრაციის დროს ლენინგრადში.

1935 წლის ზაფხულში **ლ. ტროცკიმ** თავის შვილ **ლ. სედოვის** საშუალებით გამოგზავნა გერმანიიდან სსრ კავშირში ტერორისტი **ვ. ოლბერგი**, რომელმაც გამოიყენა **გონდურასის** რესპუბლიკის ქვეშევრდომის ფიქტიური პასპორტი. ეს პასპორტი **ვ. ოლბერგმა** შეიძინა გერმანიის საიდუმლო პოლიციის გესტაპოს დახმარებით, მან **ლ. ტროცკისაგან** მისი შვილის პირით წინასწარი თანხმობა მიიღო გამოეყენებინა ამ საქმეში გერმანიის საიდუმლო პოლიციის დახმარება.

ვ. ოლბერგი სსრ კავშირში ჩამოსვლის შემდეგ დაუკავშირდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ტერორისტულ ჯგუფს ქ. გორკიში და მოამზადა მთელი რიგი ტერორისტები, რომელთაც ტერორისტული აქტი უნდა მოეხდინათ 1936 წლის პირველ მაისს მოსკოვში წითელ მოედანზე საბჭოთა მთავრობისა და საკ. კ. პ. (ბ)-ს ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

სასამართლოს კვლევაძიებით გამორკვეულია აგრეთვე, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრი ტერორისტული აქტების მომზადებასთან ერთად ამხ. **სტალინის, ვოროშილოვის, ჟდანოვის, კაგანოვიჩისა და ორჯონიკიძის** წინააღმდეგ ამზადებდა ტერორისტულ აქტებს ამხ. **კოსიორისა და პოსტიშევის** წინააღმდეგ უკრაინული ტერორისტული ჯგუფის საშუალებით, რომელიც მოქმედებდა ტროცკისტ **მუხინის** ხელმძღვანელობით და რომლის საქმეც გამოყოფილია განსაკუთრებული წარმოებისათვის.

ამგვარად დადგენილია დანაშაული:

1. **გ. ე. ზინოვიევისა**
2. **ლ. ბ. კამენევისა**
3. **გ. ე. ევდოკიმოვისა**
4. **ი. პ. ბაკაევისა**
5. **ს. ვ. მრაჩკოვსკისა**
6. **ვ. ა. ტერ-ვაგანიანისა**
7. **ი. ნ. სმირნოვისა**

მასში, რომ მათ:

ა) მოაწყვეს გაერთიანებული ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრი საბჭოთა მთავრობისა და საკ. კ.პ.(ბ) ხელმძღვანელთა მკვლელობის მოსახდენად;

ბ) მოამზადეს და განახორციელეს ამხ. **ს. მ. კიროვის** ავაზაკური მკვლელობა 1934 წლის პირველ დეკემბერს **ნიკოლაევის კოტოლინოვისა** და სხვათა ლენინგრადის არალეგალური ტერორისტული ჯგუფის საშუალებით, რომელნიც მსჯავრდადებულნი არიან 1934 წლის 29 დეკემბერს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ.

გ) მოაწყეს მთელი რიგი ტერორისტული ჯგუფები, რომელნიც ამზადებდნენ ამხ. **სტალინისა, ვოროშილოვისა, ჟდანოვისა, კაგანოვიჩისა, ორჯონიკიძისა, კოსიორისა და პოსტიშევის** მკვლელობას.

ე. ი. ისეთ დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია რ.ს.ფ.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის **58-8** და 58-11 მუხლებით

8. **ე. ა. დრეიცერისა**
9. **ი. ი. რეინგოლდისა**
10. **რ. ვ. პიკელისა**
11. **ე. ს. გოლცმანისა**
12. **ფრიც დავიდისა (ილია—დავიდ იზრაილის-ძე კრუგლიანსკისა)**
13. **ვ. პ. ოლბერგისა**
14. **კ. ბ. ბერმან-იურინისა**
15. **მ. ი. ლურიესი (ალექსანდრე ემელისა)**
16. **ნ. ლ. ლურიესი**

მასში, რომ ისინი იყვნენ არალეგალური კონტრრევოლუციური ტერორისტული ტროცკისტულ-ზინოვიევური ორგანიზაციის წევრები, იყვნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ამხ. **სტალინის, ვოროშილოვის, ჟდანოვის, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის, კოსიორისა და პოსტიშევის** მკვლელობის მომზადების აქტიური მონაწილენი,—

ე. ი. ისეთ დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია რ.ს.ფ.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის 19-58-8 და 58-11 მუხლებით.

მოხსენებულის საფუძველზე და იხელმძღვანელა რა რ.ს.ფ.ს.რ. სისხლის სამართლის — პროცესუალური კოდექსის 319 და 320 მუხლებით, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ **მიუსაჯა**:

1. **გრიგოლ ევსეევის-ძე ზინოვიევს,**
2. **ლევ ბორისის-ძე კამენევს,**
3. **გრიგორი ერემიას-ძე ევდოკიმოვს,**
4. **ივანე პეტრეს-ძე ბაკაევს,**
5. **სერგეი ვიტალის-ძე მრაჩკოვსკის,**
6. **ვაღარშაკ არუთიუნის-ძე ტერ-ვაგანიანს,**
7. **ივანე ნიკიტას-ძე სმირნოვს,**
8. **ეფიმ ალექსანდრეს-ძე დრეიცერს,**
9. **ისაკ ისაიას-ძე რეინგოლდს,**
10. **რიჩარდ ვიტოლდის-ძე პიკელს,**
11. **ედუარდ სოლომონის-ძე გოლცმანს,**
12. **ფრიც დავიდს, — ილია—დავიდ ისრაილის-ძე — კრუგლიანსკის,**
13. **ვალენტინ პავლეს-ძე ოლბერგს,**
14. **კონონ ბორისის-ძე ბერმან-იურინს,**
15. **მოსე ილიას-ძე ლურიეს—ალექსანდრე ემელს,**
16. **ნათან ლაზარეს-ძე ლურიეს—**

ყველას სასჯელის უმაღლესი ზომა — **დახვრეტა**, მთელი მათი პირადი ქონების კონფისკაციით.

ამჟამად საზღვარგარეთ მყოფნი **ლევ დავიდის-ძე ტროცკი** და მისი შვილი **ლევ ლევის-ძე სედოვი**,—რომლებიც მხილებული არიან ბრალდებულების — **ი. ნ. სმირნოვის, ე. ს. გოლცმანის, დრეიცერის, ვ. ოლბერგის, ფრიც დავიდისა** (ი. ი. კრუგლიანსკის) და **ბერმან-იურინის** ჩვენებით და ამ საქმის მასალით იმაში, რომ ისინი უშუალოდ ამზადებდნენ და პირადად ხელმძღვანელობდნენ ტერორისტული აქტების ორგანიზაციას საბჭოთა კავშირში სკპ(ბ) და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელების წინააღმდეგ, — იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილნი იქნებიან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ უნდა იქნან და გადაეცნენ საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას.

თავმჯდომარე—სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე არმიის სამხედრო იურისტი: ვ. ულრიხი

წევრები—სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილენი:

კორპუსის სამხედრო იურისტი: ი. მატულევიჩი

დივიზიის სამხედრო იურისტი: ი. ნიკიტჩენკო

სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ესპანეთში

ესპანეთის სამხედრო სამინისტროს კომუნიკე

მადრიდი, 22 აგვისტო. ფავრის სააგენტო გადმოგვცემს: „სამხედრო სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ესტრემადურის ფრონტზე მდგომარეობა კვლავ უმჯობესდება რესპუბლიკური ჯარების წარმატებულ შეტევითს მოქმედებასთან დაკავშირებით. მთავრობის კოლონამ, რომელიც ხერესიდან გავიდა, გაიარა მეამბოხების მიერ დაკავებული ტერიტორია ბადახოსის პროვინციაში და მთელი რიგი პუნქტები წაართვა მეამბოხეებს. კოლონამ სამხედრო ნადავლი ჩაიგდო ხელში.

დანარჩენ ფრონტებზე გრძელდება მთავრობის ჯარების წინსვლა". (ადს).

◇ ◇ ◇

სიერა გვადარამის რაიონის ფრონტზე

სიერა-გვადარამა, 18 აგვისტო. (საკ.დეპ. სააგ. სპეც. კორ.) ფრანგი და ამერიკელი ჟურნალისტების ჯგუფთან ერთად მოვიარე ფრონტი ჰოიანი მასივის სიერა-გვადარამის რაიონში. ჟურნალისტებს ახლდნენ სოციალისტი დეპუტატები კაბალიერო და ვაიო.

სიერა-გვადარამას რკალისებური მასივი იცავს მადრიდს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით და ჰყოფს მას მეამბოხეთა დიდი ცენტრებისაგან - ბურგოსისა, სეგოვიისა, გრანხისა და სხვებისგან. მრავალი გამაგრებული პოზიცია არის აგებული მასივის პუნქტებში, რომელნიც ბატონობენ მთის გასასვლელებზე, მადრიდისაკენ, რომ ხსნიან გზას. თვითეულ პოზიციას იცავენ ჯარების განაყოფები, რომელთაც აქ კოლონას ეძახიან. სამხედრო მოქმედებათა საერთო სარდლობა გენერალი რაკელმეს ხელშია.

პარიდის დე ბუიტრაგოსკენ პოზიციის გზაზე, რომელიც დაახლოებით 80 კილომეტრით არის დაშორებული დედაქალაქს, გვხვდება პატარა სოფლები, რომლებზედაც ფრიალებს რესპუბლიკური და წითელი დროშები. შეიარაღებული გლეხები და სოფლის მეურნეობის მუშები განაგრძობენ მოსავლის აღებას, მიუხედავად სამოქალაქო ომისა, რომელიც ანადგურებს მათ მინდვრებს. ამბობენ, მეამბოხეების მიერ დაკავებულ რაიონებში სოფლის მეურნეობის მუშები უარს ამბობენ მოსავლის აღებაზე, ვინაიდან არ სურთ პურით მოამარაგონ ფაშისტები. მრავალ მათგანს ამის გამო სიცოცხლეს ასალმებენ.

გზის ორივე მხარეს ერთმანეთს მისდევენ ავტომობილები, საბარგო ავტომანქანები და ოთხთვალიები, რომელთაც გადააქვთ შეიარაღებული ჯარისკაცები და ეზიდებიან საომარ მასალას, და სურსათს. მათ მისდევენ წითელი ჯვრის ოთხთვალები. გავიარეთ პარადეს დე ბუიტრაგო და შევნიშნეთ, რომ შევედით მეამბოხეთა ავიაციის სამოქმედო რაიონში. მთავრობის ძალების შტაბი პარადის დე ბუიტრაგოს პოზიციებზე მოთავსებულია დაახლოებით მეამბოხეთა ფრონტიდან ერთი კილომეტრის მანძილზე. მოწინააღმდეგეთა ავანპოსტები დაშორებულია ერთმანეთს არა უმეტეს 200 მეტრი მანძილისა, მთავრობის რეგულარული არმიის პოდპოლკოვნიკი როსალი—სოციალისტური პარტიის წევრი—მეთაურობს აქ მომქმედ კოლონას.

შემდეგ ვინახულეთ სომოსიერას პროვინციაში. დროდადრო მეამბოხენი პოზიციას სროლას აუტეხდნენ ხოლმე არტილერიით. ამბობენ, მტრის ყუმბარები ძალიან ხშირად არ სკდებიან. რესპუბლიკური თვითმფრინავები თითქმის ყოველ დილას ახდენენ გაფრენას მტრის პოზიციებზე და საფრთხეს უქმნიან მეამბოხეთა კავშირს ბურგოსთან.

გერმანული ფლოტის მოძრაობა ესპანეთის წყლებში

ბერლინი, 22 აგვისტო. გერმანული საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანული სამხედრო ფლოტის შემდგომ მოძრაობას ესპანეთის წყლებში. ჯავშნოსანი „ადმირალი შეერი" და საესკადრო ნაღმოსნები „ლუქსი" და „ლეოპარდი" გერმანულ გემ „კამერუნთან" მომხდარ ინციდენტს შემდეგ აწარმოებენ „ვაჭრობის დაცვას" მალაგას რაიონში გიბრალტარიდან წმინდა ვინცენტის კონცხამდე.

ჯავშნოსანი „დოიჩლანდი" და საესკადრო ნაღმოსნები „კონდორი" და „მევე" მომავალშიც რჩებიან ესპანეთის ხმელთაშუა ზღვის ნავთსადგურებში ლტოლვილთა დასაცავად და გადასაყვანად.

კრეისერი „კიოლნი" და საესკადრო ნაღმოსნები „ალბატროსი" და „ზეეადლერი" მომავალშიც რჩებიან ბისკაის უბის ესპანეთის ნავსადგურებთან. (ადს).

◇ ◇ ◇

ესპანეთის მთავრობის დეკრეტის განხილვა

ლონდონი, 22 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს მიერ ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ინგლისის მთავრობა განაგრძობს ესპანეთის მთავრობასთან ესპანეთის მთავრობის 9 აგვისტოს ამ დეკრეტის განხილვას, რომელიც აცხადებს ესპანეთის სანაპიროს ზოგ რაიონთა ბლოკადას.

ესპანეთის მთავრობამ, განაგრძობს სააგენტო, აცნობა ახლა ინგლისის მთავრობას, რომ მას არა აქვს განზრახვა გაჩხრიკოს ინგლისის გემები ღია ზღვაზე.

არაოფიციალური ცნობების თანახმად, ინგლისის მთავრობამ არ იცის გერმანული გემის „კამერუნის" ინციდენტი სამილიან ზონის ფარგლებში მოხდა, თუ ამ ზონის გარეთ. ინგლისის მთავრობას არ მიუღია იმ ცნობების დადასტურება, რომელთა თანახმადაც გერმანიის პოზიცია ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხში დამოკიდებულია „კამერუნის" ინციდენტის დამაკმაყოფილებელ მოგვარებაზე.

◇ ◇ ◇

გასწორება

„კომუნისტის" 23 აგვისტოს ნომერში მოთავსებულ „პრავდის" მოწინავის მეორე სვეტის მეექვსე აბზაცში მეორე წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე: „ფაშისტური ოხრანკის აგენტები დაჭერილი არიან ტროცკ-ზინოვიევურ აგენტებთან ერთად ერთ დანაშაულებრივ საქმეზე".

ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პროცესი

სახელმწიფო ბრალმდებლის სსრ კავშირის პროკურორის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ამხანაგო წევრნო!

სამი დღის განმავლობაში თქვენ მთელი გულმოდგინებით და ყურადღებით გამოიკვლიეთ სახელმწიფო ბრალდების მიერ წარმოდგენილი მამხილებელი და დამამტკიცებელი საბუთები, მიმართული იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომელნიც აქ საბრალმდებლო სკამზე სხედან და რომელთაც ჰბრალდებათ უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულთა ჩადენა.

მთელი შესაძლო გულმოდგინებით გამოიკვლიეთ თქვენ და სასამართლოს წესით შეამოწმეთ თვითეული ეს დამამტკიცებელი საბუთი, თვითეული ფაქტი, თვითეული მოვლენა, თვითეული ნაბიჯი ბრალდებულებისა, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ერთ ბოროტმოქმედებას მეორეზე აგებდნენ თავიანთ ბრძოლაში საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ.

შემზარავი და საშინელია ამ ბოროტმოქმედებათა ჯაჭვი, რომლებიც მიმართულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ, იმ ბოროტმოქმედებათა, რომელთაგან თვითეული ღირსია უმკაცრესად სასტიკი მსჯავრისა, უმკაცრესად მკაცრი სასჯელისა. შემზარავი და საშინელია დანაშაული ამ ბოროტმოქმედთა და მკვლელთა, რომლებმაც აღმართეს ხელი ჩვენი პარტიის ხელმძღვანელების წინააღმდეგ, ამხანაგების — სტალინის, ვოროშილოვის, ჟდანოვის, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის, კოსიორისა და პოსტიშევის წინააღმდეგ, ჩვენი ხელმძღვანელების, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელების წინააღმდეგ. საშინელია დანაშაული ადამიანთა ამ ბანდისა, რომლებმაც არამარტო მოამზადეს ტერორისტული აქტები, არამედ მოჰკლეს კიდეც მუშათა კლასის ერთერთი საუკეთესო შვილი, სოციალიზმის საქმის ერთერთი ურთგულესი ადამიანი, დიდი სტალინის ერთერთი უსაყვარლესი მოწაფე, პროლეტარული რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი, დაუვიწყარი სერგეი მირონის-ძე კიროვი.

მაგრამ რა შემზარავიც უნდა იყოს ეს ბოროტმოქმედებანი და რა ღრმადაც უნდა ვიყოთ ყველანი აღელვებულნი და აღშფოთებულნი ამ კოშმარული და შემზარავი დანაშაულით, — თქვენ, ამხანაგო მოსამართლენო, როგორც ეს საბჭოთა სასამართლოს და საბჭოთა მართლმსაჯულებას შეჰფერის, უდიდესი დამშვიდებით ასწონ-დასწონიდით ხოლმე და აფასებდით ამ ფაქტებს, რომლებიც თქვენს თვალწინ განვლო, ფაქტებს, რომლებიც დაკავშირებულია იმ ადამიანთა დანაშაულებრივ საქმიანობასთან, რომელთა სახელები უკვე დიდი ხანია დაღდასმულია ხალხის საერთო ზიზღით, ხალხის საერთო შეჩვენებით.

ჩვენ ახლა მივუახლოვდით ჩვენი სასამართლო პროცესის დასასრულს. ჩვენ ვაჯამებთ მის უკანასკნელ შედეგებს. ჩვენ ვაკეთებთ უკანასკნელ დასკვნებს და ვემზადებით იმისათვის, რომ, შეიძლება, რამდენიმე საათის შემდეგ მოვისმინოთ თქვენი განაჩენი, — განაჩენი საბჭოთა ქვეყნის სასამართლოსი, იმ ქვეყნისა, რომელიც თქვენგან მოითხოვს და მოელის, რომ სამართლიანად, გაბედულად და ულმობელი სიმკაცრით გადასწყვიტოთ ამ ადამიანების, ამ საზიზღარი მკვლელების, საბჭოთა მიწა-წყლის, საბჭოთა ხალხის ამ სულმდაბალი და თავხედი მტრების ბედი.

ჩვენ ვაშენებთ ახალ სოციალისტურ საზოგადოებას, ახალ საბჭოთა სახელმწიფოს კლასობრივი ბრძოლის მძიმე პირობებში, ისეთ პირობებში, როცა სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევენ ჩვენს მიერ განადგურებული და უფსკრულში შთანთქმული ექსპლოატატორთა კლასების უკანასკნელი ნაშთები.

ჩვენი წინსვლის თვითეული ნაბიჯი დაკავშირებულია იმ მტრების გააფთრებულ წინააღმდეგობასთან, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებენ ძველი სამყაროს მთელს ძალებს, ძველი საზოგადოების მთელს სიბინძურეს, მთელს ნაგავს, და რომლებიც რაზმავენ და ჩვენთან საბრძოლველად გზავნიან ყველაზე დანაშაულებრივს, ყველაზე თავხედ-ხელაღებულ, ყველაზე დრომოჭმულ და გახრწნილ უპატიოსნო ელემენტებს.

ლენინი გვასწავლიდა, რომ, „ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი ღრმა და მძლავრი სახალხო მოძრაობა, რომ მას ბინძური ქაფი არ მოჰყოლოდა“*), რომ ბურჟუაზიის და წვრილბურჟუაზიული სტიქიის არ ეწარმოებინოს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; იგი მოქმედებდა არა მარტო სავინკოვების, გოცების, გეგეჭკორების, კორნილოვების მეთოდებით, შეთქმულებებითა და აჯანყებებით, სიცრუისა და ცილისწამების ნიაღვრით, არამედ იყენებდა გახრწნის ყველა და ყოველგვარ ელემენტებს, და მზად იყო ჩაედინათ ყველა და ყოველგვარი ბინძური და სამარცხვინო ბოროტმოქმედებანი.

ამხანაგი სტალინი გვაფრთხილებდა: „მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების ზრდა გააძლიერებს მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი კვდებიან და სულს ღაფავენ, ისინი თავდასხმების ერთი ფორმიდან გადავლენ თავდასხმების სხვა, უფრო მწვავე ფორმაზე, მიმართავენ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს და დარაზმავენ მათ საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. არ არის ისეთი სასაძაგლო და ცილისწამება, რომელიც ამ ყოფილმა ადამიანებმა არ მიაწერონ საბჭოთა ხელისუფლებას და რომლის გარშემოც არ შეეცადონ ჩამორჩენილი ელემენტების მობილიზაციას. ამ ნიადაგზე შეიძლება გამოცოცხლდნენ და ამოძრავდნენ ძველი კონტრრევოლუციური პარტიების, ესერების, მენშევიკების, ცენტრის და განაპირა მხარეების ბურჟუაზიული ნაციონალისტების დამარცხებული ჯგუფები, შეიძლება გამოცოცხლდნენ და ამოძრავდნენ კონტრრევოლუციური ოპოზიციური ელემენტების ნამსხვრევები ტროცკისტების და მემარჯვენე უკლონისტების წრიდან. ეს, რასაკვირველია, საშიში არ არის. მაგრამ ყოველივე ეს მხედველობაში უნდა გვქონდეს, თუ გვსურს ამ ელემენტებს ბოლო მოვუღოთ სწრაფად და რაიმე საგრძნობი მსხვერპლის გაუღებლად“**).

სამი წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა არა მარტო იწინასწარმეტყველა, რომ სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები აუცილებლად წინააღმდეგობას გაუწევენ სოციალიზმის საქმეს, არამედ იწინასწარმეტყველა ტროცკისტული კონტრრევოლუციური ჯგუფების გამოცოცხლების შესაძლებლობაც. ამ პროცესმა მთლიანად და მკაფიოდ დაადასტურა ამ წინასწარმეტყველების მთელი გენიალობა.

ამ პროცესმა, რომლის „გმირებმა“ თავისი ბედი დაუკავშირეს ფაშისტებს, პოლიციური ოხრანკების აგენტებს, რომლის „გმირები“ არავითარ საშუალებას არ თაკილობენ და თვალთმაქცობისა და მოტყუების ჰერკულესის ბჯენებამდე მიდიოდნენ, და რომლის „გმირებმა“ ვერაგობა და გამცემლობა სისტემად, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ თავისი ბრძოლის კანონად გაიხადეს, ამ პროცესმა ბოლომდე გამოააშკარავა და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რა დიდი და უსაზღვროა ჩვენი მტრების გაბოროტება და სიძულვილი სოციალიზმის დიადი საქმისადმი, პროცესმა გვიჩვენა, რა უბადრუკნი არიან ეს მტრები, რომლებიც აქეთ-იქით ეხეთქებიან და ერთი დანაშაულიდან მეორეში ვარდებიან. ერთი მუჭა საზიზღარი, უბადრუკი, უძლური გამცემლები და მკვლელები ფიქრობდნენ თავისი ბინძური დანაშაულობით შეეჩერებინა ჩვენი დიადი ხალხის მძლავრი გულისცემა! ერთი მუჭა საზიზღარი, უბადრუკი ავანტიურისტები ცდილობდნენ ბინძური ფეხებით გაეთელათ საუკეთესო კეთილსურნელოვანი ყვავილები ჩვენს სოციალისტურ ბაღში.

კაპიტალიზმის ეს გალოთებული ძაღლები ცდილობდნენ ნაკუწ-ნაკუწად ექციათ ჩვენი საბჭოთა მიწა-წყლის უკეთესთა შორის უკეთესი ადამიანები. მათ მოგვიკლეს ჩვენი ერთერთი საუკეთესო ადამიანი რევოლუციისა, შესანიშნავი და საუცხოო ადამიანი, ნათელი და ხალისიანი, როგორც ყოველთვის ნათელი და ხალისიანი იყო მის ბაგეზე ღიმილი, როგორც ნათელი და ხალისიანია ჩვენი ახალი ცხოვრება. მათ მოჰკლეს ჩვენი კიროვი, მათ ჭრილობა მოგვაყენეს გულთან ახლოს. ისინი ფიქრობდნენ შეშფოთება და არეულობა შეეტანათ ჩვენს რიგებში...

1934 წლის 1 დეკემბრის მუხანათური გასროლისათვის მთელმა ჩვენმა ქვეყანამ მკვლელებს ერთსულოვანი ყველა-კრულვით უპასუხა. მთელი ჩვენი ქვეყანა — მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანები შეირხნენ და ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი სიმჭიდროვე და ერთობა, თავისი ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის დიადი დროშისადმი. საბჭოთა ქვეყანა რკინის ფარივით კედლად დაუდგა თავისი ბელადების, თავისი ხელმძღვანელების დასაცავად, რომელთა თვითეული ღერი თმისათვის ბოროტმოქმედი უგუნურნი საკუთარი თავით აგებენ პასუხს.

ჩვენი პარტიისა, მისი ცენტრალური კომიტეტისა, ჩვენი სტალინისა და მის სახელოვან თანამებრძოლთადმი მშრომელთა მილიონიანი მასების ამ უსაზღვრო სიყვარულშია, ხალხის ამ განუზომელ სიყვარულშია გამცემლებისა, მკვლელებისა და ბანდიტებისაგან ჩვენი ბელადების, ჩვენი ქვეყნისა და პარტიის ხელმძღვანელების დაცვა-დაფარვის მთელი ძალა!

ჰყვავის, გულმხიარულად იზრდება ჩვენი დიადი სამშობლო. ურიცხვ კოლმეურნეობებში ოქროდ ბზინავს უხვ თავთავდაყრილი პური, მთელი მკერდით სუნთქავენ ათასობით ახალი სოციალისტური სტახანოვური ფაბრიკები და ქარხნები. ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის შეთანხმებულად და ჩინებულად მუშაობენ რკინიგზები, რომელთა თვალუწვდენელ ბრწყინვალე ფოლადის ლენტებზე კიდით-კიდემდე დაჰქრიან კრივონოსული მატარებლები და მარშრუტები. მშობლიური საზღვრების სადარაჯოზე სალდღესავით შეურყევლად, ხალხის სიყვარულით გარემოცული დგას წითელი არმია. ჩვენთვის და ყველა მათთვის, ვინც ალსავსეა შვილის სიყვარულით თავისი დიდი სამშობლოსადმი, ძვირფასი და ახლობელია შესანიშნავ ბოლშევიკთა, ჩვენი სახელმწიფოს დაუღალავ და უნიჭიერეს მშენებელთა — სერგო ორჯონიკიძის, კლიმ ვოროშილოვის, ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის, უკრაინის ბოლშევიკთა ხელმძღვანელების კოსიორისა და პოსტიშევის, ლენინგრადის ბოლშევიკთა ხელმძღვანელის — ჟდანოვის საყვარელი სახელები.

მთელ მსოფლიოში მშრომელნი სწორუპოვარი დიადი სიყვარულით წარმოსთქვამენ სსრ კავშირის ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელს!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით და სტალინის მეთაურობით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა იარაღი და საწარმოო საშუალებანი ჩამოართვა კაპიტალისტებს, მოსპო კაპიტალისტური სისტემა, რომელიც ემყარებოდა კერძო საკუთრებას, ექსპლოატაციას, სიღატაკესა და მონობას.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ხალხებმა განახორციელეს ჩვენი ქვეყნის დიადი ინდუსტრიალიზაცია, გააათკეცეს მისი საწარმოო საშუალებანი, გაამრავლეს მისი ნაციონალური სიმდიდრენი, და ამით შექმნეს პირობები საბჭოთა სოციალისტური ქვეყნის ყველა მშრომელის ბედნიერი და სამეფო ცხოვრებისათვის.

სოციალიზმის გამარჯვება უწინარეს ყოვლისა გამარჯვებაა ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიისა, მისი ლენინურ-სტალინური გენერალური ხაზისა, მისი ლენინურ-სტალინური ხელმძღვანელობისა, მისი ცენტრალური კომიტეტისა დიდი სტალინის მეთაურობით.

ამ გამარჯვებათა საფუძველზე შექმნილია ყველა მშრომელთა ურღვევი კავშირი სოციალიზმის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, შექმნილი და განმტკიცებულია სსრ კავშირის ყველა ხალხთა კავშირი და მეგობრობა სოციალიზმის მშენებლობისათვის, ჩვენი მტრებისგან, სოციალიზმის მტრებისგან თავდაცვისათვის. ამ გამარჯვებებმა მკვეთრად შეცვალეს მთელი სახე ჩვენი ქვეყნისა, რომელიც სამეურნეო და კულტურული განვითარების გაუგონარ სიმაღლეზეა აყვანილი. ამ გამარჯვებებმა სსრ კავშირის მუშათა კლასს მოუტანა მატერიალური კეთილდღეობის უდიდესი გაუმჯობესება. უმუშევრობა უკვე მრავალი წლის წინათ მოისპო, შემოღებულია შვიდსაათიანი სამუშაო დღე, რომლის წინააღმდეგ ბრალდებულთა სკამზე მსხდომი „გმირები“ მუდამ შეუპოვრად და გამცემლურად იბრძოდნენ. ჩვენმა ქვეყანამ ახალი, ნამდვილი ადამიანური სოციალისტური კულტურის განვითარებისა და აყვავების დარგში მოიპოვა უმაღლესი წარმატებანი, რომელთა მიღწევა არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ შეიძლება.

ამ გამარჯვებებმა მთელ ჩვენს ქვეყანას, თვითეულ მუშასა და კოლმეურნეს, მოსამსახურესა და ინტელიგენტს შეძლებული და ნათელი ცხოვრება შეუქმნა.

ამ გამარჯვებებშია საწინდარი მთელი საბჭოთა ხალხის ერთობისა ჩვენს მთავრობასთან, ჩვენს პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტთან.

და განა ხალხთა მასების ამ ურყევ, ნამდვილ ერთობას და დიდი სტალინის გარშემო, ჩვენი ც. კ-ის გარშემო, ჩვენი საბჭოთა მთავრობის გარშემო შემჭიდროვებას საუკეთესოდ არ ამტკიცებს ფაბრიკა-ქარხნების, ტრანსპორტის, ბამბისა და ჭარხლის მინდვრების, მეცხოველეობის მოწინავეთა, კომბაინერთა და ტრაქტორისტთა, სტახანოველთა და კრივონოსელთა მასობრივი სახალხო თათბირები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან, რაც მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი! ეს ნამდვილი საბჭოთა ჭეშმარიტი დემოკრატიზმის გამოხატულებაა!

და განა ამ ერთობას ნათლად არ ამტკიცებს ის მძლავრი ტალღები ხალხის მრისხანებისა საზიზღარ კაცისმკვლელთა წინააღმდეგ, რომლებიც ამჟამად ჩვენს ქვეყანაში კიდით-კიდემდე გრგვინავენ!

---

*) ლენინი: „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ ტ. XXII, გვ. 457.

**) სტალინი: „ლენინიზმის საკითხები“, ქართული თარგმანი გვ. 603.

1. ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრი საზიზღარი ტერორისტების ბანდაა

სასამართლო პროცესის წინა დღეებში ეს ვაჟბატონები ცდილობდნენ მიეღოთ „კეთილშობილი“ სახე. ისინი, ყოველ შემთხვევაში მათი მეთაურები, ერთგვარი თავმოწონებით ლაპარაკობდნენ თავისი ტერორისტული შეთქმულების შესახებ: ისინი მოსურნე იყვნენ და მოელოდნენ, რომ პოლიტიკურ კვალიფიკაციას მისცემდნენ მათს დანაშაულს. ისინი ლაპარაკობდნენ პოლიტიკურ ბრძოლაზე, რაღაც პოლიტიკურ შეთანხმებებზე რომელიღაც ვითომდა პოლიტიკურ პარტიებთან. და თუმცა მათ აღიარეს, რომ სინამდვილეში არ ჰქონიათ არავითარი პოლიტიკური პლატფორმა, რომ არც გრძნობდნენ რაიმე პლატფორმის შექმნის საჭიროებას, ვინაიდან, მათი საკუთარი აღიარებით, ეს პლატფორმა შეიძლება დაიწეროს ერთი ხელის მოსმით, ორიოდე საათის განმავლობაში, — ისინი მაინც ცდილობდნენ ეთამაშნათ ნამდვილი პოლიტიკოსების როლი. ისინი ყოველნაირად ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს იღვწიან რაღაც [illegible] და [illegible], მაგრამ მაინც პოლიტიკურ პოზიციებზე. ეს ცდები არის ცრუ დაფარვა მათი პოლიტიკური სიცარიელისა და უიდეობისა.

და როდესაც ისინი ლაპარაკობდნენ მუშათა კლასის ინტერესებზე, ხალხის ინტერესებზე, როცა ისინი ილაპარაკებენ ამაზე თავის დასაცავ სიტყვებში და ბრალდებულთა უკანასკნელ სიტყვებში, — ისინი იცრუებენ, როგორც ცრუობდნენ აქამდე, როგორც ცრუობენ ამჟამად, ვინაიდან ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ერთადერთ სახალხო პოლიტიკას, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკას, ჩვენს საბჭოთა პოლიტიკას. მატყუარები და მასხარები, არარა პიგმეები, ფინიები და გოშპარები, რომლებიც სპილოს უყეფენ, — აი რას წარმოადგენს ეს კომპანია!

მაგრამ მათ ემარჯვებათ იარაღის ჩხარება და ეს სახიფათოა საზოგადოებისათვის. ეს გარემოება განსაკუთრებულ და მეტად სერიოზულ [illegible] მოითხოვს მათს წინააღმდეგ. მათი ჯაჭვით დაბმა საჭიროა. მათ წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნას ბრძოლის უფრო გადამწყვეტი და რადიკალური ზომები. არა პოლიტიკოსები, არამედ ბანდა კაცისმკვლელთა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა, ქურდებისა, რომელნიც ცდილობდნენ დაეტაცნათ სახელმწიფო დოვლათი, — აი რას წარმოადგენს ეს კომპანია.

ეს ვაჟბატონები აღიარებდნენ, რომ არავითარი პროგრამა არ ჰქონიათ, მაგრამ რაღაც „პროგრამა“ მათ ჰქონდათ. მათ ჰქონდათ პროგრამა საშინაო პოლიტიკისა და საგარეო პოლიტიკისაც. საშინაო პოლიტიკა მათს პროგრამაში ერთი სიტყვით განისაზღვრებოდა — მოკვლა. მართალია, ისინი აჩვენებებს ილაპარაკონ არა მკვლელობაზე, არამედ ტერორზე. მაგრამ საგანს თავისი სახელი უნდა ეწოდოს. ამ ვაჟბატონებმა მკვლელობა აირჩიეს ხელისუფლებისათვის ბრძოლის საშუალებად, ისინი იძულებული იყვნენ ეს აქ ცინიკურად და აშკარად აღეარებინათ.

რანაირად ათავსებდნენ ეს ვაჟბატონები თავის ბრჭყალებში ჩასმულ „მარქსიზმს“ ტერორისა და ტერორისტული საქმიანობის ქადაგებასთან? — არანაირად! ამ ადამიანებს ხომ ოდესღაც თავი მარქსისტებად მიაჩნდათ! ალბათ, ბრალდებული ზინოვიევი ამჟამადაც მარქსისტად სთვლის თავს. მან აქ სთქვა, არ შეიძლება მარქსიზმის შეთავსება ტერორთან, მაგრამ მარქსიზმს შეუძლიან განმარტოს, თუ როგორ მივედით ისინი ტერორამდე.

იმის შესახებ, თუ როგორ ათავსებენ ისინი ერთმანეთთან მარქსიზმს და ტერორისა და ტერორისტული საქმიანობის ქადაგებას, მე აქ პროცესზე შევეკითხე ბრალდებულ რეინგოლდს. მან სთქვა: „კამენევთან 1932 წელს, ტროცკისტულ-ზინოვიევური გაერთიანებული ცენტრის მთელი რიგი წევრების თანადასწრებით, ზინოვიევმა ტერორის გამოყენების საჭიროება იმით დაასაბუთა, რომ, თუმცა ტერორი შეუთავსებელია მარქსიზმთან, მაგრამ ამ მომენტში ეს მოსაზრება უკუგდებულ უნდა იქნას. ამჟამად არ არსებობს ბრძოლის სხვა მეთოდი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან. სტალინი აერთიანებს პარტიული ხელმძღვანელობის მთელ ძალასა და სიმტკიცეს, ამიტომ პირველ რიგში სტალინი უნდა მოვიშოროთ“. აი პასუხი, აშკარა ცინიკური, თავხედური, მაგრამ სავსებით ლოგიკური. აი ზინოვიევის მთელი ახალი „ეპოქის ფილოსოფია“.

რეინგოლდი ამბობს: „კამენევი იმავე თეორიას ანვითარებდა, როდესაც ლაპარაკობდა, რომ ბრძოლის წინანდელი მეთოდები — მასების დაპყრობა, ხელდაჭერებში მოჰახრაკებული კომბინაციები მემარჯვენეებთან, სამეურნეო სიძნელეების გამოყენება — ჩაიშალა. ამიტომ ბრძოლის ერთადერთი მეთოდი არის ტერორი, ტერორისტული მოქმედებანი სტალინისა და მის უახლოეს თანამებრძოლთა — ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის, კოსიორის, პოსტიშევის, ჟდანოვის წინააღმდეგ“.

ეს გულახდილად და თავხედურად არის ნათქვამი, მაგრამ იმავე დროს ლოგიკურია კლასთან ბრძოლის ლოგიკის თვალსაზრისით, ჩვენი მტრის ლოგიკის თვალსაზრისით, მტრისა, რომელიც სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ იბრძვის. უმასებოდ, მასების წინააღმდეგ, მაგრამ ძალაუფლებისათვის ბრძოლა, რაც უნდა დაჯდეს. პირადი ძალაუფლების წყურვილი — აი მთელი იდეოლოგია ამ კომპანიისა, რომელიც ბრალდებულთა სკამზე ზის.

ამ ადამიანთა მთელი ცინიკური უპრინციპობა გულახდილად გვიჩვენა აქ კამენევმა. სასამართლოს თავის ახსნა-განმარტებაში, რომ ახლა, მან სთქვა, თუ როგორ და რა ბაზაზე მოეწყო ეს ტერორისტული შეთქმულება, როგორც მან უწოდა.

„მე, — ამბობს კამენევი, — იმ დასკვნამდე მივედი, რომ პარტიის პოლიტიკამ, მისი ხელმძღვანელობის პოლიტიკამ გაიმარჯვა იმ ერთადერთი აზრით, რომლითაც შესაძლებელია სოციალიზმის პოლიტიკური გამარჯვება, რომ ეს პოლიტიკა აღიარებულია მშრომელი მასების მიერ“.

ეს განცხადება შესანიშნავია თავისი უპრინციპობითაც და თავხედური ცინიზმითაც: სწორედ იმიტომ, რომ „პარტიის პოლიტიკამ გაიმარჯვა“, ისინი აწარმოებდნენ ბრძოლას მისი ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

„აგრეთვე დამარცხდა ჩვენი გზა, — ამბობს კამენევი, — აღებული იმისაკენ, რომ შესაძლებელია პარტიაში მოხდეს განხეთქილება. დაგვრჩა ორი გზა: ან პატიოსნად და მთლიანად შეგვეწყვიტა ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ ანდა გაგვეგრძო იგი, მაგრამ უკვე ისე, რომ არ გვქონოდა იმედი რაიმე მასობრივი დახმარებისა, არ გვქონოდა პოლიტიკური პლატფორმა, ე. ი. ინდივიდუალური ტერორის გზით. ჩვენ ავირჩიეთ მეორე გზა.

ბრალდებული კამენევი უფრო თანამიმდევარი უნდა ყოფილიყო: თუ პირველ გზას მან უწოდა ბრძოლაზე პატიოსნად ხელის აღების გზა, მეორე გზა უნდა დაეხასიათებინა, როგორც უპატიოსნო საშუალებებით უპატიოსნო ბრძოლის გზა.

მან აღიარა: „ჩვენ ავირჩიეთ ეს მეორე გზა; ამასთან ჩვენ გვამოძრავებდა უსაზღვრო გაბოროტება პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და წყურვილი ხელისუფლებისა, რომელთანაც ჩვენ ერთ დროს ახლოს ვიდექით და რომლიდანაც გადაგვისროლა ისტორიული განვითარების მსვლელობამ“.

ბრალდებული ზინოვიევი ამბობს: „1932 წლის დამლევისათვის აშკარა გახდა, რომ ჩვენი იმედები არ გამართლდა... ფაქტი იყო ის, რომ პარტიის გენერალური ხაზი იმარჯვებს. აქ, — ამბობს ზინოვიევი, — მთელი სიცხადით იჩინა თავი სრულმა უპრინციპობამ და უიდეობამ, რომლებმაც მიგვიყვანეს ჩვენ ხელისუფლებისათვის გაშიშვლებულ და უპრინციპო ბრძოლამდე“ (საქმე ტ. XII, ს. ფ. 34).

ამის შემდეგ შეიძლება თუ არა ლაპარაკი ამ ადამიანებთან რაიმე პოლიტიკურ ენაზე? განა ჩვენ უფლება არა გვაქვს ველაპარაკოთ ამ ადამიანებს მხოლოდ ერთი ენით, სისხლის სამართლის კოდექსის ენით, და ვუყუროთ მათ როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს, როგორც წირვაგამოსულ და გამოუსწორებელ მკვლელებს?

ასეთია მათი „პროგრამა“, თუ შეიძლება ასე ითქვას, საშინაო პოლიტიკის დარგში. წინათ ისინი, სირცხვილის გამო მაინც, ასაბუთებდნენ თავიანთ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ნაკლოვანებებით, დეფექტებით, სიძნელეებით. ახლა მათ უკვე აიხადეს ეს ნიღაბი. ახლა ისინი აღიარებენ, დარწმუნებით, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა გაიმარჯვა. ტერორამდე, მკვლელობამდე მიდიოდნენ თავიანთი მდგომარეობის უიმედობის გამო, იმის შეგნების გამო, რომ ისინი იზოლირებული არიან [illegible]ბისაგან, მუშათა კლასისაგან. ტერორამდე ისინი მივიდნენ იმის გამო, რომ სრულიადაც არ მოიპოვებოდა ხელსაყრელი პერსპექტივები, რათა ხელისუფლებისათვის ბრძოლა მათ სხვა საშუალებებით, სხვა მეთოდებით ეწარმოებინათ.

კამენევმა აღიარა, რომ ტერორის ორგანიზაცია ერთადერთი საშუალება იყო, რომლის დახმარებითაც მათ იმედი ჰქონდათ დაეპატრონებინათ ხელისუფლება და რომ სწორედ ამ ტერორისტული ბრძოლის ბაზაზე სწარმოებდა და, ბოლოს და ბოლოს წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება ტროცკისტებისა და ზინოვიეველების გაერთიანების შესახებ. ტერორი — აი ტროცკისტთა და ზინოვიეველთა გაერთიანების ნამდვილი ბაზა.

ყველას როდი სურს ამაში გამოტეხა.

ამხანაგო მოსამართლენო, სათათბირო ოთახში განაჩენის გამოტანისას, თქვენ ერთხელ კიდევ ყურადღებით გაეცნობით, — ამაში მე ეჭვი არ მეპარება, — არა მარტო სასამართლო გამოძიების ყველა მასალას, არამედ წინასწარი გამოძიების ოქმებსაც: თქვენ დარწმუნდებით, თუ რა მხეცური შიშით ცდილობდნენ ბრალდებულნი თავი დაეღწიათ სწორედ ტერორის, როგორც მათი დანაშაულებრივი საქმიანობის საფუძვლის, აღიარებისათვის.

აი, რატომ იკლაკნება ასე აქ სმირნოვი. იგი აღიარებს, რომ იყო [illegible] რომ ამ [illegible] ტროცკისაგან დირექტივები ამ ტერორისტული ბრძოლის შესახებ. მაგრამ ამავე დროს მთელი ძალღონით და საშუალებებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ პირადად მან, სმირნოვმა, ტერორი არ მიიღო, იგი არ ეთანხმებოდა მას და ისიც კი სთქვა, თითქოს იგი გამოვიდა კიდეც ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრიდან თუ ბლოკიდან.

იმის კიდევ საგანგებოდ ვილაპარაკებ თვითეულ ბრალდებულზე, მათ შორის სმირნოვზედაც და შევეცდები მთელის სისრულით, სიზუსტით და ობიექტიურობით გავარჩიო ის დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც ამხილებენ მათ უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულთა ჩადენაში. ახლა მე აქ მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თვით ბრალდებულები — პოლიტიკური ბავშვები კი არ არიან, არამედ დახელოვნებული მოთამაშენი პოლიტიკურ ბრძოლაში — მათ მშვენივრად ესმით, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ არა მარტო „თეორიულად“ აღიარეს ეს ტერორი — ესეც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მათ თავი ყულფში გაეყოფინათ, — არამედ იმისთვისაც, რომ ეს თეორიული „პროგრამა“ მათ გადაიტანეს ტროცკისტული პრაქტიკის ენაზე, პრაქტიკულ დანაშაულებრივ მოქმედებათა ენაზე.

2. ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი საბჭოთა კავშირის მოსისხლე მტრები არიან

ტერორი საფუძვლად იდო მთელს მათს მოქმედებას, იგი იყო ტროცკისტულ-ზინოვიევური გაერთიანების ბაზა. აქ ამის შესახებ სრულიად ერთნაირად აჩვენეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ერთმანეთთან უშუალოდ არ არიან დაკავშირებული თავიანთ არალეგალურ მუშაობაში. ეს აქ აღიარეს არა მარტო ზინოვიევმა და კამენევმა, სმირნოვმა და ტერ-ვაგანიანმა, რეინგოლდმა და პიკელმა, არამედ ამის შესახებ აქ სწორედ ასევე ლაპარაკობდნენ ბერმან-იურინიც, ფრიც დავიდიც და ვალენტინ ოლბერგიც — ეს გონდურასის რესპუბლიკის ორიგინალური მოქალაქე, სამმაგი აგენტი ტროცკისა და ამასთან ერთად გერმანიის საიდუმლო პოლიციის — გესტაპოსი.

ყველა ამ პირს მათთვის წაყენებული მამხილებელი საბუთების სიმძიმის გამო არ შეეძლოთ უკვე არ გატეხილიყვნენ და იძულებული გახდნენ აღეარებინათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი საშუალება და ერთადერთიც-კი, რომელიც მათ დანაშაულებრივ საქმიანობას აერთიანებდა, იყო ტერორი, იყო მკვლელობა.

„ამას დაბეჯითებით მოითხოვდნენ, — ამბობდა რეინგოლდი, — და ამ საკითხზე ერთი აზრისა იყვნენ ტროცკისტებიც და ბლოკის ყველა მონაწილეც“. სწორედ საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობის თავიდან მოშორება ძალადობის გზით წარმოადგენდა ამ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ძირითად ამოცანას, იმ ბლოკის, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ, როგორც მე ეს კიდეც მოვიმოქმედე საბრალდებლო დასკვნაში, პოლიტიკურ მკვლელთა საზოგადოება.

ეს ტერორისტული განწყობილებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ორგანიზაციას 1932-1936 წლებში, შესაძლოა ყველაზე მკაფიოდ და დამახასიათებლად გამოხატა ბრალდებულმა მრაჩკოვსკიმ, რომელმაც, როგორც წინასწარი გამოძიების დროს, ისე აქაც სასამართლოში განაცხადა:

„პარტიის პოლიტიკის შეცვლის იმედი განწირულად უნდა ჩაითვალოს. ბრძოლის აქამდე გამოყენებულმა საშუალებებმა დადებითი შედეგები არ მოგვცა. დარჩა ბრძოლის ერთადერთი გზა — გზა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა თავიდან მოშორებისა ძალადობის საშუალებებით“.

მრაჩკოვსკი ამბობდა: — მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან მოვიშოროთ სტალინი და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელნი.

მთელი მხეცური გაბოროტება და სიძულვილი მიმართული იყო — ჩვენი პარტიის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინააღმდეგ, — ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ, მის სახელოვან თანამებრძოლთა წინააღმდეგ.

მათ, ამხანაგ. სტალინის მეთაურობით, დააწვათ ზინოვიევურ-ტროცკისტულ არალეგალურ ორგანიზაციასთან ბრძოლის მთავარი სიმძიმე. მათი ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის — ლენინის ანდერძის ამ გენიალური გამტარებლისა და დამცველის ხელმძღვანელობით — განადგურებულ იქნა კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაცია. ტროცკისტულ კონტრრევოლუციასთან გააფთრებულ ბრძოლებში მათი ხელმძღვანელობით საბოლოოდ შემუსრა ტროცკისტული კონტრრევოლუცია.

ამ ტროცკისტულ კონტრრევოლუციასთან ბრძოლებში ამხანაგმა სტალინმა დაამუშავა და იგი განუხრელად ატარებდა ცხოვრებაში ლენინური მოძღვრება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ და ამ მოძღვრებით შეაიარაღა მუშათა და კოლმეურნეთა მილიონიანი მასები.

აი რატომ არის, რომ ტროცკისტებმა და ზინოვიეველებმა, როგორც სხვა ყველაზე გაშმაგებულმა კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა, მთელი თავისი ძალღონე, მთელი სიძულვილი და გაბოროტება სოციალიზმის წინააღმდეგ მიმართეს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობისაკენ. აი რატომ იყო რომ 1932 წლის მარტში კონტრრევოლუციური გაბოროტებით შეპყრობილმა ტროცკიმ ღია ბარათით მოუწოდა: „მოიშორეთ სტალინი“. ეს წერილი ამოღებულ იქნა გოლცმანის ჩემოდანის საიდუმლო კედლიდან და საქმეს დაერთო როგორც ნივთიერი საბუთი.

ამ საზიზღარი მოწოდებით ტროცკიმ უფრო მეტი გულახდილობით მიმართა მთელ რიგ თავის საზღვარგარეთელ მოწაფეებს, რომლებიც მან შეარჩია როგორც მკვლელები სსრ კავშირში გამოსაგზავნად, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოსი და ჩვენი პარტიის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტებისა და თავდასხმის მოწყობის მიზნით. ეს აქ დაწვრილებით აჩვენა ბრალდებულმა ფრიც დავიდმა. მან გვიამბო, თუ 1932 წლის ნოემბერს როგორ საუბრობდა ტროცკისთან და ამ საუბრის დროს ტროცკიმ როგორ უთხრა მას სიტყვასიტყვით შემდეგი:

„ახლა არ არის სხვა გამოსავალი, გარდა სტალინისა და მის თანამებრძოლთა თავიდან მოშორებისა ძალადობის გზით“. ტერორი სტალინის წინააღმდეგ — აი რევოლუციური ამოცანა. ვინც რევოლუციონერია იმას ხელი არ აუკანკალდება“ (საქმე ტ. VIII, ს. ფ. 62). ამ მიზნით ტროცკი შეუდგა ეხალტერებულ ადამიანთა შერჩევას და დაუწყო მათ იმის ჩაგონება, რომ განეხორციელებინათ მათ ეს კონტრრევოლუციური აქტი, როგორც რაღაც „ისტორიული მისია“.

ბერმან-იურინმა აქ გვიჩვენა, რომ ტროცკი სისტემატურად და არაერთხელ ამბობდა: „სანამ სტალინი ძალადობის გზით თავიდან არ მოგვიშორებია — პარტიის პოლიტიკის შეცვლის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს; სტალინის წინააღმდეგ ბრძოლაში არ უნდა შეჩერდეთ არავითარი უკიდურესი ზომების წინაშე — სტალინი ფიზიკურად უნდა მოისპოს“.

ფრიც დავიდსა და ბერმან-იურინს ლაპარაკი ჰქონდათ ტროცკისთან სტალინის მოკვლის შესახებ, მათ ტროცკისაგან მიიღეს დავალება და მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯები გადასდგეს ამ დავალების განსახორციელებლად. განა ეს ცოტაა, რომ ისინი ღირსნი გახდნენ ჩვენი კანონებით გათვალისწინებული ყველაზე სასტიკი სასჯელის — დახვრეტისა?

ფრიც დავიდმა, ბერმან-იურინმა, რეინგოლდმა, ოლბერგმა, თვით ი. ნ. სმირნოვმა, არსებითად რომ ვილაპარაკოთ, ბოლომდე გამოააშკარავეს ტროცკის როლი ამ საქმეში. თვით სმირნოვსაც კი, რომელიც ჯიუტად მალავდა იმას, რომ რაიმე მონაწილეობას იღებდა ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის ტერორისტულ საქმიანობაში, არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ ინდივიდუალური ტერორის გზა საბჭოთა სახელმწიფოსი და საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელთა მიმართ მან 1931 წელს მიიღო პირადად ტროცკის შვილის სედოვისაგან, რომ ტერორის ეს გზა ტროცკიმ დაადასტურა 1932 წელს იმ დირექტივით, რომელიც საზღვარგარეთიდან გავენმა ჩამოიტანა და სმირნოვს გადასცა. სმირნოვი ცდილობდა თავისი საკუთარი მდგომარეობის სიმწვავის შემსუბუქებას და შენიშნავდა, რომ მის მიერ სედოვისაგან მიღებული დირექტივა ტერორის შესახებ, ვითომც პირადად სედოვის აზრი ყოფილიყოს. მაგრამ ეს უსაფუძვლო ახსნაა. ყველასათვის სავსებით ცხადია, რომ სედოვი სმირნოვისათვის არავითარ ავტორიტეტს არ წარმოადგენდა. ეს აქ ტერ-ვაგანიანმა და მრაჩკოვსკიმ დაადასტურეს: მათ განაცხადეს, ჩვენ რომ გვგონებოდა, რომ ტერორის გზა სედოვისაგან გამომდინარეობს, დავაფურთხებდით ამ გზას მეექვსე, მეთორმეტე და უფრო მაღალ სართულიდანაც.

ბრალდებულმა ტერ-ვაგანიანმა, გაერთიანებული ცენტრის ერთერთმა მთავარმა ორგანიზატორმა, დაადასტურა, რომ როდესაც სმირნოვი საზღვარგარეთ იყო, მან მართლა მიიღო ტროცკისაგან დირექტივა ტერორზე გადასვლის შესახებ. ტერ-ვაგანიანმა მხოლოდ შენიშნა თავისი ჩვენება და ტერორის ხსენება შეცვალა სიტყვებით „მწვავე ბრძოლა საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელებთან“. მაგრამ შემდეგ ისიც იძულებული იყო გაეღიარებინა ეს და დაედასტურებინა, რომ ლაპარაკი იყო იმ დირექტივაზე, რომლის შინაარსი იყო ტერორი და მხოლოდ ტერორი.

დასასრულ, თქვენ მოისმინეთ მოწმე საფონოვას ჩვენება. მისი პირისპირ წაყენება, ალბათ, მტკიცედ დაახსოვდა ყველას, ვინც აქ სასამართლოს დაესწრო. ამ პირისპირ წაყენების დროს საფონოვამ, რომლის საქმე ცალკე არის გამოყოფილი გამოძიების განგრძობის გამო, სავსებით დაადასტურა, რომ სმირნოვმა ტროცკისაგან მიიღო დირექტივა ინდივიდუალური ტერორის შესახებ 1931 წელს სედოვის საშუალებით, ხოლო შემდგომ გავენის საშუალებით.

ამ მასალების საფუძველზე სავსებით დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ სწორედ ტროცკის დირექტივა ტერორის შესახებ გახდა გაერთიანებული ცენტრის ტერორისტული საქმიანობის გაშლის საფუძველი.

ტროცკის მიერ მიცემული დირექტივა გაერთიანებული ცენტრის შექმნისა და ტერორზე გადასვლის შესახებ გაიზიარა ტროცკისტულმა არალეგალურმა ორგანიზაციამ. ზინოვიევმა და კამენევმა, როგორც ბლოკის ზინოვიევური ნაწილის ხელმძღვანელებმა, თვითონვე დაიბადეს ეს აზრი და მათაც გაიზიარეს ტროცკის დირექტივა, როგორც გაერთიანებული ცენტრისა და არალეგალური ორგანიზაციის მოქმედების საფუძველი.

ამ ნამდვილ, გამოუსწორებელ მტრებს არ შეეძლოთ დამშვიდებით ეყურებინათ ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის, სოციალიზმის ფართო გზაზე გამოსული ქვეყნის მზარდი კეთილდღეობისათვის.

სსრ კავშირი იმარჯვებს, სსრ კავშირი აშენებს სოციალიზმს, სსრ კავშირში იმარჯვებს სოციალიზმი. მით უფრო ძლიერია მათი სიძულვილი ცენტრალური კომიტეტისადმი, სტალინისადმი და მთავრობისადმი, რომლებსაც უნდა უმადლოდეს ჩვენი ქვეყანა ამ გამარჯვებას და რომლებითაც ჩვენი ქვეყანა ამაყობს.

შავბნელ მალულ მუშაობაში ტროცკიმ, ზინოვიევმა და კამენევმა გადმოისროლეს ბინძური მოწოდება: თავიდან მოვიშოროთ, მოვკლათ!

მუშაობას იწყებს არალეგალური მანქანა, ლესავენ დანებს, სტენავენ რევოლვერებს, აკეთებენ ყუმბარებს, სწერენ და სთხზავენ ყალბ დოკუმენტებს, აბამენ საიდუმლო კავშირს გერმანიის პოლიტიკურ პოლიციასთან, აყენებენ გუშაგებს, ვარჯიშობენ სროლაში, ბოლოს, ისვრიან და ჰკლავენ.

აი რა არის მთავარი! კონტრრევოლუციონერები არა მარტო ოცნებობენ ტერორზე, არა მარტო აწყობენ ტერორისტული შეთქმულების ან ტერორისტული ხელყოფის (покушение) გეგმებს, არა მარტო ემზადებიან ამ ავაზაკური ბოროტმოქმედებისათვის, არამედ ახორციელებენ კიდეც მათ, ისვრიან და ჰკლავენ!

ამ პროცესში მთავარია ის, რომ მათ თავიანთი კონტრრევოლუციური აზრი კონტრრევოლუციურ საქმედ აქციეს, თავიანთი კონტრრევოლუციური თეორია კონტრრევოლუციურ ტერორისტულ პრაქტიკად აქციეს: ისინი არა თუ მარტო ლაპარაკობენ სროლის შესახებ, არამედ ისინი ისვრიან კიდეც — ისვრიან და ჰკლავენ!

ეს არის მთავარი! მათ მოჰკლეს ამხ. კიროვი, ისინი აპირებდნენ ამხანაგ სტალინის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის, ჟდანოვის, კოსიორის, პოსტიშევის მოკვლას. აი რისთვის ვასამართლებთ ჩვენ ამ ადამიანებს, საიდუმლო მკვლელობათა ამ ორგანიზატორებს, ამ პატენტიან მკვლელებს.

და აი რატომ მოვითხოვთ ჩვენ გავასამართლოთ ისინი მკაცრად, როგორც ამას ჩვენი საბჭოთა კანონი გვიბრძანებს, გავასამართლოთ ისინი, როგორც ამას ჩვენი სოციალისტური სინიდისი მოითხოვს.

მკვლელობა — აი ამ ადამიანთა საშინაო პოლიტიკის მთელი „პროგრამა“.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პროცესი

სახელმწიფო მბრალმდებლის, სსრ კავშირის პროკურორის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის გაგრძელება

ხოლო საგარეო პოლიტიკა?

აქ სამარიდან სდგებიან მიცვალებულთა ლანდები, აქ ცოცხლდებიან ძველი „თეზისები კლემანსოსი", აქ კვლავ მოსჩანს ტროცკისტული ყურები.

ტროცკის პირადი წერილი, რომელიც დრეიცერმა მიიღო, სამი მოკლე პუნქტისაგან შესდგებოდა: 1) თავიდან მოიშორონ სტალინი და ვოროშილოვი, 2) გააჩაღონ მუშაობა არმიაში უჯრედების მოსაწყობად, 3) ომის შემთხვევაში გამოიყენონ ყოველგვარი მარცხი და შესაძლო არეულობა ხელმძღვანელობის ხელში ჩასაგდებად.

ეს აშკარა გეზია დამარცხებისაკენ.

ეს კლემანსოს იგივე ძველი თეზისია, მაგრამ ახალი გამოცემით და ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ბლოკის გაერთიანებული ცენტრის რედაქციით.

ფრიც დავიდმა გამოძიების დროს აჩვენა და აქ სასამართლოშიც დაადასტურა (ეს სავსებით შეეფერება მთელ რიგ ისტორიულ დოკუმენტებსაც, სხვა ბრალდებულთა ჩვენებებსაც და თვით იმ ამოცანის დედააზრსაც, რომელიც დასახულია ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის წინაშე), რომ მასთან ერთერთი საუბრის დროს ტროცკიმ ჰკითხა: „როგორ ფიქრობთ, გაჰქრება თუ არა ეს უკმაყოფილება იმ შემთხვევაში, თუ დაიწყო საბჭოთა კავშირის ომი იაპონიასთან? (იგი ლაპარაკობდა იმ უკმაყოფილებაზე, რომელიც, მისი აზრით, ჩვენს ქვეყანაში იყო). „არა, პირიქით, — ამბობდა ტროცკი, — ამ პირობებში რეჟიმისადმი მტრულად განწყობილი ძალები შეეცდებიან გაერთიანდნენ მთლიან ერთეულად და ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავაერთიანოთ და სათავეში ჩავუდგეთ ამ უკმაყოფილო მასებს, შევაიარაღოთ და წავიყვანოთ ისინი გაბატონებული ბიუროკრატების წინააღმდეგ" (საქმე ტ. VIII, ს. ფ. 61)

ტროცკიმ იგივე გაიმეორა 1932 წელს დაწერილ წერილში (როგორც ჩანს, ეს არის მისი იდეა — ფიქსი) და ბერმან-იურინთან საუბარში.

„იმ პერიოდის საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, — აცხადებს ბერმან-იურინი, — ტროცკიმ მითხრა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი სამხედრო ძალების გახრწნის ამოცანა, ვინაიდან საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში უდიდესი მასები იქნებიან გაწვეული არმიაში". ტროცკის და ტროცკისტებს ზინოვიეველებთან ერთად სწორედ იმის იმედი ჰქონდათ, რომ ადვილად დაამუშავებდნენ ამ მასებს. „ტროცკიმ სიტყვა-სიტყვით მითხრა, — დასძენს ბერმან-იურინი, — „ჩვენ დავიცავთ საბჭოთა კავშირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაემხობა სტალინის ხელმძღვანელობა" (საქმე ტ. IV, ს. ფ. 100).

ასეთია მათი საგარეო პოლიტიკის პროგრამა!

იქნებ ყოველივე ეს შეთხზული ამბავი იყოს! იქნებ ფრიც დავიდი და ბერმან-იურინი აქ ფანტასტიკურ ჭორებს სთხზავენ? იქნებ ყოველივე ეს არის მოგონილი, ჭორი, უპასუხისმგებლო ლაყბობა ბრალდებულებისა, რომლებიც ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ილაპარაკონ სხვების წინააღმდეგ, რათა ამით შეამსუბუქონ თავიანთი საბოლოო ბედი?

არა! ეს არ არის შეთხზული ამბავი, არ არის ფანტაზია! ეს ჭეშმარიტებაა! ვინ არ იცის, რომ ტროცკიმ საბრალდებლო სკამზე მჯდომ კამენევთან და ზინოვიევთან ერთად რამდენიმე წლის წინათ აღიარეს „კლემანსოს თეზისი", რომ ისინი ლაპარაკობდნენ — საჭიროა ომის შემთხვევაში დავიცადოთ, სანამ მტერი 80 კილომეტრის მანძილზე არ მოუახლოვდება მოსკოვს, რათა ავიღოთ იარაღი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რათა დავამხოთ იგი. ეს ხომ ისტორიული ფაქტია. ამას ვერსად გაექცევიან. სწორედ ამიტომ უნდა ავღიაროთ, რომ ბერმან-იურინისა და ფრიც დავიდის ჩვენებანი ამ ნაწილში სინამდვილეს შეეფერებიან.

ასეთი იყო ამ ადამიანთა „საგარეო პოლიტიკის" პროგრამა. მარტო ასეთი პროგრამისათვის ჩვენი საბჭოთა ხალხი მოღალატეებს პირველსავე ბოძზე ჩამოჰკიდებს! და ახიც იქნება!

3. თვალთმაქცობა, მოტყუება, პროვოკაცია — ტროცკისტ-ზინოვიეველთა ძირითადი მეთოდია

გადავიდეთ ახლა იმ მეთოდებზე, რომლებითაც ეს ადამიანები მოქმედებდნენ. ეს შეიძლება მათი სამარცხვინო დანაშაულებრივი მოქმედების ერთერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელი იყოს.

ტროცკისტულ-ზინოვიევური არალეგალური ბლოკი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ „პრინციპული ხაზის" შესაბამისად ბლოკის მონაწილენი ფართოდ იყენებდნენ თვალთმაქცობას, როგორც ძირითად მეთოდს პარტიასთან და მთავრობასთან დამოკიდებულების დროს. ეს თვალთმაქცობა მათ სისტემად გადააქციეს, რომელიც შეშურდებოდა ყველა ოხრანკის ყოველ აზეფსა და მალინოვსკის მთელი თავისი ჯაშუშებითა, პროვოკატორებითა და დივერსანტებით.

რეინგოლდმა აჩვენა, რომ 1933-34 წ. ზინოვიევი პირისპირ ეუბნებოდა მას, ახლა ზინოვიევმა დაადასტურა ეს პროცესზე მთელი ქვეყნიერების წინაშე, რომ „მთავარი პრაქტიკული ამოცანა, რომელიც მათი ფარული მუშაობის წინაშე დგას არის ამოცანა, რათა ისე კონსპირატიულად მოეწყოს ტერორისტული მუშაობა, რომ არამცდაარამც არ გაიტეხონ სახელი".

იქნებ ეს გადამეტებულია? რა თქმა უნდა, არა. ის რაც რეინგოლდმა სთქვა, საგანთა ლოგიკას შეეფერება.

„გამოძიების დროს მთავარია, — ასწავლიდა თავის თანამონაწილეთ ზინოვიევი, — უარჰყოთ ყოველგვარი კავშირი ორგანიზაციასთან და არგუმენტად მოიყვანოთ ტერორის შეუთავსებლობა ბოლშევიკ-მარქსისტების შეხედულებებთან". (საქმე ტ. XXVII, ს. ფ. 112).

ტროცკიც თავის მხრივ ურჩევდა, ტერორისტული აქტის შესრულების შემთხვევაში გამიჯნულიყვნენ ტროცკისტული ორგანიზაციისაგან და დაეკავებინათ პოზიცია, ანალოგიური იმისა, რომელიც თავის დროზე დაიკავა ესერთა ც. კ-მა ქალბატონი კაპლანის მიმართ, რომელმაც ესროლა ვლადიმერ ილიჩს. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს ეს. ჩვენ გვახსოვს, რომ მას შემდეგ, რაც კაპლანმა ესროლა თავისი გამცემლური ტყვია ლენინს, ესერების ც. კ-მა გამოუშვა ფურცელი, რომელშიც კატეგორიულად აცხადებდა, მონაწილეობა არ მიმიძღვის ამ ტერორისტულ აქტშიო. ტროცკიმ, ზინოვიევმა, კამენევმა იგივე ტაქტიკა შეითვისეს.

ზინოვიევი ამბობდა: „ჩვენ დავადექით გულმოდგინედ მოფიქრებული და ღრმად კონსპირირებული შეთქმულების გზას, ჩვენ მარქსისტებად მიგვაჩნდა თავი და, გვახსოვდა რა ფორმულა „აჯანყება ხელოვნება არისო", — ჩვენებურად გადავაკეთეთ იგი და განვაცხადეთ, რომ „შეთქმულება პარტიის წინააღმდეგ, სტალინის წინააღმდეგ ხელოვნება არის".

აი საბრალმდებლო სკამზე სხედან ამ „ხელოვნების" ოსტატები. ვერ ვიტყვი, რომ მაღალი ფასის ოსტატები იყვნენ. იაფფასიანი ოსტატები არიან! მაგრამ მათ მაინც მოახერხეს განეხორციელებინათ თავისი მდაბალი საქმე. რაში მდგომარეობდა მათი „ხელოვნება"? ამ მხრივ პირველ ადგილზე იდგა მათი ჭეშმარიტი დანაშაულებრივი სახის შენიღბვა ყოველი საშუალებით.

ეს შეიძლება ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითი იყოს ისტორიაში, როდესაც სიტყვა შენიღბვა მართლაც ნამდვილ მნიშვნელობას ღებულობს: ამ ადამიანებმა აიფარეს სახეზე ნიღბები, მონანიებულ ცოდვილებად მოჰქონდათ თავი, რომელთაც გასწყვიტეს კავშირი წარსულთან, უარი სთქვეს ამ ძველ ცოდვებსა და შეცდომებზე, დანაშაულში რომ გადაიზარდნენ.

დამახასიათებელია, რომ სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ტროცკისტულ-ზინოვიევურმა გაერთიანებულმა ცენტრმა ფართოდ გააჩაღა თავისი საქმიანობა, როდესაც ამ ტერორისტულმა საქმიანობამ თავის უმაღლეს განვითარებას მიაღწია, როდესაც იგი იზრდებოდა და გზას იკვალავდა დაგვირგვინებისკენ, ამხ. კიროვის ვერაგული მოკვლისკენ — სწორედ ამ პერიოდში ზინოვიევი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უგზავნის მონანიების წერილს. ამ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1933 წლის 8 მაისით, ე. ი. როდესაც გაჩაღებული იყო ტერორისტული აქტების მომზადება, ზინოვიევი არა მარტო უარჰყოფდა ყველა თავის წინანდელ შეცდომას, არამედ ფარისევლურადაც ფიცულობდა, რომ ერთგული სოციალიზმისა და პარტიისა.

სწორედ იმ დღეებში, როდესაც ის ამზადებდა მუხანათურ ლახვარს პარტიის შუა გულში ჩასაცემად, როდესაც ამზადებდა ტერორისტულ აქტს ამხანაგი სტალინის წინააღმდეგ, ეს ბოროტმოქმედი, რომელმაც ისევე როგორც ყველა აქ მჯდომმა დაჰკარგა ადამიანის სახიერების ნატამალი, შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა თავის წერილს: „გთხოვთ მერწმუნოთ, რომ ვლაპარაკობ სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს.

გთხოვთ დამაბრუნოთ პარტიის რიგებში და მომცეთ შესაძლებლობა ვიმუშაო საერთო საქმისთვის. ვიძლევი რევოლუციონერის სიტყვას, რომ პარტიის ურთგულესი წევრი ვიქნები და გავაკეთებ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, რათა ნაწილობრივ მაინც გამოვისყიდო ჩემი დანაშაული პარტიისა და მისი ც. კ-ის წინაშე".

ჩვენ ვიცით ახლა, თუ რა ფასი აქვს ამ სიტყვებს. ჩვენ ვიცით, რომ ზინოვიევმა გააკეთა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, რათა ევნო პარტიისათვის და სოციალიზმის მშენებლობის საქმისთვის ჩვენს ქვეყანაში, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საქმისათვის.

1933 წლის 16 ივნისს იგი „პრავდაში" ათავსებს სტატიას: „ორი პარტია". ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში ის აქვეყნებს სტატიას, რომელშიც ცდილობს ყოველ მხრივ დაუმტკიცოს პარტიას ერთგულება, ანადგურებს ოპორტუნიზმს და ალილუიას უგალობს პარტიის მიერ მოპოვებულ გამარჯვებებს.

ეს იყო 8 მაისს და 16 ივნისს, ე. ი. 1933 წლის ზაფხულს. იმავე 1933 წლის იმავე ზაფხულს, როგორც ეს ახლა ზუსტად არის გამორკვეული, ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის თათბირზე ზინოვიევი ავალებს ბაკაევს შეუდგეს ტერორის პრაქტიკულად განხორციელებას.

ზინოვიევმა იწყინა სმირნოვისგან როდესაც ამ უკანასკნელმა უკიჟინა, მართალს არ ლაპარაკობო. თვითონ სმირნოვს არ უთქვამს აქ არცერთი მართალი სიტყვა, ზინოვიევს კი სიცრუეს უსაყვედურებს. ზინოვიევმა იწყინა და განაცხადა, რომ განსხვავება მათ შორის ის არის, რომ მან „მტკიცედ და საბოლოოდ გადასწყვიტა ამ უკანასკნელ წუთს სთქვას სრული სიმართლე, მაშინ, როდესაც სმირნოვმა, როგორც ეტყობა, სხვა გადაწყვეტილება მიიღო".

ნებას მივცემ ჩემ თავს, ამხანაგო მოსამართლენო, გაგაფრთხილოთ ზინოვიევის ამ მტკიცების წინააღმდეგ. არ დაუჯეროთ მას, თითქოს იგი აქ სრულ სიმართლეს ლაპარაკობდეს ბოლომდე.

ზინოვიევმა და კამენევმა ლენინგრადის 15-16 იანვრის პროცესზე ცუდად როდი გაითამაშეს თავისი ვერაგული მუხანათური შენიღბვის ერთერთი სცენა. თავის ახსნა-განმარტებაში (სასამართლოს სხდომაზე 1935 წლის 15-16 იანვარს) კამენევს უნდოდა მოეხდინა საბოლოოდ და გულწრფელად განიარაღებული ისეთი მტრის შთაბეჭდილება, რომელიც აღიარებს ყველაფერს, რაც მას გულში აქვს მთავრობისა და პარტიის წინააღმდეგ. მაშინ მას მოაგონდა ერთი ეპიზოდი, როდესაც ზინოვიევმა რაღაც დამალა ტროცკისთან ნალაპარაკევიდან. კამენევი პათოსით და „გულწრფელი" აღშფოთებით უსაყვედურებდა ზინოვიევს, რომ მან ეს ფაქტი დამალა და სრულ სიმართლეს არ ამბობს.

ამავე დროს თვით კამენევიც და ზინოვიევიც ცდილობდნენ მოეტყუებინეთ ჩვენ. მოეტყუებინეთ სასამართლო და მთელი ქვეყანა, და ამტკიცებდნენ, რომ მათ საერთო არაფერი აქვთ სერგეი მირონის-ძე კიროვის მოკვლასთან. სწორედ ისე, როგორც ახლა, სწორედ იმავე სიტყვებით, როგორც გუშინ, ზინოვიევი და კამენევი მაშინ გვეფიცებოდნენ, რომ ისინი სრულ სიმართლეს ლაპარაკობენ. შეიძლება ითქვას, რომ 1935 წლის 15—16 იანვრის პროცესი კამენევისა და ზინოვიევისათვის იყო ერთგვარი რეპეტიცია დღევანდელი პროცესისა, რომელსაც ისინი, შეიძლება, არ მოელოდნენ, მაგრამ რომელსაც, როგორც ბედს ვერ გაექცნენ.

მე კიდევ დავუბრუნდები ლენინგრადის სასამართლოში მიცემულ ამ „შესანიშნავ" ჩვენებებს, ახლა ამაზე მხოლოდ იმიტომ ვლაპარაკობ, რათა გავაფრთხილოთ თქვენ, ხოლო თქვენი საშუალებით, სასამართლოს საშუალებით გავაფრთხილო მთელი ქვეყანაც, — არა მარტო კამენევისა და ზინოვიევის წინააღმდეგ, არამედ ყველა იმ სხვა თვალთმაქცის, მოღალატისა და გამცემლის წინააღმდეგაც, რომლებიც, სამწუხაროდ, კიდევ მოიპოვებიან ჩვენს რიგებში, რომლებიც თავის სინანულზე ლაპარაკობენ, თავის წარსულს ემიჯნებიან, ინიღბებიან იმისათვის, რომ ჩვენს პარტიას, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს დიად საქმეს უკეთ ჩასცენ ზურგში ლახვარი.

არავითარი ნდობა ამ პატენტიან და დაქოქილ მატყუარებს!

მათ თითონაც იციან, რომ ეს არ დაუმსახურებიათ. დაკითხვის დროს ზინოვიევს შევეკითხე: „ახლა კი თქვენ სრულ სიმართლეს ლაპარაკობთ?" — „ახლა მე ბოლომდე სრულ სიმართლეს ვლაპარაკობ".

მაგრამ სად არის ამის დამამტკიცებელი საბუთი, როგორ შეიძლება ვენდოთ, როდესაც მათ გადააჭარბეს ყოველგვარ წარმოდგენას მუხანათობაზე, ვერაგობაზე, მოტყუებაზე, ღალატზე, გამცემლობაზე? ზინოვიევმა ეს მუხანათობა იქამდე მიიყვანა, რომ სერგეი მირონის-ძე კიროვის მოკვლის შემდეგ „პრავდაში" ნეკროლოგი გაგზავნა. ამის შესახებ მან აქ მხოლოდ ერთი სთქვა: „ეს ნეკროლოგი არ დაბეჭდილა, რამდენადაც მახსოვს" და მეტი არაფერი.

აი ეს ნეკროლოგი. იგი ხელთა მაქვს. იგი დათარიღებული აქვს ზინოვიევს, თუ არ ვცდები, 4 თუ 7 დეკემბრით, უფრო საფიქრებელია, 4 დეკემბრით.

ამხ. კიროვისადმი მიძღვნილ ამ ნეკროლოგს თქვენ, ზინოვიევ, უწოდეთ „ადამიანი — შუქურა". როგორ დაიწყეთ თქვენი ნეკროლოგი, რომელიც გათვალისწინებული გქონდათ პრესისათვის და რომელსაც, მაშასადამე, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა უნდა გასცნობოდა.

„ამას ვხედავთ ჩვენი რევოლუციის მთელი 17 წლის განმავლობაში, — ყოველ მომენტში, როდესაც მტერი დროს შეარჩევდა ხოლმე ბოლშევიკებისთვის მახვილის ჩასაცემად. ასე იყო ხოლმე, როდესაც მტერი ახერხებდა საგრძნობი მახვილის ჩაცემას სამოქალაქო ომის ველებზე, ასე იყო..." და სხვ. და სხვ.

შემდეგ ზინოვიევი სწერდა: „პარტიის მწუხარება — მთელი ხალხის, სსრ კავშირის ყველა ხალხის მწუხარებაა. პარტიის გლოვა მთელი დიადი ქვეყნის გლოვაა... მთელმა ხალხმა განიცადა დანაკლისის სიმწვავე".

ეს მართალია, რომ დანაკლისის სიმწვავემ და მუხანათური გასროლით გამოწვეულმა აღშფოთებამ მთელი ქვეყანა მოიცვა. ამ გრძნობას ნამდვილად განიცდის მთელი ქვეყანა დიდით პატარამდე.

მაგრამ ეს რამდენად გეხებათ თქვენ?

„სერგეი მირონის-ძე კიროვის მუხანათურმა მკვლელობამ ჭეშმარიტად შეარხია მთელი პარტია, მთელი საბჭოთა კავშირი". „ამ საყვარელი და მშობლიური ადამიანის დაკარგვა ყველამ განიცადა, როგორც თავისიანის, ახლობელის, უსაზღვროდ ძვირფასის დაკარგვა"...

აი, რას სწერდით თქვენ, ბრალდებულო ზინოვიევ, ამ საშინელ და სამარცხვინო სტატიაში!

რად დაჰკარგა პარტიამ ახლობელი, უსაზღვროდ ძვირფასი ს. მ. კიროვი, ბრალდებულო ზინოვიევ?

ეს ჩვენი ახლობელი ადამიანი პარტიამ იმიტომ დაჰკარგა, რომ თქვენ, ბრალდებულო ზინოვიევ, მოჰკალით კიროვი, თქვენ მოჰკალით იგი საკუთარი ხელით, რომელიც წითლად შეღებილი გაქვთ კიროვის სისხლით.

„პარტიის საყვარელი 'შვილი'", სწერდით თქვენ. რა თავხედური მკრეხელობაა!

„მუშათა კლასის შვილი — აი ვინ იყო ეს ადამიანი — შუქურა", „ჩვენი ძვირფასი, ღრმა, მტკიცე... შეუძლებელი იყო ამ ადამიანში დარწმუნებული არ ყოფილიყავი, შეუძლებელი იყო იგი არ გყვარებოდა და შეუძლებელი იყო იმით არ გემაყნა".

აი როგორ სწერდა ზინოვიევი, რომელიც ცინიზმის ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა!

აი ამ ადამიანს იგი უყვარდა, იმით ამაყობდა და მოჰკლა იგი. ავაზაკი მკვლელი დასტირის თავის მსხვერპლს! სად და როდის მომხდარა კიდევ ამის მსგავსი რამ!

რა შეიძლება ითქვას და რა სიტყვა შეიძლება იხმაროს კაცმა, რომ აღწეროს ამ ფაქტის მთელი სიმდაბლე და სიბილწე: მკრეხელობა! ვერაგობა! თვალთმაქცობა! მუხანათობა!

თქვენ, სწორედ თქვენ, ზინოვიევ, თქვენი მკრეხელი ხელით ჩააქრეთ ეს შუქურა, და თქვენვე საჯაროდ და თვალთმაქცად დაიწყეთ თმის გლეჯა, რომ ხალხი მოგეტყუებინათ.

ვინ მოჰკალით თქვენ? — თქვენ მოჰკალით შესანიშნავი ბოლშევიკი, აგზნებარე ტრიბუნი, თქვენთვის საშიში ადამიანი, რომელიც თავდადებით იბრძოდა ლენინის ანდერძისათვის და მით თქვენს წინააღმდეგ. თქვენ ეს ადამიანი მოჰკალით ნიკოლაევის უბილწესი ხელით [illegible] გასროლით, ხოლო ორი-სამი დღის შემდეგ თქვენვე სტატიას ჰგზავნით „პრავდაში" და სწერთ „ჩამქრალი შუქურას" შესახებ. სადღა უნდა იპოვოს კაცმა სიტყვები, რომ შეაფასოს ეს უსაზიზღრესი საქციელი! ჩემს ლექსიკონში არ ძალმიძს ამ სიტყვების მონახვა!

გადავიდეთ კამენევზე — ეგრეთწოდებული ზინოვიევის ჯგუფის მეორე ბურჯზე, „ვირის ქურქში" გახვეულ ამ ცბიერ ადამიანზე, რის შესახებაც იგი თვითონვე ლაპარაკობდა პარტიის XVII ყრილობაზე.

მე ვთხოვ სასამართლოს ყურადღება მიაქციოს კამენევის სტატიებს, რომლებიც გამოქვეყნებულია 1933 წელს. ამ სტატიებს კამენევი სწერდა თითქმის იმავე დროს, რა დროსაც ზინოვიევი, ურთიერთი შეთანხმებით. კამენევი „პრავდაში" აქვეყნებს სტატიას, სადაც იგი, ისე როგორც ზინოვიევი, ხელს იღებს თავის შეცდომებზე. ჰგმობს მათ, სადაც იგი ლაპარაკობს, რომ „ოპოზიციის უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდა ის კაცი, რომელიც ათეული წლების მანძილზე იბრძოდა ლენინის წინააღმდეგ" და სხვ. და სხვ. „ცხადია, სწერდა კამენევი ამ სტატიაში 1933 წლის 25 მაისს, რომ იმ პოლიტიკისადმი წინააღმდეგობა, რომელსაც ამხ. სტალინი მეთაურობს, გამომდინარეობდა იმავე წინამძღვრებიდან, რომლებიც 1917 წლის ოქტომბერში აიძულებდნენ პარტიის წევრებს გამოსულიყვნენ ლენინის პოლიტიკის მოწინააღმდეგეებად". კამენევი ჰგოდებს და ოხრავს, ცდილობს დაამტკიცოს, რომ გასწყვიტა კავშირი ძველ მეგობრებთან და ამთავრებს სტატიას მოწოდებით უკუაგდონ ყოველგვარი წინააღმდეგობა, რაც ხელს უშლის სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

ეს იყო 1933 წლის მაისში. ხოლო 1933 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც კამენევი და ზინოვიევი გადასახლებიდან დაბრუნდნენ, ზინოვიევის ბინაზე გაიმართა ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის თათბირი ტერორისტული აქტების მოსაწყობად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

იმ საქმის გამო აქ დაკითხული კამენევი ძალიან მოკლე პასუხს იძლეოდა.

ნებას მივცემ ჩემს თავს და მოგაგონებთ დიალოგს, რომელიც ჩემსა და მას შორის გაიმართა. მე შევეკითხე:

„როგორ შევაფასოთ თქვენი სტატიები, განცხადებები, რომლებსაც თქვენ 1933 წელს სწერდით, და რომლებშიაც გამოსთქვამდით პარტიის ერთგულებას. მოტყუებაა?

კამენევი: არა, მოტყუებაზე უარესი.

ვიშინსკი: მუხანათობა?

კამენევი: უფრო უარესი!

ვიშინსკი: მოტყუებაზე უარესი მუხანათობაზე უარესი — „მოსძებნეთ ის სიტყვა. ღალატი?

კამენევი: თქვენ იგი იპოვეთ!"

შემდეგ იგი ლაპარაკობდა, რომ ამას იგი სჩადიოდა არა მარტო ზინოვიევთან შეთანხმებით, რომ იგი ამას სჩადიოდა ხელისუფლების დაპყრობის იმ წინათ შემუშავებული გეგმის შესასრულებლად, რომელიც ნდობის მოხვეჭის აუცილებლობას ეფარდებოდა.

პატარა დეტალი, რომელსაც ერთგვარი მნიშვნელობა აქვს ბრალდებული კამენევის მორალური, თუ გნებავთ იდეოლოგიური, დონის გამოსარკვევად, იმ ინტერესთა დასახასიათებლად, რომლებითაც იგი იმ დროს ცხოვრობდა, მისი ზოგიერთი გამოსავალი ზნეობრივი პოზიციის დასახასიათებლად.

მე ნებას მივცემ ჩემს თავს მივუთითო მაკიაველის ერთ წიგნზე (ტომი პირველი). იგი 1934 წელს კამენევის წინასიტყვაობით გამოსცა გამომცემლობა „აკადემიამ", რომელსაც მაშინ კამენევი ხელმძღვანელობდა.

ძალიან საინტერესო წიგნია. იგი დაწერილია XVI საუკუნეში. ავტორმა ეს წიგნი დასწერა მთავრისათვის. იგი მას ასწავლიდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მეცნიერებას მისი მთავრული ინტერესების შესაფერისად.

მაკიაველი სწერდა: „თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ბრძოლა შეიძლება ორნაირად. ბრძოლის ერთი სახე — ეს არის კანონები, მეორე — ძალა; პირველი ახასიათებს ადამიანს, მეორე — მხეცს.

მაგრამ ვინაიდან პირველი ძალიან ხშირად არ არის საკმაო, — ამიტომ იძულებული ვხდებით მივმართოთ მეორეს. მთავარს უნდა ახასიათებდეს როგორც მხეცის ბუნება, ისე ადამიანის ბუნებაც".

კამენევს ეს ძალიან მოსწონებია და ამ წიგნის მოკლე წინასიტყვაობაში მან დასწერა რამდენიმე შემდეგი საინტერესო სიტყვა: „პოლიტიკური აფორიზმის ოსტატი და ბრწყინვალე დიალექტიკოსი"... (კამენევის აზრით, მაკიაველი დიალექტიკოსი ყოფილა!). ეს ნაწრთობი გაიძვერა თურმე დიალექტიკოსია!.. „პოლიტიკური აფორიზმის ოსტატი"... კარგი აფორიზმია!! მაკიაველი სწერდა: კანონის შემწეობით მოქმედება ახასიათებს ადამიანებს, ძალის შემწეობით მოქმედება ახასიათებს მხეცს; გაჰყევი ამ მხეცურ პოლიტიკას და შენ, ამბობს მაკიაველი, მიაღწევ შენს მიზნებს". და ამას ბრალდებული კამენევი „პოლიტიკური აფორიზმის ოსტატობას" უწოდებს.

მოვუსმინოთ, რას სწერს შემდეგ კამენევი: „...დიალექტიკოსი, რომელმაც თავისი დაკვირვებებიდან მიიღო მტკიცე რწმენა, რომ რელატიურია ყველა ცნება და კრიტერიუმი კეთილისა და ბოროტისა, ნებადართულისა და აკრძალულისა, კანონიერისა და დანაშაულებრივისა"... კამენევის მიხედვით, ალბათ სწორედ ეს არის დიალექტიკა: ერთმანეთში ერევა დანაშაულებრივი და არადანაშაულებრივი, კანონიერი და უკანონო, კეთილი და ბოროტი, — ამაში მდგომარეობს დიალექტიკის ახალი „მარქსისტული" განმარტება მაკიაველის მაგალითის მიხედვით.

მაკიაველიმ, — სწერდა კამენევი 1934 წელს, — თავისი ტრაქტატიდან გააკეთა სიმწვავისა და გამომეტყველების მხრივ განსაცვიფრებელი კატალოგი იმ წესებისა, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს მისი თანამედროვე მმართველი, რათა დაიპყროს ხელისუფლება, შეინარჩუნოს იგი და ძლევამოსილად წინააღუდგეს მასზე ყოველგვარ ხელყოფას". კარგი მასწავლებელი გყავთ, კამენევ, მაგრამ თქვენ (ამ მხრივ თქვენ სათანადოდ უნდა მოგეზღოთ) გადააჭარბეთ თქვენს მასწავლებელს.

შემდეგ ამ წინასიტყვაობაში თქვენ სწერთ: „ეს ჯერ კიდევ არ არის ხელისუფლების სოციოლოგია, მაგრამ სამაგიეროდ ამ რეცეპტურაში მოსჩანს ზოოლოგიური თვისებები ხელისუფლებისათვის ბრძოლისა მონათმფლობელთა საზოგადოებაში, რომელიც ემყარება მდიდარი უმცირესობის ბატონობას მშრომელ უმრავლესობაზე".

ეს ასეა. მაგრამ ბრძოლის ეს მეთოდები და ბრძოლის პრინციპები, რომლებიც მონათმფლობელებს შეჰფერის, თქვენ გსურდათ გადმოგეტანათ ჩვენს საზოგადოებაში, გამოგეყენებინათ ჩვენი საზოგადოების წინააღმდეგ, სოციალიზმის წინააღმდეგ. „ასე შექმნა, სწერთ თქვენ, ფლორენციელ ბანკირთა ამ მდივანმა და მათმა ელჩმა პაპის კარზე, ნებსით თუ უნებლიეთ, უდიდესი აფორიზმების ძალის ყუმბარა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა გაბატონებულთა გონებას".... თქვენ, კამენევ, გადმოიტანეთ მაკიაველის ეს წესები და განავითარეთ ისინი უდიდეს უპრინციპობამდე და უზნეობამდე, მოახდინეთ მათი მოდერნიზაცია და სრულყოფა.

მე არ გთხოვთ, ამხანაგო მოსამართლენო, განიხილოთ ეს წიგნი როგორც ერთერთი ნივთიერი საბუთი ამ საქმის გამო. მე სრულიადაც არ მივმართავ ამ წიგნს იმისათვის, რომ დავამტკიცო ბრალდებულთა დანაშაულობა ამ ბოროტმოქმედებებში, რომლებიც მათ ჰბრალდებათ. მე მხოლოდ საჭიროდ დავინახე რამდენიმე წუთით მიმექცია ყურადღება ამ გარემოებისათვის, რათა მეჩვენებინა ის იდეური წყარო, რომლითაც ამ დროს საზრდოობდნენ კამენევები და ზინოვიევები. ესენი ახლაც, ამ პროცესზე, ცდილობენ შეინარჩუნონ კეთილშობილი სახე მარქსისტებისა, რომლებსაც შესწევთ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით შეფარდებით აზროვნებისა და მოქმედების უნარი.

[illegible] დიას. გამოაჩინეთ ბოლოსდაბოლოს და საბოლოოდ თქვენი ნამდვილი სახე. აქ მაკიაველის წიგნზე კამენევი ლაპარაკობს, როგორც უდიდეს ამაფეთქებელ ყუმბარაზე. როგორც ეტყობა, კამენევს და ზინოვიევს სურდათ გამოეყენებინათ ეს ყუმბარა, რათა აეფეთქებინათ ჩვენი სოციალისტური სამშობლო. ანგარიში წაუხდათ. და თუმცა მაკიაველი მათთან შედარებით უსუსური ბალღი და გულუბრყვილო კაცი, მაგრამ მაინც მათი სულიერი მოძღვარი იყო.

თქვენ „მაკიაველიზმში", აზროვნებაში ჰპოვებდით თქვენი საქმიანობისა და ბოროტმოქმედებათა წყაროს. ახლა ეს გამომჟღავნებულია თვითონ ზინოვიევისა და კამენევის მიერ: მკვლელობანი, ვერაგობა, სიმუხთლე და შენიღბვა იყო მათი დანაშაულებრივი მოღვაწეობის ერთერთი ძირითადი, გადამწყვეტი მეთოდი.

ზინოვიევმა და კამენევმა გულახდილად, თუმცა ცინიკურადაც აღიარეს გუშინ, რომ სწორედ ეს შედიოდა მათი საქმიანობის გეგმაში. ამას ამბობდა აქ რეინგოლდი, ამას ამბობდნენ აქ სხვა ბრალდებულნიც და ვფიქრობ, რომ ამ მეთოდთა დახასიათება საკმაოდ ამოწურულია ჩემ მიერ წარმოდგენილი მასალებით. ვაჯამებ რა ჩემი სიტყვის ამ ნაწილს, შემიძლიან ვთქვა, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრი ტერორისტულ საფუძველზე იყო მოწყობილი და ჰქონდა თავისი პროგრამა, თუმცა, მეტად პრიმიტიული და მარტივი, რომელიც რამდენიმე სიტყვით გამოიხატებოდა, და რომლის შესადგენადაც საჭირო არ იყო იმ ორი საათის დახარჯვაც, რომელზედაც აქ ტურაკვერით ლაპარაკობდნენ თვითონ ბრალდებულნი. მათი საშინაო პოლიტიკის პროგრამა მკვლელობით ამოიწურებოდა, მათი საგარეო პოლიტიკის პროგრამა—სსრ კავშირის დამარცხებით ომში, მათი მეთოდი—სიმუხთლით, ვერაგობით, ღალატით.

4. ტროცკისტ-ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური ტერორისტული საქმიანობა სავსებით დამტკიცებულია

გადავდივარ ჩემი საბრალმდებლო სიტყვის მეორე ნაწილზე, ეგრეთწოდებული გაერთიანებული ცენტრის პრაქტიკულ საქმიანობაზე და იმ როლის დახასიათებაზე, რომელიც თითოეულმა ბრალდებულმა შეასრულა ამ დანაშაულებრივ შეთქმულებაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ზინოვიევური და ტროცკისტული კონტრრევოლუციური ჯგუფების გაერთიანება, რაც 1932 წლის შემოდგომაზე მოხდა, აღმოცენდა და განმტკიცდა იმ ნიადაგსა და საფუძველზე, რომ ორივე მხარემ ტერორი აღიარა ძალაუფლებისათვის ბრძოლის ერთადერთ და გადამწყვეტ საშუალებად, იმ ბრძოლისა, რომელიც მაშინ ძირითადი და მთავარი ამოცანა იყო ტროცკისტებისათვისაც და ზინოვიეველთათვისაც.

ორგანიზაცია იყო. არალეგალური, კონტრრევოლუციური ტერორისტული ჯგუფი იყო. არსებობდა და მოქმედებდა. როგორც უნდა ცდილობდეს სმირნოვი ამის უარყოფას, იგი ამას ვერ შესძლებს. მეტად ძლიერია ფაქტები, მეტად მრავალი მასალა მოიპოვება იმისათვის, რომ ჩვენ, ბრალმდებლებს, გვქონდეს სრული საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ასეთი არალეგალური კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფი იყო; რომ ეს ტერორისტული ორგანიზაცია შექმნილი იყო; რომ იგი შექმნილი იყო სწორედ როგორც ტერორისტული ორგანიზაცია; რომ მან გააჩაღა თავისი საქმიანობა სწორედ როგორც ტერორისტული საქმიანობა, რომ იგი ამზადებდა ტერორისტულ თავდასხმებს და რომ მან კიდეც განახორციელა ერთერთი ამ თავდასხმათაგანი ჩვენდა ფრიად სავალალოდ და შესაზარად — 1934 წლის 1 დეკემბერს ავაზაკურად მოჰკლეს სერგეი მირონის-ძე კიროვი. ეს არის ყველაზე საშინელი დანაშაული, რომლის განხორციელებაც კი მოახერხა ამ ორგანიზაციამ.

1935 წლის იანვარში ჩვენ ვასამართლებდით „მოსკოვის ცენტრს" სასამართლოს იმ პროცესთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა ორი კვირით ადრე ეგრეთწოდებული „ლენინგრადის ცენტრის" შესახებ, რა საქმეზედაც მსჯავრდადებულნი და დახვრეტილ იყვნენ ნიკოლაევი, ნ. კოტოლინოვი, რუმიანცევი, სოსიცკი, და მთელი რიგი სხვები. ჩვენ მაშინ კიდევ ვერ ვიცნობდით ამ საშინელი ბოროტმოქმედების ჭეშმარიტ და ნამდვილ ავტორებს, წამქეზებლებსა და მონაწილეებს. ჩვენ მაშინ სწორ გზაზე ვიდექით. გამოძიება, რომელსაც ხელმძღვანელობდა შინსახკომი, მიდიოდა ამ დანაშაულის ნამდვილ ორგანიზატორთა გამომჟღავნების სწორი და მტკიცე გზით, თუმცა აღმოჩენილი დამამტკიცებელი საბუთების მდგომარეობა ჩვენ საშუალებას გვართმევდა წაგვეყენებინა მაშინ კამენევისათვის, ზინოვიევისათვის, ევდოკიმოვისათვის, ბაკაევისათვის პირდაპირი ბრალდება ამ მკვლელობის ორგანიზაციისა, ამ მკვლელობის ხელმძღვანელობისა, ამ მკვლელობის განხორციელებისა.

ეგრეთწოდებული „მოსკოვის ცენტრის" საქმეზე გამოტანილ განაჩენში, ცენტრისა, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდნენ კამენევი, ზინოვიევი, ევდოკიმოვი და ზოგნი სხვანი, მათი როლის შესახებ მხოლოდ ის იყო ნათქვამი, რომ ისინი მხოლოდ აღვივებდნენ თავის თანამონაწილეთა ტერორისტულ განწყობილებას, რომ ისინი ობიექტურად აქეზებდნენ მკვლელობას, ქმნიდნენ ობიექტურ ნიადაგს, რომელზედაც აუცილებლად უნდა აღმოცენებულიყო და ნამდვილადაც აღმოცენდა ეს დანაშაული.

გამოძიება და პროკურატურა აბსოლუტურად ობიექტური იყვნენ და არ წარუდგინეს მაშინ კამენევს, ზინოვიევს, ევდოკიმოვს და ბაკაევს ბრალდება ამ მკვლელობის პირდაპირ წაქეზებაში, პირდაპირ მოწყობაში. საბრალმდებლო დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ გამოძიებამ ვერ დაადასტურა ეს მათი პირდაპირი მონაწილეობა. მაგრამ ყველა მასალა, რომელიც საგამომძიებლო ორგანოების ხელთ იყო ნებას იძლეოდა გვეთქვა, რომ ეს პირები კამენევი, ზინოვიევი, ბაკაევი და ევდოკიმოვი — მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ამ დანაშაულთან და, როგორც ისინი მაშინ თითონ ამბობდნენ, უნდა ეკისრათ ამის სრული მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა.

ამის შესაბამისად „მოსკოვის ცენტრის" საქმის გამო კამენევის, ზინოვიევის, ევდოკიმოვისა და ბაკაევის მიმართ გამოტანილი იქნა შედარებით მსუბუქი განაჩენი — მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა.

კამენევმა, ზინოვიევმა, ევდოკიმოვმა და ბაკაევმა გააკეთეს ყველაფერი, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა, რომ დაემახინჯებინათ საქმის ნამდვილი მდგომარეობა, დაეფარათ დანაშაულის ნამდვილი ორგანიზატორნი და მონაწილენი. ისინი ცდილობდნენ საქმე ისე მოეჩვენებინათ, თითქოს მათ ხელი არ ჰქონდეთ გარეული ამ ბინძურ და საზიზღარ საქმეში. ამასთან ისინი მაღალი სტილით ლაპარაკობდნენ და აცხადებდნენ, რომ კონტრრევოლუციამ ისინი თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის იარაღად აირჩია. იმათ კი არ აირჩიეს კონტრრევოლუცია თავის ბრძოლის იარაღად, არამედ კონტრრევოლუციამ აირჩია ისინი თავის იარაღად...

ზინოვიევიც, კამენევიც, ბაკაევიც, ევდოკიმოვიც ყოველგვარად ცდილობდნენ დაერწმუნებინეთ და დაემტკიცებინათ, რომ გარდა მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობისა არავითარი სხვა პასუხისმგებლობა ამ ვერაგული მკვლელობისათვის მათ არ შეუძლიათ იკისრონ, მაგრამ ვითომც მზად არიან სრულად და კეთილსინდისიერად იკისრონ ეს პასუხისმგებლობა და ამ ფარგლებში აღიარებენ მათთვის წაყენებული ბრალდების სისწორესა და საფუძვლიანობას.

1935 წლის 15-16 იანვარს სასამართლოში ზინოვიევი ამბობდა. „საბრალმდებლო სკამზე ბევრნი ვსხედვართ 15 კაცზე მეტი, სხვადასხვა ბიოგრაფიის ადამიანები. ჩვენს შორის ბლომად არიან ისეთები, რომელნიც მუშათა მოძრაობაში მრავალ წელიწადს იღებდნენ მონაწილეობას. ისინი ბევრ რამეს აკეთებდნენ იმიტომ რომ მე მენდობოდნენ, და ამისათვის, რასაკვირველია, ჩემი თავი უნდა დავსაჯო... ამ სტადიაში ჩემს ამოცანას იმაში ვხედავ რომ მუშათა კლასის სასამართლოს წინაშე ბოლომდე, კეთილსინდისიერად და გულწრფელად მოვინანიო ის, რაც მე, შეცდომად და დანაშაულად მესმოდა, და ეს ისე მოვითხრო, რომ ეს ერთხელ და სამუდამოდ გათავდეს ამ ჯგუფის არგვლივ".

მე უკვე ვთქვი, რომ ზინოვიევის ეს განცხადება იყო თამაში, მანევრი, ტაქტიკური ფანდი.

ჩვეულებრივ ასე იქცევიან ხოლმე სისხლის სამართლის დამნაშავენი. ადამიანი, რომელსაც ბრალად ედება მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა, თავს დამნაშავედ სცნობს მხოლოდ ძარცვა-გლეჯაში. ადამიანი, რომელსაც ბრალად ედება ძარცვა-გლეჯა თავს დამნაშავედ სცნობს მხოლოდ ქურდობაში. ადამიანი, რომელსაც ბრალად ედება ქურდობა, თავს დამნაშავედ სცნობს მხოლოდ ნაქურდალის შენახვაში. ეს, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ჩვეულებრივი ფანდებია: უმძიმეს დანაშაულობათა წინაშე თავი დამნაშავედ იცნო მხოლოდ მსუბუქ დანაშაულობაში. ეს არის ნამდვილი კვალის დაფარვის ხერხი იმ იმედით, რომ ამას დაიჯერებენ გულმიამიტი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ მრავალ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეებშიაც კი, თავისთავს ნებას აძლევენ ნდობით მოეპყრან სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

ეს პოზიცია დაიჭირა ზინოვიევმაც. ანალოგიური პოზიცია დაიჭირეს აგრეთვე კამენევმა, ევდოკიმოვმა და ბაკაევმა და ამის უარყოფას ისინი არ დაიწყებენ. 1935 წელს მათ თითქმის დანაშაულზე წაასწრეს და ეს ადამიანები პასუხისმგებლობას კისრულობდნენ ნაკლები დანაშაულისათვის იმიტომ, რომ თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა, ნამდვილი პასუხისმგებლობა მეტი დანაშაულისათვის.

ზინოვიევი ლაპარაკობდა „კეთილსინდისიერ, გულწრფელ" აღიარებაზე, მაგრამ ეს ნამდვილად არ მომხდარა. ისინი ნამდვილად აკეთებდნენ ყველაფერს იმისათვის, რომ საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის არ გაეცათ თავისი თანამონაწილენი, რომ დაეტოვებინათ რაიმე რეზერვი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, საჭირო მომენტში ეს რეზერვები აემოძრავებინათ და წარემართათ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ამით აიხსნება ზინოვიევის, კამენევის, ევდოკიმოვისა და ბაკაევის მთელი პოზიცია ლენინგრადის 1935 წლის 15-16 იანვრის პროცესზე. „სწორია, — ამბობდა ზინოვიევი, — რომ ჩვენ გვასამართლებენ ობიექტური ნიშნების მიხედვით". იგი ლაპარაკობდა, რომ იმ დროს მასთან ერთად საბრალმდებლო სკამზე მსხდომ ყველა ადამიანს არ იცნობდა. ზინოვიევი თურმე არ იცნობდა არც ევდოკიმოვს, არც გერტ... არც კამენევს, არც საზონ... ზინოვიევი ლაპარაკობდა, რომ სუბიექტურად ისინი მუშათა კლასის „ერთგულნი" იყვნენ, მაშინ ზინოვიევმა ნებაც კი მისცა თავს დაემტკიცებინა, ისიც და 15 მისი თანამონაწილე სუბიექტურად თითქოს მუშათა კლასის ერთგულნი იყვნენ და სურდათ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ აღმდგარიყვნენ, ხოლო ობიექტურად მათ საწინააღმდეგო გამოუვ...

გაგრძელება მე-4 გვერდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პროცესი

სახელმწიფო ბრალმდებლის, სსრ კავშირის პროკურორის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის გაგრძელება

გამოუვიდათ საწინააღმდე- ნე მინდა, რომ ბრალდებულმა ოვიევმა თავის დასკვნით სიტყვა- ში სთქვას, თუ როგორ მოხდა, რომ ბიექტურად იგი მუშათა კლასის თგული იყო, ხოლო ობიექტუ- ი საწინააღმდეგო გამოუვიდა შეუძლებელია ასე იყოს და არც ბა ხოლმე ასე. თუ ობიექტურად ულოც ასე გამოვიდა, ეს მხო- დ იმიტომ, რომ თქვენი, ბრალ- ბული ზინოვიევ, ერთგულება ევოლუციისა ყალბი იყო და დამ ლი. რას ფიქრობდით, როდესაც ქვენ ამ სიტყვებს ამბობდით? მე ობოვთ ესეც სთქვათ თქვენს დასკ- ით სიტყვაში.

თქვენ შეიარაღდით საბჭოთა სა- ლმწიფოს წინააღმდეგ არა მარტ- ვარძლით, არამედ სასროლი იარ- თაც. თქვენ პრაქტიკულად ან- ორციელებდით თქვენს დანაშაუ- ებრივ ზრახვებს. თქვენ თითონ აპარაკობდით თვალთმაქცობაზე, გრამ ამავე დროს ამაზე ისე ლა- რაკობდით, რომ დაგემალათ, ამ მენტშიაც რომ განაგრძობთ თვალთმაქცობის პოლიტიკას.

თქვენ ამბობდით: „მე მივეჩვე- ხელმძღვანელად მებრძოლ თა- ჩემთვის პირადად უდიდე- ს თანამშრობა სწორედ ეს მო- ". თქვენ ამბობდით: „მე მივე- ავი ხელმძღვანელად მებრძოლ ისთავად ცხადია ყველაფერ- ოდნოდა. მე თუ ხელმძღვ- მოცილებული ვარ—ეს ან ლობაა, ან გაუგებრობა, ან ება რამდენიმე თვით არის. მართლება როდია, მაგრამ ქვამ ყოველივე იმას, რა- ლად ვფიქრობ და ამით რსებიდან ამომაქვს უკანასკ- ო ხინჯი იმ დანაშაულობებისა, აქ ჩვენს თვალწინ იშლება".

ნოვიევმა „უკანასკნელი ხინ- ლენინგრადის პროცესზე ამოი- არა, მას არ ამოუღია, მან ვა ეს ხინჯი და არა ერთი. მრავალი ხინჯი ჩვენი სოც- ტური ქვეყნის სხეულში ვის, რომ განეგრძო უმძიმეს დანაშაულობათა მზადება და შეს- ლება.

თქვენ ამბობდით:

„...მე სხვანაირად ვერ წარმომედგინა: როგორ თუ მე ჩემი წრის გარეშე ვიყო, ყველაფერი არ ვიცოდე, პოლიტიკის შოაგულში რომ არ ვიყო და სხვა?!!

ი ფიქრი რაც თქვენ გაწუხებ- — რომ უთქვენოდ როგორ ლიება...

თქვენი მდგომარეობა წარსულში ბიებით განისაზღვრებოდა, რო- რც ახლაც თქვენი მდგომარეობა ვენი საქმეებით განისაზღვრება. დესაც საკითხს ვაყენებთ, იყო არა ცენტრი, თქვენ ამბობთ: ცვირველია, იგი იყო 1929 დიო.

ვენ ცდილობთ დაამტკიცოთ, შემდგომ წლებში ცენტრი არ ოდა, არსებითად რომ ვთქვათ. 29 წლიდან იგი არ მოქმედებდაო. მოტყუებაა. ძველი ზინოვიევური ცენტრი გადაიქცა გაერთიანებული ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ცენტრად, მან რეფორმა განი- და, რამდენადმე განმტკიცდა, ვი- იდან მოხდა რამდენიმე დაჯგუ- ბის კონსოლიდაცია. 1932 წლი- ნ იგი იწყებს თავისი საქმიანო- ს უფრო ფართოდ გაშლას. 1933 ლს იგი განსაკუთრებულ აქტიო- ბ იჩენს, ამზადებს მთელ რიგ ტე- რისტულ აქტებს და 1934 წელს ორციელებს ერთერთ მათგანს.

ზინოვიევი ამბობდა:

„ეს არ არის ის ცენტრი, რომე- ც 1926-1927 წლებში იყო" და მ მას, ამ ცენტრთან არავითარი ვშირი არ ჰქონია. როგორ ახსნე- ა მაშინ ზინოვიევი ლენინგრა- ის ცენტრთან კავშირის დამყარე- საკითხს? იგი ამბობდა:

„...რომ იყო ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა კოტოლინოვისაგან, მანდელშტამისაგან, მიასნიკოვისაგან და სხვ. დიდ როლს თამაშობდა კოტოლინოვი რაც ზინოვიევმა თითქოს კიროვის მოკვლის შესახებ შედგენილი საბრალდებლო აქტიდან გაიგო".

ზინოვიევს სურდა დავერწმუნე- ნეთ, რომ ლენინგრადის ამ ტე- რისტული ჯგუფის ერთერთი რგანიზატორის ვინაობა მან მხო- ოდ საბრალდებლო დასკვნიდან იგო.

ასე იყო თუ არა ეს ნამდვილად? ა. ზინოვიევი გზავნიდა ბაკაევს ლენინგრადში, რათა დაეკავშირე- ოდა ნიკოლაევ - კოტოლინოვის გუფს, რათა ბაკაევს შეემოწმები- , თუ როგორ ამზადებდნენ ბო- როტმოქმედებას ნიკოლაევი, კოტო- ლინოვი, მანდელშტამი და სხვები. აქ საქმე გვაქვს კვლავ მოტყუე- სთან, სიცრუესთან, კვლავ ზინო- ვიევსთან!

„ჩვენ ვეძებდით მათთან დაახლო- ვებასო". მთელი თავისი შეხედვის უბრიადად, ზინოვიევს ჯერ კიდევ 35 წელს უნდა ეღიარებინა, რომ ი ეძებდა დაახლოვებას კოტოლი- ნოვთანა და ნიკოლაევთან და ოგა ეს დაახლოვება. ახლა ეს სოლუტური საზუსტით არის გა- ოცხადე...

ზინოვიევი მოგვითხრობს, რომ 32 წელს იგი შეხვდა ლევინს, მარტოც 1935 წლის დახურულ- კიროვის მოკვლის საქმის გა- და დასძინა: „ორგანიზაციული ლაპარაკი ჩვენ არ გვქონია. და ეს ც იყო განსაკუთრებით საშ- ჩემს აზრს მყისვე მიხ- ებოდნენ ხოლმე, მე მისთ- ს ავტორიტეტი ვიყავი, ჩემ- საც იგი ავტორიტეტი იყო, ვიცოდი, რომ ეს კაცი ჩემთან ათა ჯგუფიდან ისე მოვიდა, როგორც ჩვენ ვიცით". აქ ჯერ დევ არის მთელი რიგი ნართაუ- ლაპარაკი, ნახევრად აღიარება. მოწმეთა საფუძველზე შემდეგ- ლოდ ზინოვიევის მამხილებელი ელი რიგი საბუთების მთლიანად არჩევებით გახდა შესაძლებელი ორეზულიზუო ზინოვიევის მიერ სრული აღიარება, რომ იგი მონაწილეობას ღებულობდა ამ ბოროტმოქმედებაში, ახლა ზინოვიევი უკვე აღარ მალავს იმ გარემოებას, რომლის შესუსტებაც გუშინ აქ ასე ძლიერ უნდოდა ბაკაევს.

ჯერ კიდევ 1935 წლის იანვარში „მოსკოვის ცენტრის" საქმის გამო, ზინოვიევმა აღიარა, რომ ვლადიმერ ლევინი განსაკუთრებით ახლოს იდგა ბაკაევთან. ხოლო გუშინ ბაკაევი ცდილობდა შეესუსტებინა ეს სიახლოვე, შეესუსტებინა იმაზე მითითებით, რომ იგი გაემგზავრა ლევინთან ლენინგრადში არა ტერორისტული ხასიათის კონსპირაციული მიზნებისათვის, რომლებიც სწორედ შესაძლებელია ასეთი სიახლოვის არსებობის დროს. იგი მუდამ ცდილობდა ეთქვა: ამოშალეთ ჩვენებიდან და საბრალდებლო დასკვნიდან სიტყვები „ამ მიზნისათვისო". ვერა, ბაკაევ, ამას ჩვენ ვერ ამოვშლით, ამის ამოშლა არ შეიძლება, ვინაიდან თქვენ გაემგზავრეთ „ამ მიზნისათვის" როგორც ასეთი საქმეების, ტერორისტული საქმეების ოსტატი და გაემგზავრეთ არა შემთხვევით!

რატომ არ გაგზავნა ზინოვიევმა ლენინგრადში რეინგოლდი, პიკელი, არ გაგზავნა ევდოკიმოვიც კი. რატომ მოხდა, რომ ლენინგრადის ჯგუფთან, ამხ. კიროვის მომავალ მკვლელთა ჯგუფთან მოსალაპარაკებლად ზინოვიევმა სწორედ ბაკაევი აირჩია. ამის პასუხს მე ვპოულობ ზინოვიევის და ნაწილობრივ ბაკაევის მიერ 1935 წლის 15-16 იანვრის პროცესზე მიცემულ ახსნა-განმარტებაში. ზინოვიევმა ბაკაევი იმიტომ აირჩია, რომ იგი ყველაზე უფრო ახლოს იყო დაკავშირებული ლევინთან, რომელიც იყო ზინოვიეველთა წარმომადგენელი ლენინგრადში, რომელიც იყო ლენინგრადის ტერორისტული არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რაც თვითონაც აღიარა შარშან სამხედრო კოლეგიის სხდომაზე. ამის დამადასტურებელ საბუთს ჩვენ ვპოულობთ ზინოვიევის ჩვენებაშიაც: „მას განსაკუთრებით ახლოს იცნობდა ბაკაევი, იგი იყო ანტიპარტიული ბრძოლის ერთერთი მსხვილი ორგანიზატორი ლენინგრადშიო"...

ბრალდებულო ზინოვიევ, განა მარტო ანტიპარტიული ბრძოლისა? ანტისაბჭოთა ბრძოლისა, კონტრრევოლუციური ბრძოლისა, იმ ბრძოლისა, რომელიც თვით თავისი არსებით აშკარა კონტრრევოლუციურ, ანტისახელმწიფოებრივ, ანტისაბჭოთა ხასიათს ატარებდა!

შემდეგ ზინოვიევი ამბობდა: „მე მისთვის არავითარი დავალება არ მიმიციაო". ეს კი, იცით, ისეთი იეზუიტობაა, რომ ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია. ეს იმასა ჰგავს, რომ როცა ერთ იეზუიტ ზერს ჰკითხეს — „გაიარა თუ არა აქ ამ კაცმაო" — მან სახელოში ხელი ჩაიყო და უპასუხა: „აქ მას არ გაუვლიაო".

ლევინთან თქვენ კავშირი არ გქონიათ, მაგრამ თქვენ ეს კავშირი გქონდათ ბაკაევის საშუალებით ბაკაევი მიდიოდა თქვენის დავალებით. და, მაშასადამე, როცა თქვენ გვეუბნებოდით: „მასთვის მე არავითარი დავალება არ მიმიციაო".

— თქვენ კვლავ გვატყუებდით!

თქვენს დავალებებს მარტო ბაკაევი როდი ასრულებდა. თქვენ ყველანი — კამენევიც, ზინოვიევიც, მთელი თქვენი ცენტრი აწარმოებდით მოლაპარაკებას ლევინთან, კოტოლინოვთან, ნიკოლაევთან, რუმიანცევთან, სოსიცკასთან, მანდელშტამთანა და ლენინგრადელ ზინოვიეველთა ამ განადგურებული, მოსპობილი ბანდის მთელ რიგ სხვა წევრებთან. მთელი თქვენი ცენტრი ამოწმებდა, თუ როგორ ამზადებდა ლენინგრადის ზინოვიევური ბანდა ამ ბოროტმოქმედებას, მოუთმენლად ელოდა, თუ, ბოლოს, როდის მოისპობოდა, ჩვენი პარტიის ეს ერთგული შვილი, ლენინგრადის ბოლშევიკთა ხელმძღვანელი და მგზნებარე ტრიბუნი სერგეი მირონის-ძე კიროვი. და ისინი მოესწრნენ ამ მკვლელობას.

აქ, სასამართლოში, ზინოვიევმა აღიარა, რომ მან დააჩქარა ეს მკვლელობა. იგი ჩქარობდა, იგი გაფაციცებით ეძლაუქებოდა ისეთებს, როგორც ნიკოლაევი და კოტოლინოვი იყვნენ, რათა რაც შეიძლება მალე განეხორციელებინა ეს მკვლელობა. აქ უკანასკნელი მოტივი არ ყოფილა იმის სურვილიც, რომ გადაეჭარბებინათ ტროცკისტული ტერორისტებისათვის. ტროცკისტები ძალას ატანდნენ.

ზინოვიევმა აღიარა, რომ სმირნოვიც აჩქარებდა. ისინი ყველანი ჩქარობდნენ. ტროცკისტები უფრო გაბედვით და ენერგიულად მოქმედებდნენ, ვიდრე ზინოვიეველები. ზინოვიევმა იცოდა, რომ საზღვარგარეთიდან ჩამოდიოდნენ ტროცკისტი ტერორისტები. და ზინოვიევმა „ღირსების საქმედ— სამარცხვინოა ამ სიტყვის აქ ხმარება—გამოაცხადა თავისი დანაშაულებრივი განზრახვის რაც შეიძლება მალე განხორციელება, უფრო მალე, ვიდრე ამის განხორციელებას შესძლებდნენ ტროცკისტები! აქედან გამომდინარეობს ზინოვიევის ცეცხლისებრი მოუთმენლობა. ამიტომ იყო, რომ იგი ყოველდღე ელოდა, თუ, ბოლოსდაბოლოს, როდისღა გავარდებოდა ლენინგრადში გამცემლური ტყვია. მთელი მისი საქმიანობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება წარმატებით განეხორციელებინა ეს თავისი ბოროტმოქმედება.

ასე გვეხატება ზინოვიევის როლი და საქციელი ამ საქმეში.

ვამთავრებ რა ამ ეპიზოდს, ახლა მე მსურს მივიღო ზინოვიევისაგან პირდაპირი პასუხი: კისრულობს თუ არა ზინოვიევი არა მარტო მორალურ, არამედ სისხლის სამართლის მთელ პასუხისმგებლობას და ამასთან სრულ პასუხისმგებლობას სერგეი მირონის-ძე კიროვის მკვლელობის მომზადებისა, ორგანიზაციისა და ჩადენისათვის.

რასაკვირველია, ზინოვიევი იტყვის: „დიახ". სხვანაირად თქმა მას არ შეუძლიან. მან ასე უკვე სთქვა პროცესის პირველსავე დღის, როცა იგი მამხილებელი და დამამტკიცებელი საბუთების რკინის ჯაჭვით შებოჭეს!

თითქმის ანალოგიური პოზიცია ეჭირა კამენევს ამავე პროცესზე. ანალოგიურ პოზიციას იდგა ბაკაევიც. კამენევი ამბობდა — მე არ ვიცოდი, თუ „მოსკოვის ცენტრი" არსებობდაო. სურს რა მოგვაჩვენოს თავი კეთილშობილ ადამიანად, იგი ამბობს, რამდენადაც ეს ცენტრი არსებობდა და ეს დამტკიცებულია, მე მისთვის პასუხს ვაგებო.

კამენევს გამოუვიდოდა: არ ვიცოდი, რომ არსებობდა ცენტრი, მაგრამ, თუ ცენტრი არსებობდა, მაშასადამე, მე ვიცოდიო. მაგრამ კამენევმა იცოდა ცენტრის არსებობა, ნამდვილად იცოდა. ეს დამტკიცებულ იქმნა.

ახლა კი ეს დადასტურებულია კიდევ ახალი დამამტკიცებელი საბუთებით, რაც მოპოვებულია იმასთან დაკავშირებით, რომ აღმოჩენილ იქნა დამნაშავეთა მთელი რიგი ახალი ბანდები, რომლებიც ამავე მიმართულებით მოქმედებდნენ. ამ დამამტკიცებელმა საბუთებმა სავსებით გაამჟღავნეს ეს კოშმარული და საშინელი საქმე.

მაშინ კამენევი ცდილობდა თავი პოლიტიკურად დაბრმავებულ ადამიანად მოეჩვენებინა. იგი ამბობდა: მე დავბრმავდი — მივაღწიე 50 წელს და არ მინახავს ის ცენტრი, რომელშიაც თურმე ვმოქმედებდი, რომელშიაც მონაწილეობას ვიღებდი მოქმედებით და უმოქმედობით, სიტყვით და მდუმარებით. ეს რაღაც სპირიტუალიზმია, სპირიტუალიზმი და შავი ჯადოქრობა!

ეს ჩვენ მაშინაც გაგვეგებოდა, როგორც რაღაც ყალბ სიტყვებზე ამოფარებული აშკარა ცდა და ამ მსჯელობათა სიყალბით შემზარაობის დამალვა. ახლა ყველაფერი ეს საბოლოოდ გამოაშკარავებულია. არა, კამენევი არ დაბრმავებულა, კამენევი ძალიან კარგად ხედავდა და იცოდა, რასაც აკეთებდა. იგი მშვენივრად ხედავდა, რაც მის გარშემო ხდებოდა, იმიტომ, რომ მან დაიწყო ის, რაც მის გარშემო ხდებოდა. კამენევი არ დაბრმავებულა, რადგან იგი მოქმედებდა სიტყვითაც და დუმილითაც. დუმილით,—როდესაც იგი არ ამბობდა „ნუ მოქმედებთ", როდესაც იგი მოვალე იყო ეს ეთქვა, და სიტყვით, როდესაც იგი ამბობდა: „იმოქმედეთ" —როდესაც — შეიძლება ზოგი მისი უმცროსი თანამშრომელი მერყეობდნენ და მართავდნენ მას, როგორც ავტორიტეტს, როგორც მასწავლებელს.

კამენევმა განაცხადა: მინდა ვსთქვა, არა თავის მართლებისათვის, წინად მე ეს არ მახსოვდა, ახლა კი მაგონდება, რომ ოდესღაც მე ზინოვიევმა მითხრა, ჩემთან იყო საფაროვი და წინადადებას მაძლევდა რაღაც ბლოკის შესახებაო. მე ვუთხარი არავითარ მონაწილეობას არ მივიღებ არავითარ ბლოკში, ვინაიდან არასოდეს არ მწამდა ეს ადამიანი—მეთქი. ეს ზინოვიევს შეუძლია დაადასტუროს. მე ლაპარაკის წინააღმდეგი არ ვიყავი. მე ველაპარაკებოდი.

ვის ელაპარაკებოდა?

„ტოლმაზოვსა და შაცკის". ტოლმაზოვი და შაცკი კი—ლენინგრადის ზინოვიევური ბანდის აქტიური წევრები იყვნენ, რომლებმაც ამხ. კიროვი მოკლეს.

კამენევს ლაპარაკი ჰქონდა ტოლმაზოვთან და შაცკისთან, ე. ი. ამხ. კიროვის მკვლელობის ერთერთ მთავარ ორგანიზატორებთან, მაშასადამე კამენევი ებმოდა ამ ლაპარაკში, რასაც ბაკაევის საშუალებით აწარმოებდა. მაგრამ იგი ცდილობდა ეს დაემალა.

კამენევი ამტკიცებდა, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არ შეეძლო ჰქონოდა ტერორთან, მან პოზა მიიღო და განაცხადა: „უნდა ვთქვა, რომ ჩემი ხასიათით მხდალი როდი ვარ. მაგრამ მე არასოდეს არ ამიღია გეზი საომარ ბრძოლაზე. მე ყოველთვის მოლოდინი მქონდა, რომ შეიქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდებოდა შეგვითანხმებოდა, შევიწროვებულიყო და ადგილი ჩვენთვისაც მოეცა...

უკანასკნელ ორ წელს არ არსებობდა ეს ოცნება, არ არსებობდა იმიტომ, რომ მე არა ვარ მეოცნებე და ფანტაზიორი. ჩვენს წრეში იყვნენ ფანტაზიორები და ავანტიურისტები, მაგრამ მე ამ კატეგორიას არ ვეკუთვნი".

ვფიქრობ, რომ ახლა კამენევი ცოტა სხვანაირ კვალიფიკაციას მისცემს თავის მონაწილეობას ამ საქმეში. რას ისახავდა კამენევი თავის მიზნად: იღებდა თუ არა იგი გეზს საომარ ბრძოლაზე?

მაშინ იგი ლაპარაკობდა — „არაო". ახლა, ორი დღის წინათ, მან სთქვა—„დიახო". მაშინ იგი ლაპარაკობდა „არაო", იმიტომ რომ მან იცოდა, იგი ხედავდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა ამ კოშმარული დანაშაულის ყველა ძაფი, იმიტომ, რომ მაშინ საგამომძიებლო მასალის მდგომარეობის გამო ეს ძაფები ბოლომდე არ იყო გახსნილი. მაშინ იგი ლაპარაკობდა — „არაო". ახლა, როდესაც ყველაფერი უკვე გამოაშკარავებულია, იგი ამბობს — „დიახო". დამახასიათებელი ფაქტია! იგი მოწმობს, თუ ამ დანაშაულებრივ კამენევურ „მუშაობაში" რა დიდ, გადამწყვეტ როლს თამაშობდა პირადი მოტივები. კამენევი ფიქრობდა, უნდა დადგეს ისეთი დრო, როდესაც ცენტრალური კომიტეტი თავს შეავიწროვებს და მას იქ თავის ადგილს მიანიჭებს. რომ არ შეევიწროვებინა თავი? რომ არ განეთავისუფლებინა მისთვის ადგილი? მაშინ იგი, კამენევი, მიიღებდა ზომებს, რომ ეს ადგილი განთავისუფლებულიყო.

აი კამენევის მთელი ლოგიკა და პოლიტიკა! ისეთი ლოგიკა და პოლიტიკა, რომელიც ნებას არ გვაძლევს დავეთანხმოთ იმას, რომ იგი არ ეკუთვნის იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებსაც თვითონ მან ავანტიურისტები უწოდა. არა, იგი, ალბათ, ეკუთვნის ადამიანთა სწორედ ამ კატეგორიას, როგორც იგი ეკუთვნის მეორე კატეგორიასაც, „ფანტაზიორებს". ფანტაზია აქ ცოტა როდია. ხოლო დიდია სურვილი პრაქტიკაში, ცხოვრებაში ამ ფანტაზიის განხორციელებისა, მისი საქმედ ქცევისა თუნდაც ავანტიურების გზით, ჯაშუშებთან, დივერსანტებთან, ოხრანიკებთან, მკვლელებთან ბლოკის საშუალებით და უშუალო მკვლელობის გზით.

კამენევი ამას არ თაკილობდა, კამენევი ამისათვის მზად იყო.

აი კიდევ რას ლაპარაკობდა იგი ლენინგრადის პროცესზე.

„მე ვლაპარაკობ სოციალიზმის ამ დიდ მშენებელთა პორტრეტების წინაშე..." უნდა კი ითქვას, რომ იქ იყო სამგლოვიარო არშიაშემოვლებული პორტრეტიც, ამხ. კიროვის პორტრეტი. კამენევი სასამართლოში გვეფიცებოდა კამენევის მიერ მოკლული კიროვის პორტრეტის წინაშე!

„... სოციალიზმის ამ დიდ მშენებელთა პორტრეტების წინაშე მე დამნაშავე ვარ, თუ მე ძალა არ მეყო თვით წავსულიყავი და წამეყვანა, ვინც კი შეიძლებოდა.."

სიყალბე! ისევ ორპირობა, ვერაგობა, მუხანათობა, ცინიზმი!

5. ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ცენტრმა მოჰკლა ამხანაგი კიროვი

ზემოთ მე დავსვი საკითხი: იყო თუ არა ორგანიზაცია, იყო თუ არა ტროცკისტულ - ზინოვიევური ცენტრი? ვუპასუხებ: დიახ, იგი იყო, იგი წარმოიშვა 1932 წელს მის შემადგენლობაში შედიოდნენ: კამენევი, ზინოვიევი, ევდოკიმოვი, ბაკაევი, სმირნოვი, ტერ-ვაჰანიანი და მრაჩკოვსკი.

ეს ცენტრი იყო და, რაც ყველაზე მთავარია, იგი შესდგა ტროცკის, ზინოვიევისა და კამენევის პირდაპირი მითითებით. იგი შესდგა ტროცკის პირდაპირი დირექტივით ტერორის შესახებ, როგორც ერთადერთი საშუალებისა საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ის ჩამოყალიბდა ორმაგი და სასტიკი კონსპირაციის პირობებში. ტროცკი - ზინოვიევ - კამენევის ამ კონსპირაციული სკოლის ერთერთი წარმომადგენლის ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გუშინ აქ გვენახა ბრალდებული გოლცმანის სახით. საბრალმდებლო სკამზე სმირნოვის სახით ზის მეორე კონსპირატორი. ცენტრი იყო და მოქმედებდა მან მიმართო არა მარტო პირდაპირი ვერაგობის, მოტყუებისა და გამცემლობის მეთოდს, არამედ, როგორც ახლა ეს ზუსტად არის გამორკვეული, მან მოაწყო და დაამყარა საიდუმლო კავშირი გერმანელ ფაშისტებთან, რომელთანაც მან შეაუღლა გერმანელი ტროცკისტები, გამოიყენა რა ისინი ჩვენს ხელმძღვანელობასთან ბრძოლისათვის და ისარგებლა რა მათი კავშირით გერმანულ გესტაპოსთან ტუკალევსკებისა, ვ. ოლბერგებისა და სხვ. სახით.

მე აბსოლუტურად დამტკიცებულად მიმაჩნია უკლებლივ ყველა ბრალდებულის პირადი ჩვენებებით, სხვათა შორის ამ ნაწილში სმირნოვის ჩვენებითაც, რომ ეს ცენტრი მოწყობილ იქნა ტერორისტულ საფუძველზე, რომ ცენტრი მოქმედებდა ტერორისტული მეთოდებით და ბრძოლის ყველაზე ბინძურ და ცინიკურ საშუალებებსაც კი არ თაკილობდა. მე აბსოლუტურად დამტკიცებულად მიმაჩნია, რომ ამ ცენტრმა მოამზადა მთელი რიგი ტერორისტული აქტები უკრაინასა, მოსკოვსა და ლენინგრადში. დასასრულ ამ ცენტრმა მოამზადა და განახორციელა ლენინგრადში სერგეი მირონის-ძე კიროვის მოკვლა.

სერგეი მირონის-ძე კიროვის მოკვლა შედიოდა, როგორც უკვე ვთქვი, საბჭოთა სახელმწიფოს და საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელთა იმ საერთო გეგმაში, რომლებსაც შეთქმულები ამზადებდნენ. ეს გამოირკვა სხვათა შორის, ევდოკიმოვის ჩვენებებითაც. ვთხოვ სასამართლოს მიაქციოს ყურადღება ევდოკიმოვის 10 აგვისტოს ჩვენებას, სადაც იგი ამბობს, რომ კიროვის მოკვლა განხორციელდა ტროცკისტულ - ზინოვიევური ბლოკის გაერთიანებული ცენტრის პირდაპირი დირექტივით, სადაც ის ამბობს, რომ 1934 წელს ზინოვიევმა მას პირდაპირი დირექტივა მისცა ამის თაობაზე. ეს ბაკაევმაც დაადასტურა. გადაწყვეტილება კიროვის მოკვლის მოწყობის შესახებ მიღებულ იქნა ზინოვიევის, კამენევის, ევდოკიმოვისა და ბაკაევის მიერ და ტროცკის წარმომადგენლების — მრაჩკოვსკისა და ტერ-ვაჰანიანის მიერ.

ევდოკიმოვის ჩვენებები, რომლებსაც ახლა ვემყარები, ამბობს: „ბაკაევი მკვლელობის მომზადების მიზნით გაგზავნილ იქნა ქალაქ ლენინგრადში 1934 წლის ნოემბრის დამდეგს, ე. ი. რამდენიმე დღით ადრე ნიკოლაევის მიერ კიროვის მოკვლისა სმოლნში, ამ მკვლელობის მომზადების შესამოწმებლად. ბაკაევმა პირადად ინახულა ნიკოლაევი, ჩავიდა მოსკოვს, აცნობა ამის შესახებ ევდოკიმოვს, ზინოვიევს და კამენევს, რომელთაც სიამოვნებით აღნიშნეს ამ ავაზაკური დანაშაულის სამზადისის მსვლელობა და მოელოდნენ ამ გასროლას. ბაკაევმა გააფრთხილა ნიკოლაევი და მისი თანამონაწილენი, რომ ისინი უნდა ელოდნენ ზინოვიევის სიგნალს, რომ მათ უნდა გაისროლონ ლენინგრადში სწორედ იმავე დროს, როდესაც გაისმება სროლა მოსკოვსა და კიევში".

ყველაფერი ეს ახლა დამტკიცებულია სასამართლოს მიერ. აბა, ბრალდებულთ გაბედონ ამის უარყოფა თავდასაცავ სიტყვებში.

ამას შემდეგ, რაც წინასწარ კვლევა - ძიებაზე ხანგრძლივად უარობდა, ზინოვიევმა მთელი რიგი ჩვენებები მოგვცა, რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ. დამახასიათებელი დეტალი: ჯერ კიდევ 1932 წლის შემოდგომაზე ზინოვიევისა და კამენევის აგარაკზე (მათ საერთო აგარაკი ჰქონდათ, რომელსაც, უნდა ითქვას, ერთხელ კამენევმა თავის უბედურებათა წყარო უწოდა) ბაკაევს დაავალეს ტერორისტული აქტის მომზადება ამხ. სტალინის წინააღმდეგ, ხოლო კარევს ამხ. კიროვის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, ვინაიდან კარევი დაპატიმრებული აღმოჩნდა, ხოლო კამენევი და ზინოვიევი გადაასახლეს.

დადგა 1933 წელი. ტერორისტულ განწყობილებათა გამოცოცხლების წელი. ტროცკისტულ - ზინოვიევური ცენტრის საქმიანობის განახლების წელი და აი უკვე აქ აძლევენ ბაკაევს დავალებას და იწყება საფუძვლიანი მომზადება ამხ. კიროვის მოსაკლავად.

კამენევი ამბობს „მე არ ვიცოდი, თუ როგორ მიდიოდა პრაქტიკულად ეს მომზადება, იმიტომ, რომ პრაქტიკულ ხელმძღვანელობას ამ ტერორისტული აქტის მოსაწყობად მე კი არ ვახორციელებდი, არამედ ზინოვიევიო".

ბრალდებულო კამენევ, იცოდით თუ არა, რომ ბაკაევი იყო ლენინგრადში იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მიმდინარეობდა იქ მომზადება? დიახ, თქვენ იცოდით. იცოდით თუ არა, რომ ბაკაევი, როდესაც შეამოწმა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგიანად მიდის, ჩამოვიდა მოსკოვში და მოგახსენათ თქვენ მომზადების მსვლელობა? იცოდით. ამის შემდეგ, როგორღა აძლევთ თავს ნებას ილაპარაკოთ, თითქოს თქვენ არ მიგიღიათ პრაქტიკული მონაწილეობა კიროვის მკვლელობის განხორციელებაში? თქვენი ცდა, რომ ყველაფერი ეს ზინოვიევს გადააბრალოთ — პირდაპირ ცუდი ხარისხისაა.

კამენევი ასე ლაპარაკობს — „გადაწყვეტილი იყო" მოკვლაო და დასძენს: „მე ამ გადაწყვეტილებას შევუერთდიო". განა ეს პრაქტიკული განხორციელება არ არის?

ბაკაევი დაჟინებით უარობდა წინასწარ კვლევაძიებაზე და არ სცნობდა თავის როლს კიროვის მკვლელობის მომზადებაში, მაგრამ იგი გამოამჟღავნა კარევმა, რომელმაც მოაგონა მთელი რიგი ფაქტები და უკვე ამის შემდეგ ბაკაევი გამოტყდა. სწორედ ამიტომ — ბაკაევისეული გამოტეხის გამო, უარი ვთქვი დამეკითხა კარევი სასამართლოში.

სერგეი მირონის-ძე კიროვი მოჰკლა ნიკოლაევის, კოტოლინოვის ხელმა, მისმა ჯგუფმა. მაგრამ კიდევ ვინ მოჰკლა იგი? მე ვეკითხებოდი ზინოვიევს: როდის მოეწყო გაერთიანებული ცენტრი? ზინოვიევმა მიპასუხა, 1932 წლის ზაფხულსო. მე ვკითხე: რა ხნის განმავლობაში მოქმედებდა ის-მეთქი? ზინოვიევი: ფაქტიურად 1934 წლამდეო.

ამ კითხვაზე მინდა უფრო დაწვრილებით შევჩერდე. 1932-33 წ. კამენევი და ზინოვიევი გადასახლებული იყვნენ. ცენტრი კი მოქმედებდა. ცნობილია, რომ 1934 წელს თავისუფალი არ ყოფილა არც სმირნოვი, იგი დააპატიმრეს 1933 წლის პირველ იანვარს, ცენტრი კი მოქმედებდა. ზინოვიევიც ადასტურებს, რომ ცენტრი მოქმედებდა.

მე ის დასკვნა გამომყავს, რომ თუ ცენტრი მოქმედებდა, ეს უნდა მიეწეროს კავშირის კარგად ორგანიზებულ ტექნიკას, რაც ამ ცენტრის მუშაობის ხელმძღვანელობაში მონაწილეობის საშუალებას აძლევდა იმ პირებსაც კი, რომლებსაც თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდათ, მაგალითად, სმირნოვს.

ვიცი, რომ სმირნოვი თავს დაიცავს იმით, რომ იგი ცენტრს ჩამოშორდა „მე ხომ არაფერი გამიკეთებია, მე ხომ ვიჯექიო", იტყვის სმირნოვი. გულუბრყვილო მტკიცებაა! სმირნოვი იჯდა 1933 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სმირნოვმა საპატიმროდან მოაწყო კავშირი თავის ტროცკისტებთან, ვინაიდან აღმოჩენილ იქნა შიფრი, რომლითაც სმირნოვს საპატიმროდან ურთიერთობა ჰქონდა თავის ამხანაგებთან. ეს იმას მოწმობს, რომ კავშირი არსებობდა და სმირნოვს ამის უარყოფა არ შეუძლიან.

მაგრამ არც ეს სწყვეტს საკითხს, ვინაიდან, ბოლოსდაბოლოს, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სმირნოვი, ისე როგორც ზინოვიევი და კამენევი, პასუხისმგებელია ცენტრისა და მთელი იმ ტერორისტული ჯგუფის მთელი საქმიანობისათვის, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მოეწყო, აღგო და მოქმედებდა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ისინი თავისუფალი იყვნენ. სმირნოვი, ზინოვიევი, კამენევი იყვნენ ცენტრის ორგანიზატორები. მათ მისცეს მიმართულება თავიანთი ტერორისტების, ყველა ამ პიკელების, რეინგოლდებისა და სხვების საქმიანობას. სწორედ მათ უნდა აგონ მთლიანად პასუხი ამისათვის, დამოუკიდებლად იმისა, რომელიმე მათგანი ამ დროს თავისუფალი იყო თუ არა. ეს ელემენტარულია და მე ვფიქრობ ამაზე შეიძლება უფრო დაწვრილებით არც შევჩერდეთ. როგორც ხელმძღვანელებმა, მათ პასუხი უნდა აგონ მათი ხელმძღვანელობით მომუშავე ორგანიზაციისა და იმ ჯგუფების დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, რომლებიც მათ მიერ მოხნულ ნიადაგზე აღმოცენდნენ.

რაში გამოიხატებოდა ცენტრის საქმიანობა? ზინოვიევმა სთქვა: „მთავარი იყო ტერორისტული აქტების მომზადება პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ". მე შევეკითხე: ვის წინააღმდეგ-მეთქი. ზინოვიევმა მიპასუხა: ხელმძღვანელების წინააღმდეგო. მე შევეკითხე: ესე იგი სტალინის, ვოროშილოვისა და კაგანოვიჩის წინააღმდეგ? ეს თქვენმა ცენტრმა მოაწყო კიროვის მკვლელობა? სერგეი მირონის-ძე კიროვის მკვლელობა თქვენმა ცენტრმა მოაწყო, თუ რომელიმე სხვა ორგანიზაციამ? ზინოვიევი: დიახ, ჩვენმა ცენტრმა. მე შევეკითხე: ამ ცენტრში იყავით თქვენ, კამენევი, სმირნოვი, მრაჩკოვსკი, ტერ-ვაჰანიანი? ზინოვიევი: დიახ. ჩემს შეკითხვაზე: მაშასადამე თქვენ მოაწყვეთ კიროვის მკვლელობა? ზინოვიევი: დიახ.

და სწორედ ამ დანაშაულისათვის უნდა აგონ პასუხი ზინოვიევმაც და კამენევმაც, სმირნოვმაც და მრაჩკოვსკიმაც, ტერ-ვაჰანიანმაც და ყველა დანარჩენებმაც.

ყველაზე უფრო ჯიუტად უარობს სმირნოვი. მან თავისი თავი დამნაშავედ სცნო მხოლოდ იმაში, რომ იყო ტროცკისტული არალეგალური კონტრრევოლუციური ცენტრის ხელმძღვანელი. მართალია, ეს მან რამდენადმე იუმორისტული ფორმით სთქვა. მიმართა რა ტერ-ვაჰანიანს, მრაჩკოვსკისა და დრეიცერს, მან უთხრა: „თქვენ გინდათ ბელადი? მოდით, მიყოლიეთ მე". მაგრამ თქვენ, ბრალდებულო სმირნოვ, კიდეც იყავით ასეთი. სმირნოვი იყო ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი! ზინოვიევი და კამენევი შემთხვევით კი არ უყურებდნენ მას, როგორც ტროცკის წარმომადგენელს, როგორც ტროცკის მოადგილეს, როგორც მთელი ტროცკისტული ფარული მუშაობის ნამდვილ ხელმძღვანელს. ამაში იგი ბოლოსდაბოლოს თვითონაც გამოტყდა.

მე არ ვიცი, თუ რას იტყვის სმირნოვი უკანასკნელ სიტყვაში. მაგრამ ვფიქრობ, რომ წინასწარი გამოძიების არსებული მასალისა და სასამართლო გამოძიების მასალის საფუძველზე მე ყველა საფუძველი მაქვს განვაცხადო შემდეგი: 1) ბრალდებულმა სმირნოვმა აღიარა, რომ იგი მთელი რიგი წლების განმავლობაში ტროცკისტული ფარული მუშაობის ნამდვილი ხელმძღვანელი იყო; 2) მან აღიარა, რომ იყო ტროცკის წარმომადგენელი და მოადგილე საბჭოთა კავშირში; 3) მან აღიარა, რომ 1931 წელს იყო ბერლინში და იქ შეხვდა სედოვს და 4) მან აღიარა, რომ სედოვმა გააცნო მას ტერორისტული ამოცანები და მისცა ტერორისტული გეზი.

მართალია, სმირნოვი უარყოფს, რომ ეს ტროცკის გეზი იყო, იგი ამბობს, ეს იყო „სედოვის პირადი აზრიო". მაგრამ სსრ კავშირში ჩამოსვლის შემდეგ მან საჭიროდ ჩასთვალა სედოვის ეს პირადი აზრი გადაეცა თავისი ამხანაგებისათვის ფარულ მუშაობაში...

ჩვენ მას შევეკითხეთ: სად არის ლოგიკა? თუ ეს იყო სედოვის პირადი აზრი და ისიც ისეთი აზრი, რომელსაც, როგორც იგი ამტკიცებს, სმირნოვი არ ეთანხმებოდა, მაშინ რისთვის დასჭირდა მას მისი გადაცემა არალეგალური ორგანიზაციის სხვა წევრებისათვის? გადასცე და მერე არც კი უთხრა, რომ არ ეთანხმები. ყველა მისი ამხანაგი კონტრრევოლუციური ფარული მუშაობის ხაზით ამხელს მას, რომ კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ არ ეთანხმებოდა ამ გეზსაო. მაშასადამე, რა უნდა ჩაითვალოს დადასტურებულად? ჰქონდა თუ არა შეხვედრა 1931 წელს სედოვთან? — ჰქონდა. სედოვი — ტროცკის შვილი —არის თუ არა ტროცკის უახლოესი და პირველი თანაშემწე მთელ მის პოლიტიკურ საქმიანობაში? — არის. ამ შეხვედრის დროს ილაპარაკა თუ არა სმირნოვი სედოვს? — ილაპარაკა. ამას სმირნოვი აღიარებს. ლაპარაკობდნენ თუ არ ტერორზე? — ლაპარაკობდნენ. სმირნოვი ამასაც აღიარებს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გაიგო სმირნოვმა სედოვის აზრი, ეს ბოლოსდაბოლოს ბრალდებისათვის აბსოლუტურად სულ ერთია. თუ სმირნოვმა სედოვთან ლაპარაკი გაიგო, როგორც არა გეზი, მაშინ არც უნდა გადაეცა ეს გეზი თავისი ამხანაგებისათვის არალეგალური ჯგუფის ხაზით. თუ მან ამ ლაპარაკის შინაარსი გადასცა და არ უთხრა, რომ არ ეთანხმება მას, მაშასადამე, ეს იყო „გეზი" და სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

სმირნოვი ამბობს, რომ არ ეთანხმებოდა ამ გეზს.

მაგრამ თუ იგი არ ეთანხმებოდა, მას, როგორც საკმაოდ გამოცდილ არალეგალურ მუშაკს, ფრაქციონერსა და კონტრრევოლუციონერს უნდა სცოდნოდა, რომ იგი მოვალე იყო კავშირი გაეწყვიტნა ამ ჯგუფთან, ჩამოშორებოდა ამ ჯგუფს სხვანაირად იგი არ იქნებოდა პოლიტიკური მოღვაწე, მით უფრო ფარული მუშაობის ხელმძღვანელი. სმირნოვი ხომ ტროცკისტული ჯგუფის უბრალო რიგითი წევრი არ იყო. სმირნოვი—ეს გოლცმანი როდია. გოლცმანი ეს სმირნოვის გაუარესებული გამოცემაა, მაგრამ სმირნოვი გოლცმანი არ არის. სმირნოვი არის სმირნოვი. იგი ხელმძღვანელია. ხელმძღვანელი როგორ შეიძლება არალეგალური ჯგუფის მონაწილე დარჩეს, თუ იგი ამ ჯგუფის ძირითად ხაზს არ იზიარებს! ამ ჯგუფის ძირითადი ხაზი კი—ტერორია.

თუ იგი ლაპარაკობს, რომ 1931 წელს მას სედოვის სიტყვები არ გაუგია როგორც გეზი, არამედ მიიღო როგორც მისი პირადი აზრი, მაშინ 1932 წელს მან უკვე მიიღო უშუა[illegible] ტროცკისაგან [illegible] საშუალებით. ამ დროს მას უკვე აღარ შეეძლო ეთქვა, რომ ეს იყო ვიღაცის „პირადი აზრი", ვინაიდან თუ ეს მართლაც „პირადი" გზა იყო. ეს იყო ტროცკის გზა!

სედოვის პირადი გეზიდან პირდაპირი გზა მიდის ტროცკის გეზამდე, არავითარი პირადი გეზი არ არსებობს! არის ტროცკისტული გადაწყვეტილება, ტროცკის ხაზი ტერორზე! თქვენ, სმირნოვ, იგი მიიღეთ 1931 წელს და 1932 წელს მიიღეთ დირექტივა დრეიცერისაგან, არა პირადად, მაგრამ მე ღრმად დარწმუნებული ვარ, თქვენ იცოდით ამის შესახებ, თუმცა პოლიტიზოლატორში იჯექით.

1932 წელს თქვენ მიიღეთ ტროცკის დირექტივა გავენისაგან, ტროცკი პირდაპირ ლაპარაკობს: ტერორი, თავიდან მოვიშოროთ სტალინი, მოვკლათ ვოროშილოვი, მოვკლათ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელნიო. თქვენ, სმირნოვ, ეს მითითება მიიღეთ. თქვენ ამბობთ: მე იგი მივიღე, მაგრამ არ გამიზიარებიაო. თუ იგი თქვენ არ გაგიზიარებიათ და თუ რამდენადმე მაინც შეგრჩენიათ პოლიტიკური კეთილსინდისიერების გაგება, მაშინ 1932 წელს თქვენ, მოისმინეთ რა ტროცკის მითითება, თქვენთვის გავენის საშუალებით გამოგზავნილი, არ შეგეძლოთ კავშირი არ გაგეწყვიტათ ტროცკისტულ ორგანიზაციასთან. თქვენ ეს გესმით და სწორედ ამიტომ ლაპარაკობთ—მე კავშირი გავწყვიტე მე წამოვედიო. მაგრამ ვის უთხარით თქვენი წასვლა?

არავისთვის არ გითქვამთ. ეს არ იცოდა მრაჩკოვსკიმ, ეს არ იცოდა ტერ - ვაჰანიანმა, ეს არ იცოდა საფონოვამაც კი. არავისთვის თქვენ არ გითქვამთ! ეს არავინ იცოდა! მაშასადამე, არავითარი უფლება არა გვაქვს ვენდოთ თქვენს ამ მტკიცებას. ჩვენ შეგვიძლიან დავამტკიცოთ, რომ 1932 წელს თქვენ მიიღეთ ტროცკისაგან დირექტივა ტერორის შესახებ და თქვენ იგი გაიზიარეთ. თქვენ სმირნოვი არ იქნებოდით, ტროცკისტულ ჯგუფში რომ დარჩენილიყავით, როდესაც არ ეთანხმებით ამ ჯგუფის გეზს, არ ეთანხმებით ისეთი ავტორიტეტის გეზს როგორიც თქვენთვის ტროცკი იყო. მე ვიცი რომ თქვენს დასაცავ სიტყვაში თქვენ წყევლა-კრულვით მოიხსენიებთ ტროცკის. თქვენ არავინ დაგიჯერებთ, რადგან ტერორისტულ ცენტრში თქვენი მუშაობის შესახებ ამ სასამართლოში ორი სიტყვა სიმართლეც არ გითქვამთ და არ გინდათ სთქვათ. თქვენ გუშინ ისიც კი გინდოდათ, რომ პუტნას როლი დაგეფარათ.

თქვენ გინდოდათ შეგენარჩუნებინათ რეზერვი, რომელიც, შეიძლება, საბოლოოდ ვერ იქნას გამოაშკარავებულიო. თქვენ გინდოდათ შეგენარჩუნებინათ რეზერვი ტროცკისათვის, თქვენი წყეული ტროცკისტული არალეგალობისათვის!

ვფიქრობ, რომ მთელი ჩემ მიერ მოყვანილი გარემოება ნებას გვაძლევს შემდეგი დავადგინოთ სმირნოვის მიმართ.

პირველი. სმირნოვი იყო ტროცკისტულ — ზინოვიევური ტერორისტული ორგანიზაციის გაერთიანებული ცენტრის წევრი, ეს ცენტრი მოწყობილ იქნა მისი მონაწილეობით, მაშასადამე, იგი — ცენტრის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ორგანიზატორია.

მეორე, ეს ცენტრი მან მოაწყო ტროცკის იმ დირექტივის საფუძველზე, რომელიც 1931 წელს მიიღო, მან ამ ცენტრს მისცა ტერორისტული ხასიათი და მის საქმიანობას ტერორისტული მიმართულება.

მესამე, 1932 წელს სმირნოვმა ტროცკისაგან მიიღო მეორე დირექტივა. ეს უდავოდ გამორკვეულია. სმირნოვის ყოველი ცდა დაემტკიცებინა, რომ, — მიიღო რა ეს დირექტივა, იგი მას არ შეერთებია, თუმცა იმავე დროს ტროცკისტული არალეგალობის რიგებში რჩებოდა, — თეთრი ძაფით არის ნაკერი.

ამხანაგო მოსამართლენო, არის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, შეიძლება საკითხი ასე დაესვათ: იყო ტერორისტული საფუძველი, იყო ტერორისტული განწყობილებანი, ლაპარაკი იმაზე, რომ ტერორი ერთადერთი საშუალებაა, მაგრამ როგორ არის საქმე იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა მოწყობის მხრით, რომლებიც მიმართულია ტერორისტული ჯგუფების შესაქმნელად, ტერორის განსახორციელებლად?

ტერ - ვაჰანიანი ამბობდა, სწარმოებდა ტერორისტული ჯგუფების შედგენა, მაგრამ ეს იყო მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც ამ მომზადების ფარგლებს არ სცილდებოდაო. განა ნამდვილად საქმე მხოლოდ ასე იყო?

რასაკვირველია, არა. ზინოვიეველები გაჰყვნენ ტროცკისტებს და, კერძოდ, სმირნოვს, რომელიც დაბეჯითებით და მხურვალედ მოითხოვდა ტერორის დაჩქარებით განხორციელებას, ტერორის განხორციელებას არა საზოგადოდ, არამედ ტერორის განხორციელებას ამხანაგ სტალინის, კიროვის, ვოროშილოვისა და სხვა ჩვენ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. ეს უპატიოსნო ოპოზიცია ხომ ამხანაგმა სტალინმა და ამხანაგმა კიროვმა გაანადგურეს.

ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ სმირნოვს, ამ თანამიმდევარ და სავსებით დაჯერებულ, შეურიგებელ ტროცკისტს, მთელი თავისი ორგანიზაციული უნარის ძალა უნდა იქით მიემართნა, რომ მოემზადებინა უწინარეს ყოვლისა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელთა, ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელთა მოკვლა. სმირნოვი ზინოვიევს არწმუნებდა: მოდით, მალე განვახორციელოთ ტერორის

გაგრძელება მე-5-ე გვერდზე

ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პროცესი

სახელმწიფო ბრალმდებლის, სსრ კავშირის პროკურორის

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის დასასრული

ტული აქტი, მოდით, მალე მოვკლათ სტალინი, კიროვი და ვოროშილოვი.

ზინოვიევი კი, რომელიც ასკინკილით მისდევდა ტროცკისტებს, ღელავს, ჰბორგავს, არ ჩამოვრჩეო...

სმირნოვი ზინოვიევს არწმუნებდა, მკვლელობა დააჩქარეთო, პლატფორმა მას არ ეჩქარება, იგი ამბობს: ხელად შეიძლება მისი შედგენაო. რად უნდოდათ პლატფორმა, როდესაც მათი აზრით არის უფრო ჭეშმარიტი საშუალება — მკვლელობა! სმირნოვმა დასახა და თავის აგენტებს ხელთ მისცა ტერორისტული აქტების მოწყობის კონკრეტული გეგმა, ამ გეგმის შესასრულებლად მოკლულ იქნა ამხ. კიროვი, რისთვისაც ზინოვიევმა, როგორც კამენევმა, სმირნოვმა, მრაჩკოვსკიმ, ტერ-ვაგანიანმა სრული პასუხი უნდა აგოს საბჭოთა ქვეყნის წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე, საბჭოთა პროლეტარული სასამართლოს წინაშე.

6. ბრალდებულებს ნიღაბი ჩამოგლეჯილი აქვთ

მე ვფიქრობ, რომ ზინოვიევისა, კამენევისა, ევდოკიმოვისა, ბაკაევის დანაშაული სავსებით გამორკვეულია და მე შემიძლიან თავი გავითავისუფლო მრავალრიცხოვანი ფაქტების ჩამოთვლისა და იმის ვალდებულებისაგან, რომ ანალიზი გავუკეთო სასამართლოს კვლევაძიების მასალას, რომელიც მათ მთლიანად ამხელს. მსურს მხოლოდ იმას გავუსვა ხაზი, რომ ზინოვიევთან, კამენევთან, ევდოკიმოვთან, ბაკაევთან ერთად უნდა იდგნენ სმირნოვი, ტერ-ვაგანიანი და მრაჩკოვსკი. ისინი მხარდამხარ უნდა იდგნენ. ისინი ერთად წარმართავდნენ თავის დანაშაულებრივ საქმიანობას ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ, ერთად ჰკლავდნენ კიროვს და ამიტომაც ერთად და მთლიანად უნდა აგონ პასუხი ამისათვის.

სმირნოვს მშვენივრად ესმის ეს და ამიტომ იგი დაადგა უარყოფის პოზიციას. პირველად იგი ყველაფერს უარჰყოფდა: იგი უარჰყოფდა ტროცკისტული ორგანიზაციის არსებობას, იგი უარჰყოფდა ცენტრის არსებობას, იგი უარჰყოფდა თავის მონაწილეობას ცენტრში, იგი უარჰყოფდა ტროცკისთან კავშირს, იგი უარჰყოფდა რაიმე არალეგალურ დავალებას, რომელსაც ის იძლეოდა 1936 წელსაც კი, ჩვენ კი ვიცით, რომ ამ დიდმა კონსპირატორმა მოახერხა თავისი მომხრეებისათვის დანაშაულებრივი მითითებათა გადაცემის მოწყობა მაშინაც კი, როდესაც იზოლირებული იყო.

ის ყველაფერს უარჰყოფდა — ის უარჰყოფდა ტროცკისტული ცენტრის არსებობას 1931 წელს.

იგი უარჰყოფდა ასეთი ცენტრის არსებობას 1932 წელს — ის ყველაფერს უარჰყოფდა.

მთელი მისი დაკითხვა 20 მაისიდან მარტო ამ სიტყვებისგან შესდგება: „მე ამას უარვყოფ, კიდევ უარვყოფ, უარვყოფ". ეს იყო ერთად-ერთი, რაც მას დარჩენოდა.

ბრალდებულო სმირნოვ, თქვენ გიღალატათ თქვენმა გამოცდილებამ, თქვენ გიღალატათ თქვენმა მოტყუების ხელოვნებამ. თქვენ გამოგამჟღავნეთ საფონოვას, მრაჩკოვსკის, ტერ-ვაგანიანის ჩვენებებმა და იძულებული გახდით აღგიარებინათ, რომ ცენტრი არსებობდა. რომ თქვენ იყავით ცენტრის წევრი, თქვენმა უარყოფამ ვერ გიშველათ.

თქვენ უარჰყოფდით და ამბობდით, რომ არავითარი დირექტივა ტერორის შესახებ არ მიგიღიათ. მაგრამ ამაში თქვენ გამხილათ გავენმა და აღიარეთ. თქვენ გამხილათ გოლცმანმა, რომელმაც მიიღო დავალება ტროცკისაგან, გადმოეცა პირადად თქვენთვის და მხოლოდ თქვენთვის — დირექტივა იმის შესახებ, რომ ამჟამად საჭიროა ტერორზე გადასვლა. „ულრისად ჩაკონსპირირებული ტროცკისტი" გოლცმანი ლაპარაკობს, რომ მან ეს დავალება მიიღო, მაგრამ არ გადაეცა და თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება ეს დაიჯეროთ. არა, ამას არავინ დაიჯერებს.

გოლცმანიც ისეთსავე პოზიციას დაადგა, როგორც სმირნოვი — მე ყველაფერს ვაღიარებ, გარდა ტერორისა, იმიტომ, რომ მან იცის, ტერორისათვის — შეიძლება თავი მხრებიდან ჩამოუგდონ. ტერორში სმირნოვი ამხილა გოლცმანმაც, მრაჩკოვსკიმაც, საფონოვამაც და დრეიცერმაც.

21 ივლისს თქვენ რამდენადმე სხვა ჩვენება მიეცით (ს. ფ. 51, ტ. 79), ე. ი. თავდაპირველად თქვენ უარჰყოფდით რაიმე დირექტივის მიღებას ტროცკისაგან ტერორის მოწყობის შესახებ, აქ კი ამას აღიარებთ. უარი არ გამოგივიდათ.

როდესაც პირისპირ წაგაყენეს მრაჩკოვსკისთან, თქვენ განაგრძობდით უარყოფას, რომ ტროცკისაგან მიიღეთ დირექტივა და მიეცით დავალება მრაჩკოვსკის ტერორისტული ჯგუფის მოსაწყობად. მრაჩკოვსკი თქვენ გარცხვენდათ, და გეუბნებოდათ: „როგორ, ივან ნიკიტიჩ, ბინძური, სისხლიანი საქმიდან გსურთ თეთრი პერანგით გამოიყოლოთ". — მე შემიძლია ეს ავიმეორო: „ნუთუ თქვენ გგონიათ, ბრალდებულო სმირნოვ, რომ ამ სისხლიანი საქმიდან უვნებელი გამოხვალთ" თქვენ მრაჩკოვსკის სიტყვებზე უპასუხეთ: „მოგონილი ამბავი და ცილისწამებააო", ხოლო შემდეგ რაღაც მაინც აღიარეთ.

თქვენ ხომ აღიარეთ, რომ ბლოკში მოეწყო ტერორის საჭიროების ბაზაზე და ამრიგად იყავით ტერორისტული ცენტრის ერთ-ერთი ორგანიზატორი. თქვენ მიიღეთ ტროცკისაგან დირექტივა ტერორის შესახებ.

თქვენ ამ საფუძველზე განაგრძობდით ტერორისტული დანაშაულებრივი საქმიანობა, მართალია, დაპატიმრებამ ცოტა ხელი შეგიშალათ ამ საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობა მიგეღოთ მაგრამ თქვენ მაინც ხელს უწყობდით ამ საქმეს ყოველმხრივ, როგორც კი შეგეძლოთ.

მე მინდა მოგაგონოთ, რომ წინასწარ კვლევაძიებაზე საფონოვასთან პირისპირ წაყენება, რომელიც ფირთადად იმავე წარმოადგენს, რაც ჩვენ აქ გვქონდა სასამართლოში, ძალიან დამახასიათებელია. სმირნოვი ვერ ბედავს უარჰყოს ის დასამტკიცებელი საბუთები, რომლებიც საფონოვას მოჰყავს, ის იგონებს სიცრუის კაზუისტურ ფორმას; მან იცის, რომ საფონოვა ცილს არ დასწამებს. საფონოვა მისი ყოფილი ცოლია, რომელთანაც არავითარი ანგარიში არა აქვს და პირად ანგარიშებს იგი ვერ მოიმიზეზებს. სმირნოვი ამბობს: „არ მახსოვს", „რა საკვირველია ასეთი ლაპარაკი შესაძლოა ყოფილიყო". მას ეკითხებიან: გქონდათ თუ არა საუბარი ტერორის ორგანიზაციის შესახებ? „არ გვქონია, ისე კი შეიძლება გვქონოდაო". ასეთივე პირუტყვული სამხედრო ხელმძღვანელობს მას ამჟამად, როდესაც ნიღაბს იფარებს და ლაპარაკობს — „მე ამის პასუხი არავითარი მაქვს". მაგრამ 13 აგვისტოს ის იძულებული იყო აღეარებინა, რომ 1932 წელს ეს საუბარი ჰქონდა, რომ იგი, სმირნოვი, კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას და ამჟამად მას არ სურს თავი აარიდოს ამ პასუხისმგებლობას.

მინდა გადავიდე ტერ-ვაგანიანზე. მას თავდაპირველად ჰქონდა აგრეთვე უარყოფის ასეთი პოზიცია, მაგრამ 14 აგვისტოს უფრო მართალი ჩვენებები მისცა. თუ შევადარებთ მის ჩვენებებს და მთელ მის ყოფაქცევას სასამართლოში, მივალთ რამდენიმე მტკიცე დასკვნამდი: გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტერ-ვაგანიანი იყო ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის წევრი; რომ ის საქმიან მონაწილეობას იღებდა ამ ცენტრის ორგანიზაციაში; რომ იგი ახორციელებდა ცენტრის დავალებებს ტროცკის იმ დირექტივის საფუძველზე, რომელიც მიღებული იყო სმირნოვის ხელით და რომლის შესახებაც მან იცოდა სმირნოვისაგან. იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მას ფაქტიურად არაფერი გაუკეთებია. მაგრამ მე წინდაწინვე უნდა ვთქვა, მაგას რომ „არც არაფერი გაეკეთებინა", ისიც კი, რაც მან გააკეთა, საკმარისია იმისათვის რათა მას მივუყენოთ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები: 58—8, 19—58—8, 58—11.

მოსე ლურიე და ნათან ლურიე. ჩვენ აქ მოვისმინეთ ნათან ლურიეს ჩვენება იმის შესახებ, თუ როგორ და რა მიზნებით ჩამოვიდა იგი ჩვენში, რა მუშაობა გააჩაღა მან ტერორისტული აქტების მოსამზადებლად მოსე ლურიეს ხელმძღვანელობით, თუ როგორ გახდა იგი არსებითად იმ ჯგუფის მემკვიდრე, რომელიც ჯერ კიდევ მის მოსვლამდე შეაკოწიწა აქ ფაშისტების აგენტმა და გიმლერის — ფაშისტური შავი ოხრანკის უფროსის, გერმანიის მცველი რაზმების უფროსის, ხოლო შემდეგ გერმანიის გესტაპოს უფროსის რწმუნებულმა პირმა ფრანც ვაიცმა.

თქვენ გახსოვთ ყველა მათი ჩვენება და ვფიქრობ, რომ ამაზე შეიძლება დაწვრილებით არ შევჩერდეთ. მთლიანად, კატეგორიულად და უდაოდ დამტკიცებულია, რომ ნათან ლურიე და მოსე ლურიე ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს. მათ სავსებით უნდა აგონ პასუხი ამ დანაშაულისათვის!

როცა იმ მეთოდებზე ვლაპარაკობდი, რომელთა შეწყობითაც ეს ვაჟბატონები მოქმედებდნენ, მე გიჩვენეთ, ვცდილობდი მეჩვენებინა, თუ რამდენად ღრმად და დაბლა დაეცნენ ეს ადამიანები, მორალურადაც და პოლიტიკურადაც. და შეიძლება ამ ადამიანთა უსაზღვრო მორალური დაცემის, იმ ადამიანთა, რომლებსაც არ მოეპოვებათ ის მორალური, თუნდაც ბრჭყალებში ჩასმული მორალური საყრდენი და ყოფაქცევის ის წესები, რომლებიც გარეწარ ბოროტმოქმედებს და ბანდიტებსაც კი გააჩნიათ, — ამ ადამიანთა უსაზღვრო მორალური დაცემის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და ულრისად დამახასიათებელი დამამტკიცებელი საბუთი ეს ის არის რაზედაც აქ რეინგოლდი ლაპარაკობდა. მე ვლაპარაკობ ავაზაკურ დანაშაულთა კვალის მოსპობის მათს გეგმაზე.

ამხანაგო მოსამართლენო, განა შემთხვევითია, რომ ისინი, რომლებსაც თავიანთი ავაზაკური გეგმის წარმატების იმედი ჰქონდათ, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარედ ასახელებდნენ სხვა არავის, თუ არა ბაკაევს? სწორედ ბაკაევს, რომელიც ცნობილია, როგორც გაბოროტებული მოძულე, როგორც გაბედული ადამიანი, როგორც ჯიუტი, შეუპოვარი ადამიანი, ძალიან დიდი ნებისყოფისა, ფრიად მტკიცე ხასიათისა და გამძლე ადამიანი, რომელიც არავითარი საშუალების წინაშე არ შეჩერდება იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც მან დაისახა.

თუ ზოგიერთი ბრალდებული სრულიად დამშვიდებით აკაფავდა გზას ხელისუფლებისაკენ ჩვენი საბჭოთა მიწაწყლის საუკეთესო ადამიანთა გვამების მთების შემწეობით, არა მგონია, რომ აქ ბაკაევი ამ გეგმის ყველაზე გაბედული, ყველაზე ულმობელი შემსრულებელი არა ყოფილიყო! სწორედ ამ კაცს ასახელებდნენ გაერთიანებული პოლიტიკური სახელმწიფო სამმართველოს თავმჯდომარედ იმ შემთხვევაში, თუ შეთქმულება წარმატებით დამთავრდებოდა.

მე არ შევჩერდები შეთქმულთა და ტერორისტთა შორის პორტფელების სასაცილო განაწილებაზე, მე მხოლოდ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის პოსტზე ასახელებდნენ არა სხვა ვინმეს, არამედ სწორედ ბაკაევს. ზინოვიევი და კამენევი ფიქრობდნენ, რომ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს განკარგულებაში მოიპოვება ძაფები იმ სახელმწიფო გადატრიალების შესახებ, რომელიც მზადდებოდა, და ამიტომ ისინი უმნიშვნელოვანეს ამოცანად სთვლიდნენ დაენიშნათ ბაკაევი გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარედ. მას უნდა ხელთ ეგდო ეს ძაფები, ხოლო შემდეგ მოესპო ისინი, ისე როგორც თვით მათ დავალებათა ფიზიკური შემსრულებლებიც.

პირველ ნაწილს კამენევი და ზინოვიევი არ უარჰყოფენ, ხოლო მეორე ნაწილს უარჰყოფენ. იგი მეტისმეტად კომპრომეტირულია და ზინოვიევმა სთქვა, რომ ის ჟიულ ვერნის ამბებს ჰგავსო. მაგრამ განა ჩვენ არ ვიცით, რომ ისტორიაში ყოფილა ასეთი მაგალითები? განა ჩვენ არ ვიცნობთ ზოგიერთ მეზობელ სახელმწიფოს, სადაც იყო ასეთი ექსპერიმენტები, სადაც შეთქმულების მონაწილეებს ფიზიკურად სპობდნენ შეთქმულების ორგანიზატორთა ხელით, როგორც ეს რემისა და მისი თანამებრძოლების მოსპობის დროს მოხდა!

ბრალდებულო ზინოვიევ, თქვენ თითონ ამბობთ, რომ ბაკაევს ასახელებდით გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარედ, რათა გამოგეყენებინათ იგი ბოროტმოქმედებათა კვალის მოსასპობად. მაშ რისთვის უწოდებთ თქვენ ამას ჟიულ ვერნს? თქვენ დაცვის მანკიერი საშუალება აირჩიეთ.

ამას საქმისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ეს კი არ არის საკითხი და ამაში როდია დედაარსი. ეს არის ერთ-ერთი შესაზიზღავი შტრიხი, რომელიც ახასიათებს იმ ადამიანებს, პრეტენზიებს, რომ აცხადებდნენ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობაზე. ეს იმას გვიჩვენებს, თუ რა ბედნიერებაა, რომ ისინი თავის დროზე იქნენ მოშორებული ამ ხელმძღვანელობაში მონაწილეობისაგან!

ზინოვიევი და კამენევი ამბობენ, რომ ეს არის ფანტაზია, არაბული ზღაპრები, მაგრამ, მოითმინეთ — ზინოვიევის მდივნის ბოგდანის მოკვლა—ეს რაღა არის? ზღაპარია? ზინოვიევმა არაფერი სთქვა ამის გამო, მაგრამ რეინგოლდმა ეს გამოამჟღავნა, ხოლო პიკელმა ეს დაადასტურა.

ზინოვიევმა ბაკაევს წარუდგინა ბოგდანი, როგორც ტერორისტული აქტებისათვის გამოსადეგი კაცი.

რეინგოლდი ამბობს, პიკელი ადასტურებს, ხოლო ბაკაევი ამაზე ხელებს ასავსავებს და იმალება მაგრამ ეს ფაქტია, რომლისაგან თავის დაძვრენას ვერავინ შესძლებს. რეინგოლდმა და პიკელმა დაამტკიცეს, რომ ბოგდანის „თვითმკვლელობა" ნამდვილად მკვლელობა იყო. იგი შეასრულა ბაკაევმა გაერთიანებული ცენტრის დავალებით. „შენ ყოყმანობ განახორციელო ჩვენი გაერთიანებული ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის დავალება? ჩვენ შენ მოგკლავთ ან თვითონ მოიკალ თავი". ასე ეუბნებოდა ბაკაევი ბოგდანს და ბოგდანმაც ვერ გასძლო...

ეს იყო ზინოვიევისა და კამენევის დამუშავებული გეგმის დასაწყისი ტერორისტული შეთქმულების წარმატების შემთხვევისათვის. ბოგდანის თვითმკვლელობით ზინოვიევი და კამენევი შეეცადნენ ბოგდანის თვითმკვლელობა მოეჩვენებინათ, როგორც ჩვენი საბჭოთა რეჟიმის „მსხვერპლის" დაღუპვა. მაგრამ განა თქვენ თითონ არ მიიყვანეთ ბოგდანი თვითმკვლელობამდე, როცა მის წინაშე ასეთი დილემა დასახეთ: ან ჩაიდინე ტერორისტული აქტი, ან თავი მოიკალიო.

თუ თქვენ, ამხანაგო მოსამართლენო, ამ ეპიზოდს საერთოდ დაუკავშირებთ ამ დანაშაულებრივი ხროვის ბრძოლის მთელ მეთოდებს, მათი „მუშაობის" მთელ მეთოდებს, ადვილად მიხვდებით, რომ სავსებით მართალია ჩვენება რეინგოლდისა და პიკელისა, რომლებმაც აქ სასამართლოში კიდევ და კიდევ ამხილეს ზინოვიევი, კამენევი და ევდოკიმოვი, როგორც მთელ რიგ მძიმე ბოროტმოქმედებათა ავტორები.

7. ცოფიანი ძაღლები სულ ერთიანად უნდა დაიხვრიტონ

მე ვამთავრებ, ამხანაგო მოსამართლენო. ახლოვდება უკანასკნელი ჟამი — ჟამი ამ ადამიანების პასუხისგებისა იმ მძიმე დანაშაულობათათვის, რომლებიც მათ ჩაიდინეს ჩვენი დიადი ქვეყნის წინააღმდეგ.

ჟამი ამ ადამიანების უკანასკნელი განკითხვისა, რომლებმაც იარაღი აღმართეს ყველაზე ძვირფასისა და საყვარლის წინააღმდეგ რაც კი ჩვენ მოგვეპოვება, ჩვენი პარტიისა და ჩვენი სამშობლოს საყვარელი ბელადების წინააღმდეგ, სტალინისა, კაგანოვიჩისა, ვოროშილოვისა, ორჯონიკიძისა, ჟდანოვისა, პოსტიშევისა, კოსიორისა და ჩვენი ქვეყნის, გამარჯვებული, მზარდი და აყვავებული ახალი სოციალისტური საზოგადოების სხვა ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. სავალალო და სამარცხვინო ბოლო მოელის ამ ადამიანებს, რომლებიც ოდესღაც ჩვენს რიგებში იყვნენ, მაგრამ რომელთაც არასოდეს არ ახასიათებდა არც სიმტკიცე, არც ერთგულება სოციალიზმის საქმისადმი.

კიდევ რამდენიმე სიტყვა. ზოგი ბრალდებული ცდილობდა აქ პარალელი გაევლო ისტორიულ წარსულთან, პარალელი „ნაროდნაია ვოლიას" ეპოქასთან. ცდილობდნენ შეედარებინათ ზოგიერთნი იმ გმირ ტერორისტებთან, რომლებმაც განვლილ საუკუნეში მარტოდ ბრძოლა დაუწყეს საშინელ, ვერაგ და ულმობელ სასტიკ მტერს — მეფის მთავრობას. ასახელებდნენ გერშუნსაც, ლაპარაკობდნენ, არ ვიცი, ბაკაევზე თუ, სმირნოვზე. ეს ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ის იყო ერთი მუჭა თავდადებულ ინტელიგენტთა ბრძოლა ჟანდარმულ გოლიათთან, ბრძოლა ხალხის ინტერესებისათვის. ჩვენ, ბოლშევიკები, ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით ტერორისა, მაგრამ ჩვენ ჯეროვანი პატივი უნდა მივუზღოთ ნაროდოვოლცების გულწრფელობასა და გმირობას.

გერშუნი ბოლშევიკი არ იყო, მაგრამ ისიც იბრძოდა ცარიზმისა და არა ხალხის წინააღმდეგ.

თქვენ კი — ერთმა მუჭამ ნაძირალმა კონტრრევოლუციონერებმა, საერთაშორისო კონტრრევოლუციის მოწინავე რაზმის წარმომადგენლებმა გაილაშქრეთ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მოწინავე რაზმის წინააღმდეგ! გაილაშქრეთ ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერების წინააღმდეგ! უსირცხვილო შედარებაა ნაროდოვოლცური ტერორიზმის ეპოქასთან პატივისცემით გამსჭვალული მათი ხსოვნისადმი, ვინც გულწრფელად და კეთილსინდისიერად, თუმცა თავისი განსაკუთრებული გზებითა და ხერხებით, მაგრამ ყოველთვის უმწიკვლოდ მოქმედებდნენ „ნაროდნაია ვოლიას" დროს და იბრძოდნენ თავისუფლებისათვის მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ,— მე გადაჭრით უკუვაგდებ მკრეხელობის პარალელს. ვიმეორებ პარალელი აქ უადგილოა. ჩვენს წინ არიან ბოროტმოქმედნი, საშინნი, გაუწორებელნი, სასტიკნი, დაუნდობელნი ჩვენი ხალხის მიმართ, ჩვენი იდეალების მიმართ, ჩვენი ბრძოლის ხელმძღვანელების, საბჭოთა ქვეყნის ბელადების, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადების მიმართ.

მტერი ვერაგია. ვერაგი მტრის დანდობა შეუწყნარებელია. მთელი ხალხი ფეხზე დადგა ამ კოშმარული ბოროტმოქმედების გაგონებისთანავე. მთელი ხალხი ძრწოდა და მრისხანებს. და მეც, როგორც სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელი, ჩემი აღშფოთების, სახელმწიფო ბრალმდებლის გულისწყრომის ხმას ვუერთებ მილიონთა ამ გუგუნს!

მე მინდა დავამთავრო და მოვაგონო თქვენ, ამხანაგნო მოსამართლენო, ის მოთხოვნანი, რომლებსაც კანონი გვიყენებს უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულობათა საქმეებში. მე ნებას მივცემ ჩემს თავს მოგაგონოთ თქვენი მოვალეობა და იცნოთ ეს ადამიანები, ყველა თექვსმეტი, დამნაშავედ სახელმწიფო დანაშაულებებში, მთლიანად გამოიყენოთ მათ მიმართ კანონის ის მუხლებიც, რომლებიც მათ ბრალდებამ წაუყენა.

მე მოვითხოვ სულ ერთიანად დაიხვრიტონ ცოფიანი ძაღლები.

22 აგვისტოს დილის სხდომა

22 აგვისტოს მთელი დილის სხდომა დაეთმო სახელმწიფო ბრალმდებლის, სსრ კავშირის პროკურორის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვას, რომელმაც 4 საათს გასტანა.

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები

22 აგვისტოს საღამოს სხდომა

საღამოს სხდომის გახსნის შემდეგ თავმჯდომარე ამხ. ულრიხი მიმართავს თვითეულ ბრალდებულს და აძლევს მათ დასაცავ სიტყვას, რამდენადაც მათ უარი განაცხადეს დამცველებზე. ყველა ბრალდებული რიგრიგობით უცხადებს სასამართლოს, რომ ისინი არ წარმოსთქვამენ დასაცავ სიტყვას და ამას იმით ასაბუთებენ, რომ ისინი ისარგებლებენ უკანასკნელი სიტყვის უფლებით. ამასთან მთელი რიგი ბრალდებულნი ხაზს უსვამენ, რომ მათ უფლება არა აქვთ თავი დაიცვან, რამდენადაც მათთვის წაყენებულ ბრალდებებს მართებულად აღიარებენ.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვების მოსმენას.

სიტყვა პირველად მრაჩკოვსკის ეძლევა.

O

ბრალდებული მრაჩკოვსკი ლაპარაკობს:

— 1923 წელს გავხდი ტროცკისტი. დავადექი საზიზღარ გზას, პარტიის მოტყუების გზას. მე კონტრრევოლუციონერი ვარ...

— მე არ ვითხოვ ჩემთვის სასჯელის შემსუბუქებას. მე ეს არ მსურს. მე მსურს დაიჯერონ, რომ კვლევაძიების დროს და სასამართლოში სრული სიმართლე ვთქვი. მსურს წავიდე ამ ცხოვრებიდან ისე, რომ არ გამყვეს არავითარი სიცრუე.

— მე მივდივარ, როგორც ჩემი პარტიის გამცემი მოღალატე, რომელიც უნდა დაიხვრიტოს.

O

ვინ დაგვიჯერებს ახლა ჩვენ თუნდაც ერთ სიტყვას? — იწყებს ბრალდებული ევდოკიმოვი. — ვინ დაგვიჯერებს ჩვენ, რომელთაც საზიზღარი კომედია გავითამაშეთ ჩვენ მიერ მოკლული კიროვის ახალ საფლავზე, ჩვენ, რომლებიც შემთხვევით და ისიც არა ჩვენი მიზეზით არ გავხდით სტალინის და ხალხის სხვა ბელადთა მკვლელნი.

— ტროცკი, არ ზის საბრალდებულო სკამზე ჩვენთან ერთად, რადგან იგი საზღვარგარეთ იმყოფება — მას ორი პერსპექტივა მოეპოვება: ან გაჰქრეს დაუყოვნებლივ, როგორც გაჰქრა აზეფი, არა მარტო პოლიტიკური ასპარეზიდან, არამედ საერთოდ ცხოვრების ასპარეზიდან, გადავიდეს არარსობაში, დაიმალოს რომელიმე „ფალშივკით", როგორც აზეფი დაიმალა, ანდა პროლეტარული სასამართლოს წინაშე წარსდგეს თავის დროზე.

— არ მიმაჩნია შესაძლებლად ვითხოვო შებრალება. მეტად დიდია ჩვენი დანაშაული პროლეტარული სახელმწიფოს წინაშეცა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის წინაშეც, რომ შეგვეძლოს ვიქონიოთ შებრალების იმედი.

O

— თვითეული ჩვენგანის პოლიტიკური წონა და ბიოგრაფია, — ამბობს დრეიცერი, — ერთნაირი არ არის წარსულში. მაგრამ, როდესაც კაცის მკვლელები გავხდით, ჩვენ აქ გავთანასწორდით. მე ყოველ შემთხვევაში იმათ ვეკუთვნი, რომელთაც არ აქვთ უფლება არც პატიების იმედი ჰქონდეს და არც ითხოვოს პატიება.

O

— როგორც არ უნდა გადაწყდეს ჩვენი ბედი, — ამბობს თავის უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებული რეინგოლდი, — ჩვენ უკვე დახვრეტილი ვართ პოლიტიკურად.

— მე და აქ მჯდომი მთელი ტროცკისტულ-ზინოვიევური ორგანიზაციაც გამომჟღავნებული ვართ ამ პროცესით, როგორც დაქირავებული რაზმიც, დაქირავებული თეთრგვარდიული ფაშისტური რაზმი საერთაშორისო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა.

— ჩვენი გასამართლება, ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული და ფაშისტური ორგანიზაციის გასამართლება, მძიმე ლოდს ქვეშ დაასაფლავებს პოლიტიკურ ლეშებს ზინოვიევს, კამენევს და ტროცკის და მათ [illegible] — ერთგულ მეაბჯრე სმირნოვს.

— ჩემი დანაშაული მე მთლიანად ვაღიარე. მე ვერ ვითხოვ შებრალებას.

O

— მე დამნაშავე ვარ კიროვის მკვლელობაში, — აცხადებს ბაკაევი, — მე უშუალო მონაწილეობას ვიღებდი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ სხვა ტერორისტული აქტების მომზადებაში. მე მზადა ვარ სავსებით ვიკისრო პასუხისმგებლობა. ჩვენ, ტროცკისტები და ზინოვიეველები, ვმუშაობდით არა მარტო საერთაშორისო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის სასარგებლოდ, არამედ ხელიხელ ჩაკიდებული ვიყავით მუშათა კლასის უბოროტესი მტრის—ფაშიზმის აგენტებთან.

— სასამართლოს წინაშე გაშლილი ფაქტები მთელს მსოფლიოს უჩვენებს, რომ მსოფლიოში გაუგონარი ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ტერორისტული ბლოკის ორგანიზატორი და მისი სულისჩამდგმელი იყო ტროცკი.

ბაკაევი ზინოვიევს ბრალს სდებს იმაში, რომ იგი გულწრფელი არ იყო სასამართლოშიაც.

O

— დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, — ამბობს პიკელი — ჩვენ წარმოვადგენთ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ყველაზე უფრო გაბოროტებულ ბანდას, რომელიც, მხოლოდ და მხოლოდ, საერთაშორისო ფაშიზმის რაზმს წარმოადგენს. ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი ჩვენი დროშა იყვნენ. ამ დროშისაკენ მივილტვოდით არა მარტო ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის ნაძირალები, არამედ — ჯაშუშებიც, დივერსანტები და უცხო სახელმწიფოთა აგენტები.

—მე უნდა მივიღო ჩემ მიერ დამსახურებული სასჯელი.

O

ამით საღამოს სხდომა მთავრდება.

23 აგვისტოს დილის სხდომა

23 აგვისტოს დილის სხდომაზე გრძელდება ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები.

— მე ზინოვიევსა და ტროცკისთან ერთად, — აცხადებს კამენევი, — ვიყავი იმ ტერორისტული შეთქმულების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, რომელსაც განზრახული ჰქონდა და ამზადებდა მთელ რიგ ტერორისტულ თავდასხმებს ჩვენი ქვეყნის მთავრობის და პარტიის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ და რომელმაც განახორციელა კიროვის მოკვლა.

— 10 წელს, მეტს თუ არა, — განაგრძობს კამენევი, — ვაწარმოებდი ბრძოლას პარტიის, საბჭოთა ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ, პირადად სტალინის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში, მგონია გამოვიყენე პოლიტიკურ საშუალებათა მთელი ჩემთვის ცნობილი არსენალი — აშკარა პოლიტიკური დისკუსია, ცდა ფაბრიკა-ქარხნებში შეჭრისა, არალეგალური პროკლამაციები, იატაკქვეშეთის სტამბები, პარტიის მოტყუება, ქუჩაში გამოსვლა და ქუჩური გამოსვლების მოწყობა, შეთქმულება და ბოლოს ტერორიც.

ოდესღაც პოლიტიკური მოძრაობის ისტორიას ვსწავლობდი და ვერ მომიგონია პოლიტიკური ბრძოლის ისეთი ფორმა, რომელიც არ გვეწარმოებინოს ჩვენ ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ჩვენ ჩვენს პოლიტიკურ ბრძოლაში პროლეტარულმა რევოლუციამ მოგვიცა ისეთი ვადა, როგორიც არასოდეს არცერთ რევოლუციას არ მიუცია თავისი მტრებისთვის. მე-18 საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუცია აძლევდა თავის მტრებს კვირეებსა და დღეებს, ხოლო შემდეგ სპობდა მათ. პროლეტარული რევოლუცია ათი წელია გვაძლევდა შესაძლებლობას გამოვსწორებულიყავით და შევეგნო ჩვენი შეცდომები. მაგრამ ეს არ გვიქნია. მე სამჯერ ვიქენი დაბრუნებული პარტიაში. გადასახლებიდან დამაბრუნეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადი განცხადებით. ყველა ჩემი შეცდომების შემდეგ მანდობდნენ პასუხსაგებ დავალებებსა და პოსტებს. ამჟამად მესამეჯერ ვდგავარ პროლეტარული სასამართლოს წინაშე, როგორც ბრალდებული ტერორისტულ ზრახვებსა და მოქმედებებში. ორჯერ შემინარჩუნეს სიცოცხლე. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, საზღვარი აქვს პროლეტარიატის სულგრძელობასაც და ეს საზღვარი ამოვწურეთ ჩვენ.

მე ვეკითხები თავს, ამბობს შემდეგ კამენევი, — შემთხვევითია ის გარემოება რომ ჩემთან, ზინოვიევთან, ევდოკიმოვთან, ბაკაევთან, მრაჩკოვსკისთან ერთად სხედან უცხოეთის ოხრანკების ემისრები, ადამიანები, ყალბი პასპორტებით, საეჭვო ბიოგრაფიებით და უეჭველი კავშირით გესტაპოსთან? არა ეს შემთხვევითი ამბავი არ არის ჩვენ აქ ვსხედვართ უცხოეთის ოხრანკის აგენტებთან ერთად იმიტომ, რომ ჩვენ ერთი და იგივე იარაღი გვქონდა, იმიტომ, რომ ჩვენი ხელები უფრო ადრე გადაეხლართა ერთიმეორეს, ვიდრე ჩვენი ბედი გადაიხლართებოდა ერთიმანეთში აქ, ამ სკამზე.

— ასე, — ამთავრებს კამენევი.

— ვემსახურებოდით ფაშიზმს, ასე ვაწყობდით კონტრრევოლუციას სოციალიზმის წინააღმდეგ, ვემზადებოდით, ვუწმენდდით გზას ინტერვენტებს. ასეთი იყო ჩვენი გზა და ასეთია საზიზღარი ღალატისა და ყოველგვარი სისაძაგლის ის ორმო, რომელშიაც ჩვენ ჩავცვივდით.

O

— მე მსურს კიდევ ვთქვა,—იწყებს თავის უკანასკნელ სიტყვას ბრალდებული ზინოვიევი. — რომ თავი სავსებით და მთლიანად დამნაშავედ მიმაჩნია: დამნაშავე ვარ იმაში, რომ მეორე ორგანიზატორი ვიყავი ტროცკის შემდეგ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკისა, რომელმაც მიზნად დაისახა მოკვლა სტალინისა, ვოროშილოვისა და პარტიისა და მთავრობის მთელი რიგი სხვა ხელმძღვანელებისა. დამნაშავედ ვაღიარებ თავს იმაში, რომ კიროვის მოკვლის მთავარი ორგანიზატორი ვიყავი.

— პარტია, — განაგრძობს ზინოვიევი, — ხედავდა, საით მივდიოდით ჩვენ და გვაფრთხილებდა. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში სტალინი აღნიშნავდა, რომ ოპოზიციებს შორის შეიძლება გაჩნდეს ტენდენციები, რათა იძულების გზით მოახვიონ თავს პარტიას თავისი ნებასურვილი. ძერჟინსკიმ ჯერ კიდევ პარტიის მე-14 ყრილობის წინ ერთ-ერთ თათბირზე კრონშტადტელები გვიწოდა ჩვენ. სტალინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ძერჟინსკი, მიქოიანი ყოველმხრივ ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ, გადავერჩინეთ ჩვენ. ისინი ათეულჯერ გველაპარაკებოდნენ: თქვენ შეგიძლიათ უდიდესი ზიანი მიაყენოთ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს, თქვენ თვითონ დაიღუპებით ამასთანავე. ჩვენ არ დავუჯერეთ ამ გაფრთხილებას. შევუკავშირდით ტროცკის. ჩვენ გავხდით იმ მენშევიკების, ესერების, თეთრგვარდიელების მოადგილენი, რომელთაც არ შეეძლოთ აშკარად გამოსვლა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ გავხდით მოადგილენი ესერული ტერორიზმისა, არა რევოლუციამდელი ტერორიზმისა, რომელიც მიმართული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არამედ სამოქალაქო ომის დროის მემარჯვენე-ესერული ტერორიზმისა, როდესაც ესერებმა ლენინს ესროლეს.

ჩემი დეფექტიური ბოლშევიზმი გადაიქცა ანტიბოლშევიზმად და ტროცკიზმის გზით მივედი ფაშიზმთან. ტროცკიზმი ფაშიზმის ნაირსახეობაა, ხოლო ზინოვიევიზმი — ტროცკიზმის ნაირსახეობა.

— თქვენ დამიჯერებთ მოქალაქე მოსამართლენო, რომ ყველა იმაზე მეტი სასჯელი, რაც მე მომელის, ჩემთვის ის მომენტი იყო, როდესაც აქ ნათან ლურიეს და ოლბერგის ჩვენებებს ვისმენდი. მე ვგრძნობდი და მესმოდა, რომ ჩემს სახელს დაუკავშირებდნენ იმათ სახელს, ვინც ჩემთან ერთად იდგნენ. მარჯვნივ— ოლბერგისა, მარცხნივ კი — ნათან ლურიეს.

O

— მე დავბრუნდი პარტიაში, — ამბობს სმირნოვი, — 1929-30 წელს, და პარტიამ გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო, რათა დამხმარებოდა სწორ რელსებზე დადგომაში. მაგრამ ვერ შევძელი ნდობის გამართლება.

სმირნოვი განაგრძობს თავის სიტყვას და ამბობს, რომ უკვე 1931 წელს მან ხელახლა აიღო ბრძოლა პარტიის ხელმძღვანელობასთან.

— ეს იყო ჩემი შეცდომა, რომელიც შემდეგში დანაშაულში გადაიზარდა. ამან მაიძულა კავშირი აღმედგინა ტროცკისთან, მაიძულა კავშირი მეძებნა ზინოვიეველთა ჯგუფთან, ამან მიმიყვანა იქამდე, რომ ბლოკი შევკარი ზინოვიეველთა ჯგუფთან. 1932 წლის ნოემბრის გავენის საშუალებით ტროცკისაგან მივიღე დირექტივა ტერორის შესახებ, მივიყვანე ტერორამდე. ტროცკის დირექტივა ტერორის შესახებ გადავეცი ბლოკს, რომელშიაც შევდიოდი როგორც ცენტრის წევრი. ბლოკმა ეს დირექტივა მიიღო და დაიწყო მოქმედება.

სმირნოვი შემდეგ, როგორც წინასწარ და სასამართლოს კვლევაძიებაზე, განაგრძობს პასუხისმგებლობის უარყოფას იმ დანაშაულობებისათვის, რაც ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ტერორისტულმა ცენტრმა ჩაიდინა მისი დაპატიმრების შემდეგ.

შემდეგ სმირნოვი მოწოდებით მიმართავს ყველა თავის მომხრეს გასწყვიტონ კავშირი წარსულთან, ებრძოლონ ტროცკიზმსა და ტროცკის და აცხადებს: „ჩვენ ქვეყანას არა აქვს სხვა გზა, გარდა იმისა, რომლითაც იგი მიდის, და არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა ხელმძღვანელობა, გარდა იმისა, რომელიც ჩვენ ისტორიამ მოგვანიჭა. ტროცკი, რომელიც გვიგზავნის დირექტივებს და გზას ტერორზე და ჩვენს სახელმწიფოს განიხილავს, როგორც ფაშისტურს — მტერია, იგი ბარიკადების საწინააღმდეგო მხარეზეა და მას უნდა ვებრძოლოთ".

O

— მთელი ჩემი პოლიტიკური მსოფლმხედველობა, — ამბობს ოლბერგი, — ჩამოყალიბდა ტროცკისა და ტროცკიზმის ზეგავლენით. მე ტროცკისთან ერთად არ ვთაკილობდი არც ტერორს, არც ფაშისტებთან შეთანხმებას.

მე ვთხოვ უზენაეს სასამართლოს საშუალება მომცეს შევეცადო, ნაწილობრივად მაინც, გამოვისყიდო ჩემი საოცარი დანაშაულობანი.

O

— ჩემს საბოლოო სიტყვაში—ამბობს ბერმან-იურინი — მე არ მინდა დავიცვა თავი რომელიმე არგუმენტებით. არ არსებობს ეს არგუმენტები. მე ვაღიარე ჩემი ცოდვები. მაგრამ დაგვიანებით.

O

— აქ,—ლაპარაკობს გოლცმანი,— ბრალდებულთა სკამზე ჩემთან ერთად ზის მკვლელთა კამპანია,—არა მარტო მკვლელთა, არამედ ფაშისტურ მკვლელთა კამპანია. მე არ ვითხოვ არავითარ პატიებას.

O

— ჩემი დანაშაული ცხადია, ის დამტკიცებულია — ამბობს ნ. ლურიე — მე არ ვიცი, რა შემეძლო კიდევ მეთქვა ჩემს დასაცავად. ჩემს საბოლოო სიტყვაში მე შემიძლია მხოლოდ ვინანო იმაზე, რასაც ვაკეთებდი... მაგრამ ამაზე ძალიან გვიან ვნანობ.

თავის უკანასკნელ სიტყვაში მ. ლურიე ლაპარაკობს:

O

— არაფერი დამიმალავს, ამაში არავის შეუძლია მისაყვედუროს. პროკურორმა მოითხოვა ჩემი დახვრეტა. მაგრამ განა შეიძლება ჩემი დანაშაულის შედარება ჩემი მეთაურის დანაშაულთან?

მ. ლურიე ითხოვს მის მიმართ შემამსუბუქებელ გარემოებათა გამოყენებას.

ამით სრულდება დილის სხდომა.

23 აგვისტოს საღამოს სხდომა

თავის უკანასკნელ სიტყვაში ტერ-ვაგანიანი სავსებით აღიარებს თავის დანაშაულს საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიის წინაშე.

— მე თავს ვიხრი სასამართლოს წინაშე და ვამბობ: როგორიც არ უნდა იყოს თქვენი გადაწყვეტილება და როგორიც სასჯელიც არ იყოს განაჩენი—მე მას მივიღებ, როგორც ჩემ მიერ დამსახურებულს.

— მე მინდა დავარწმუნო პროლეტარული სასამართლო,—ამბობს ბრალდებული ფრიც დავიდი,—რომ მე ვწყევლი ტროცკის. მე ვწყევლი იმ ადამიანს, რომელმაც დამღუპა ჩემი სიცოცხლე და წამაქეზა მძიმე დანაშაულისათვის.

O

საღამოს 7 საათზე სასამართლო გადის სათათბირო ოთახში.

O

24 აგვისტოს დილის 2 საათსა და 30 წუთზე თავმჯდომარე ამხ. ულრიხი აცხადებს განაჩენს.

„წყნარ ოკეანის ურთიერთობათა" ინსტიტუტის კონფერენცია

იოსემიტი, 21 აგვისტო. იოსემიტეში (ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატი) მიმდინარეობს კონფერენცია წყნარ ოკეანის ურთიერთობათა ინსტიტუტისა, რომელიც ფორმალურად სამეცნიერო-საგამომძიებლო ხასიათს ატარებს. ამ კონფერენციაზე ორი დღის განმავლობაში უაღრესად გამწვავებულ პირობებში სწარმოებს იაპონიის ექსპანსიის საკითხის განხილვა. დიდი ყურადღება მიიპყრო იაპონელი პროფესორის ტაკაიანაგის გამოსვლამ; პროფესორმა წამოაყენა შემდეგი დებულებანი: იაპონიასა და დასავლეთს შორის წინააღმდეგობებს ადგილი აქვს მხოლოდ ვაჭრობის დარგში და იაპონიის ომი ამერიკასა და ევროპის ქვეყნებთან წარმოუდგენელია. სხვა საქმეა—აზია, სადაც ჩინეთში იაპონია ცდილობს შექმნას „სტაბილური მეგობრული" მთავრობა. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირში გაბატონებულია კომუნიზმი, რომელიც იაპონიას ემუქრება, რაც შესაძლებელს ხდის ძალების გამოყენებას ამ ქვეყნების მიმართ.

სსრ კავშირის დელეგატი ამხ. მოტილიოვი შეეკითხა ტაკაიანაგის—სთვლის თუ არა იგი ომს იაპონია-საბჭოთა კავშირის საკითხების გადაჭრის ერთადერთ საშუალებად? ამის პასუხად ტაკაიანაგიმ განაცხადა: „იაპონია მიისწრაფის ექსპანსიისაკენ მშვიდობიანი საშუალებებით, მაგრამ აზიასთან უშუალო გეოგრაფიული სიახლოვის გამო, სამხედრო ძალის გამოყენება შეიძლება აქ უფრო მოსალოდნელი აღმოჩნდეს, ვიდრე ევროპასა, ამერიკასა ან ავსტრალიაში".

იმ გარემოებამ, რომ იაპონიის დელეგატმა აშკარად ქება-დიდება შეასხა სამხედრო აგრესიას, კონფერენციის საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. თუმცა ამტკიცებენ, ტაკაიანაგი ლიბერალური პროფესორის რეპუტაციით სარგებლობსო, მაგრამ ყველასათვის გასაგები იყო, რომ იგი გამოხატავდა იაპონიის იმპერიალიზმის საომრად განწყობილი წრეების შეხედულებებს, იმ წრეებისა, რომლებიც საკმაოდ ფართოდ არიან წარმოდგენილი იაპონიის დელეგაციაში, კერძოდ პერეთა პალატის წევრის გენერალ ბანზაის აზრს.

დღეს საპასუხო განცხადებით გამოვიდა ამხ. მოტილიოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ არსებობს წინააღმდეგობანი ტაკაიანაგის შეხედულებებსა და იაპონიის მთელ რიგ ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა ოფიციალურ განცხადებებს შორის. გამოსვლა, რომელიც შეიძლება გაგებულ იქნას ომის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღის გამართლება,—სთქვა ამხ. მოტილიოვმა,— განსაკუთრებით უცნაურად გაისმის მეცნიერის, სამეცნიერო კონფერენციის მონაწილის ბაგეთაგან. მსოფლიოს დაყოფა ორ ნაწილად მკაცრად ეწინააღმდეგება შეხედულებებს მშვიდობიანობის ყველა მეგობრისა, რომელთათვისაც თანასწორობა, უშიშროება და მშვიდობიანობის განუყოფლობა აქსიომად გადაიქცა. ტაკაიანაგის მითითება ჩინეთის საშინაო მდგომარეობაზე ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სწორია აგრესიის საბჭოთა განმარტება, რომელიც გამორიცხავს მითითებებს საშინაო მდგომარეობაზე, როგორც აგრესიის გამართლებას. საბჭოთა კავშირი მსოფლიოს არ ჰყოფს ნაწილებად და ხალხებს კატეგორიებად.

საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი, — სთქვა ამხ. მოტილიოვმა,—არ იზიარებს პესიმისტურ შეხედულებას იაპონიასთან ომის ფატალისტურ თავიდაუცილებლობაზე და ფიქრობს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის არ არსებობენ ისეთი ობიექტური წინააღმდეგობანი, რომელთა გადაჭრაც შეუძლებელი იყოს. შორეულ აღმოსავლეთში ნამდვილი საფრთხე მშვიდობიანობისათვის მდგომარეობს იმ ტენდენციებსა და იდეებში, რომლებიც გამოხატულია ტაკაიანაგის გამოსვლაში და იმ მოქმედებებში, რომლებიც ამ იდეებით არის ნაკარნახევი. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას არა აქვს განზრახვა დაემუქროს იაპონიას და გამოიყენოს მის მიმართ ძალა, მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ვინმემ მოახერხოს გამოიყენოს ძალა საბჭოთა კავშირის მიმართ, ოდნავი წარმატებით მაინც".

თუ ტაკაიანაგის ასე ეშინია „კომუნისტური რევოლუციისა იაპონიაში",—აღნიშნა ამხ. მოტილიოვმა,—ეს იმას მოწმობს, რომ მას სტაბილურად არ მიაჩნია იქ არსებული წესები, თუმცა იაპონიის სხვა დელეგატები დაჟინებით გვარწმუნებენ, იაპონიის მთავრობა მტკიცეაო. კომუნიზმი და რევოლუცია—ეს საქონელი როდი არის, რომელიც გააქვთ და შემოაქვთ. კომუნიზმისადმი სიმპატიები სხვადასხვა ქვეყნებში განისაზღვრება მათი შინაური ურთიერთობებით და წინააღმდეგობებით. კომუნისტური საფრთხის მომიზეზებას ხშირად იყენებენ აგრესიის საფარად იმ ქვეყნების მიმართ, სადაც სულ სხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილება არსებობს. მაგალითად ჰიტლერი მთელი რიგი წლების განმავლობაში აცხადებს, საბჭოთა ქვეყანა — ეს გერმანიის ექსპანსიის ერთადერთი მიმართულებააო, მაგრამ პირველი შესაძლებლობისთანავე იგი დასავლეთისაკენ დაიძრა. კომუნისტურ საფრთხეზე მითითება ამოცანად ისახავს ჩამოაშოროს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი აგრესიის სხვა მიმართულებებს. ჩვენ წინანდებურად ვიცავთ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიურ სისტემათა მშვიდობიანად თანაარსებობის შესაძლებლობის პრინციპს. სსრ კავშირი გარშემორტყმულია დიდძალი კაპიტალისტური ქვეყნებით, მაგრამ სოციალური სისტემების განსხვავება ხელს არ უშლის სსრ კავშირის მშვიდობიან ურთიერთობას ბევრ ამ ქვეყანასთან. სამწუხაროდ, ტაკაიანაგიმ არ განგვიმარტა, თუ რატომ არის სოციალურ-ეკონომიურ სისტემათა განსხვავება განსაკუთრებით საშიში სწორედ იაპონიისათვის. სსრ კავშირი ყველაფერს აკეთებს, რაც კი შესაძლებელია, იმისათვის, რომ მიაღწიოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში ურთიერთგაგებას და ხანგრძლივ მშვიდობიანობას. იცის რა, რომ იაპონიაში მოიპოვებიან გავლენიანი წრეები, რომლებიც იზიარებენ ტაკაიანაგის მსგავს შეხედულებებს, საბჭოთა კავშირმა სწორედ ამიტომ მისცა იაპონიას წინადადება დასდოს თავდაუსხმელობის პაქტი.

დასასრულ ამხ. მოტილიოვმა დამსწრეთ გააცნო თავდაუსხმელობის პაქტის დადებაზე იაპონიის უარის ისტორია და ანალიზი გაუკეთა იაპონიის არგუმენტებს, რის შემდეგ განაცხადა:

„მე ერთ რამეში ვეთანხმები ტაკაიანაგის, სახელდობრ—მის განცხადებას საბჭოთა კავშირის ძალის შესახებ. ჩვენ არ ვუარყოფთ ამ ძალას. ჩვენ კარგადა ვართ დაცული. ტაკაიანაგის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა მსგავსი შეხედულებანი კვლავ ადასტურებენ, თუ წყნარ ოკეანეზე მშვიდობიანობის რა მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს სსრ კავშირის ეს თავდაცვისუნარიანობა. სწორედ ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის საზღვრები კარგად არის დაცული, ჰქმნის წანამძღვრებს არა ძალის გამოსაყენებლად შორეულ აღმოსავლეთში, არამედ, პირიქით, ომის თავიდან ასაცილებლად და სსრ კავშირსა და იაპონიას შორის მშვიდობიან ურთიერთობათა გასაუმჯობესებლად".

საბჭოთა დელეგატის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს გამოსვლა მოიწონეს ყველა სხვა ქვეყანათა დელეგაციებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ საბჭოთა დელეგატის გამოსვლის კორექტულმა და მტკიცე ტონმა გააძლიერა მისი დამაჯერებლობა. ასეთი განწყობილების აშკარა ზეგავლენით ტაკაიანაგიმ განაცხადა, რომ იგი არ გამოხატავდა იაპონიის მთავრობის შეხედულებებს, იმ მთავრობის, რომელიც მიისწრაფვის მისკენ, რომ მშვიდობიანი გზით გადასჭრას წინააღმდეგობანი, მათ შორის თევზსაჭერის პრობლემები და სანაპირო საკითხები. (ატს).

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ტაქტიკური სწავლება

მანევრების რაიონი (ჩვენი სპეც. კორ.). ამიერ-კავკასიის წითელდროშოვანი არმია საოლქო ტაქტიკური სწავლებით აჯამებს მიმდინარე წლის მუშაობას. ნაწილები მზად არიან ამ გენერალური შემოწმებისათვის, რომ ხალხისა და პარტიის წინაშე გამოამჟღავნონ თავიანთი მაღალი საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების დონე და მზადყოფნა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

უკვე ერთი კვირაა მანევრების რაიონში თავმოყრილია ოლქის თითქმის ყველა ნაწილი, რომლებიც გამალებით ემზადებიან დიდი ტაქტიკური სწავლებისათვის, სადაც უნდა აჩვენონ თავიანთი მიღწევები და ბრძოლის უნარი.

დივიზიების ტაქტიკურმა სწავლებამ, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა, გამოამჟღავნა, რომ ამიერ-კავკასიის არმიის ნაწილები მიმდინარე წელიწადს ამთავრებენ მაღალი სტახანოვური მაჩვენებლებით როგორც საბრძოლო, ისე პოლიტიკური მომზადების დარგში. სადივიზიო სწავლების დღეებში მრავალმა ნაწილმა, მებრძოლებმა და მეთაურებმა დაამტკიცეს თავიანთი მაღალი ბრძოლისუნარიანობა, ტექნიკის სრული ათვისებისა და მოხდენილად გამოყენების უნარი.

გამბედაობის, მოფიქრებული, სასარგებლო თაოსნობის მრავალი მაგალითი გამომჟღავნდა ამ დღეებში. მსროლელებით დაწყებული და სახელოვანი, მამაცი მფრინავებით დამთავრებული, ყველა მებრძოლი მზად იყო საუკეთესოდ შეესრულებინა საბრძოლო დავალება და თავისი ნაწილი ესახელებინა. ისეთ გამოჩენილ, მამაც მებრძოლთა საქმეებს და სახელს, როგორიც არის ორდენოსანი ლეიტენანტი კორკელია, ლეიტენანტი გაბარევი, სტახანოველი მეტყვიამფრქვევე ბოგაევი, ორდენოსანი ანთელიძე და მრავალი სხვა, ახლა ყველა მებრძოლი იცნობს და ყველა ცდილობს მიბაძოს ამ მოწინავეებს, აჩვენოს სიმამაცის და მოფიქრების მაგალითი.

ამ გახურებული მეცადინეობის დროს მებრძოლები გაეცნენ ცნობას და მასალებს ზინოვიევ-კამენევის ფაშისტური ჯგუფის ტერორისტული მუშაობის შესახებ. უდიდეს რისხვას და წყრომას იწვევს მებრძოლთა გულში ამ თეთრგვარდიელ არამზადათა ხროვის ბინძური საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო ჩვენი ხალხის, ჩვენი არმიის ბელადებისა და წინამძღოლების წინააღმდეგ, კერძოდ ამხ. სტალინის წინააღმდეგ, რომლის სიცოცხლისა და საქმის დასაცავად თვითეული მებრძოლი მზად არის წვეთწვეთად გაიღოს საკუთარი სისხლი. პოლიტმეცადინეობის საათებში, მიტინგებზე, თავისუფალ წუთებში მებრძოლები გამოსთქვამენ თავიანთ უსაზღვრო გულისწყრომას ამ ბანდიტების მიმართ და ერთხმად მოითხოვენ ამ ქვეწარმავალთა გაჟლეტას, მათ დახვრეტას.

— ჩვენ ვითხოვთ პროლეტარულ მართლმსაჯულებას სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა მიუსაჯოს ამ ბანდიტებს — აცხადებენ მებრძოლები.

— მტერი წინააღმდეგობას გვიწევს — იგი უნდა მოვსპოთ — აცხადებს უმცროსი მეთაური ამხ. ბერინკო. ასეთია ყველა მებრძოლის, მეთაურის საერთო აზრი, ასეთია ჩვენი სახელოვანი არმიის ნებასურვილი.

ზინოვიევ-კამენევის ავაზაკური ბანდის გამომჟღავნებასთან დაკავშირებით მებრძოლები მოუწოდებენ რევოლუციური, წითელარმიული სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერებისაკენ, საბრძოლო ტექნიკის უკეთ დაუფლებისაკენ, რომ, როცა საჭირო იქნება, მტერს თავს რისხვით დაეცხოთ და დედამიწის პირიდან აღვგავოთ.

o

მანევრების რაიონის მშრომელი მოსახლეობა აღფრთოვანებული შეხვდა ხალხის საყვარელ არმიას. ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ დროზე მიღებული ზომების შედეგად, კოლმეურნეთა ფართო მასები კარგად იცნობენ მანევრების მიზანს და ამოცანებს, სიხარულითა და საერთო აღტაცებით ხვდებიან მებრძოლებს. რაიონში შეკეთებულია გზები და ხიდები, რომლებზედაც გავლა მოუხდებათ ნაწილებს. სოფლებში, ნაწილების ადგილსამყოფელთა ახლოს, მთებშიც კი, გახსნილია კოოპერატიული ფარდულები, სადაც მებრძოლებს შეუძლიათ შეიძინონ პირველი მოთხოვნის ყველა საგანი.

სოფლებში ნაწილების გავლისას ქუჩები ივსება ხალხით. განსაკუთრებით უსაზღვროა სიხარული ბავშვებისა, რომლებიც ხშირად თავიანთი სოფლიდან რამდენიმე კილომეტრზე აცილებენ ნაწილებს. დასვენების საათებში, საღამოობით ხშირად გაიგონებთ მუსიკისა და ტაშის ხმას, რომელიც სოფელთა თავყრილობის ადგილებიდან მოდის ხოლმე. ეს — წითელარმიელები და კოლმეურნეები ერთობიან, ცეკვავენ, მღერიან და მხიარულობენ. ეს — ხალხი შეხვდა თავის ღვიძლ არმიას, ჩვენი მშვიდობიანი სოციალისტური ცხოვრების ერთგულ, საიმედო დარაჯს.

ა.-კ. სამხედრო ოლქის ტაქტიკური სწავლება. მეტყვიამფრქვევე ამხ. მირონენკო შეხიზნულია ხეზე.
ფოტო გორბატიუკისა

„ბ რ ძ ო ლ ი ს" წ ი ნ

ნაწილები დაუბრუნდნენ თავიანთ პირველსამყოფელს. სამი დღე გრძელდებოდა „გენერალური რეპეტიცია", სამი დღე ამოწმებდნენ დივიზიები თავიანთ მზადყოფნას „მტერთან" მოსალოდნელი დიდი შეხვედრისათვის.

წუხელ, ღამის წყვდიადსა და სიჩუმეში, ჩვენმა ნაწილმაც სწრაფად დასტოვა სიმაღლე, რომელიც გუშინ დილით ცხარე ბრძოლით აიღო. ნისლით დაფარულ მწვერვალზე ჰყინავდა. მებრძოლებმა უხმაუროდ აალაგეს ყველაფერი. რამდენიმე წუთის შემდეგ გზას დავადექით.

მივდივართ. ძნელია უკუნით ღამეში კაცმა გაიგნოს გზა ამ მთებში. მაგრამ აქ ფეხი როგორ დაგვიცდება, გზა როგორ შეგვეშლება! ყოველი ბუჩქი ჩვენთვის ნაცნობია, ყოველი თხემი ვაჟკაცური იერიშით და მოფიქრებული ტაქტიკით გვაქვს დაპყრობილი.

ახლა კი, ახლა ვემშვიდობებით ამ მთებს, ამ მწვანე ბუჩქნარებს, სადაც რამდენიმე დღე მხურვალე მზის ქვეშ, ღამის ნისლში და ტყის სიგრილეში გავატარეთ. ახლა უკან უნდა დავიხიოთ, შორს დავცილდეთ პოზიციებს ოდნავ შევისვენოთ და მოვღონიერდეთ დიდი „ბრძოლის" წინ.

გზა მახლობელ სოფლისაკენ გვიძევს სოფლის წინ პაწია ტყეა, ის იქნება ჩვენი დროებითი საფარი. ღამის გრილმა ნიავმა წამოუქროლა და ნისლი ადვილად გადარეკა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თავს გვადგას, მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს. რა უშავს: მიდამო ნაცნობია. სიარულს ისიც გვიადვილებს, რომ ცის მოლიბრო ტატნობზე ოთხმხრივ ენთება ხოლმე ღამის ლამაზი ცისარტყელა — ჩვენი პროჟექტორების შუქი. ისინი გზას გვინათებენ, თან სივრცეს ზვერავენ — „მტრის" თვითმფრინავები არ გამოჩნდეს და თავს არ დაესხას მოძრავ ნაწილებს.

ინათლა, როდესაც მივადექით ჩვენს საფარს. სწრაფად დავლაგდით. მებრძოლთა ჟრიამულმა, საჭურვლის ჩხარუნმა და ძახილმა გააჩმიანა მიდამო, გაახალისა ეს ჩუმი ტყე, სადაც წინათ ფოთლების შრიალსაც ადვილად გაიგონებდით. რამდენიმე ათასი კაცი ისე შეუმჩნევლად შეეფარა ამ პაწია ხეთა კრებას, რომ მოშორებით მყოფ ადამიანს ეგონება — აქ სულიერი არავინ არისო. ნამდვილად აქ მთელი დივიზია სდგას.

ხელახლა გაიჭიმა თეთრი კარვები, ხელახლა ახმაურდა საყვირი, ალაპარაკდა რადიო, პატეფონის ხმამ დასერა მიდამო. რამდენიმე საათში ყველანი დალაგდნენ, ბანაკი ისევ მიჩუმდა, სიწყნარე გაჰეფდა. ეს არის შესვენება მომავალ დიდი „ბრძოლის" წინ. თვითეული ჩვენგანი გულისფანცქალით მოელის იმ მომენტს, როცა უღელტეხილზე გამაგრებულ „მტერს" ვაჟკაცური იერიშით შევუტევთ და იქიდან განვდევნით. მაგრამ ეს ჯერ შორს არის. ეს მხოლოდ ოცნებაა და ჩვენი სურვილი. ნამდვილად კი, ვინ იცის, რა მოხდება, ვინ-ვის დასძლევს და დაამარცხებს? ამას მხოლოდ „ბრძოლა" გადასწყვეტს...

უეცრად ჩვენი ბანაკის შუაგულში ლამაზი, საბჭოთა ხუთტონიანი მანქანა შემოგოგმანდა. სტუმრები გვეწვივნენ: მომღერლები, მოცეკვავენი, მსახიობები, მემუსიკენი. ისინი მოვიდნენ, რომ ბრძოლის წინ გაართონ მებრძოლები, აქ, სიცხით დამწვარი ტრამალი ველის შუაგულში ერთხელ კიდევ გაგვაგონონ თავიანთი ტკბილი ხმა, გვაჩვენონ სხეულის პლასტიკა და ხალისით გაგვაცილონ პოზიციებზე.

ავტომობილი სახელდახელო სცენაა. ამ სცენიდან მახლობელ ველს ეფინება სალამურივით ტკბილი ხმა ვენაძისა, რომელიც ვაჟკაცურ, პათოსიან „დამისხი დამალევინეს" აკრაკებს ჩვენი მოწყურებული მებრძოლებით გაჭედილი „აუდიტორიის" წინაშე (წყალი აქ ახლო-მახლო არ არის, რამდენიმე კილომეტრიდან მოგვაქვს).

მაგრამ მალე „დასხმაც და დალევაც" ყველას გვავიწყდება, რადგან მტკვარში გადასროლილ პეპოს ბადეში აფართხალებულ თევზებს გონების თვალით ვხედავთ და აღმოსავლური ტრიოს ტკბილ სიტყვებს თარის მელოდიურ ხმასთან ერთად ვისმენთ. მოწონების მრავალ წამოძახილში, მთის ნაკადულივით მირაკრაკებს პეპოს ტკბილი სიმღერა, რომლის უკანასკნელი აკომპანიმენტი მსმენელთა ერთსულოვანი ტაშია.

სამხრეთიდან მონაბერი ნელი სიო თითქოს აგრილებს თაკარას, დაღესტნური ლეკურის მოტივი ურთიერთდება და მებრძოლებს საცეკვაოდ იწვევს. დაირა და თარი აქეზებს ბიჭებს და წრეც უეცრად კეთდება.

— ჰეი ბიჭო! ტაში, ტაში! — წამოიძახა ერთმა და სანამ ჩვენი სტუმარი მოცეკვავენი მოემზადებოდნენ ფეხის ასაწყობად, იგი უკვე შურდულივით გაიჭრა წრეში და ჩაიდა: მარდად გაუსვა და გამოუსვა. ამ მოულოდნელ მოხალისის სისწრაფემ და სიმარჯვემ საერთო სიცილი გამოიწვია. მაგარი ტაში გაეკრა ხელისგულს და მიწის მწვანე ხავერდზე სარეკლასავით ათამაშდნენ სხარტი ფეხები. მებრძოლები ცეკვავენ. სამი დღის განუწყვეტელი მოძრაობით გამოწვეული დაღლილობა მათ არ ატყვია. მათი ფეხები გამალებით მოძრაობენ და სტუმარ მოცეკვავე ქალებს ეჯიბრებიან სილამაზეში, მოქნილობაში, სისწრაფეში.

იქით, გვერდზე კლუბი გამართეს, ლოზუნგებითა და პლაკატებით მორთეს. პატეფონი „პარტიზანულის" ომახიან ხმას ჰფენს მიდამოს. ბიჭები იქაც წრე შეუკრავთ და ფირფიტის ხმას საკუთარსაც ურთავენ, მძლავრად აგუგუნებენ გამარჯვებულთა აპოთეოზის სიმღერას.

სადა ვართ? ფრონტზე თუ ოპერაში? ფრონტზეც და ოპერაშიც, მეგობრებო! ბრძოლას აქ ხალისი ახლავს, სიმამაცეს სიმღერა უფრო ამხნევებს, სახელოვან მეომრებს მოძახილი აქეზებს. ოპერაში ვართ: ცეკვა, სიმღერა, მუსიკა-ყველაფერია. მაგრამ ფრონტზეც ვართ: გუშაგები ფრთხილად სდარაჯობენ ბანაკს, თვალყურს ადევნებენ, ფხიზლობენ. და თუ საჭირო იქნება, ეს ქვემეხები ელვის სისწრაფით აგუგუნდებიან, ეს ტყვიამფრქვევები „პარტიზანულის" ბგერათა ქვეშ აკაკანდებიან და „მტერს" რისხვას და სიკვდილს გაუგზავნიან.

შესაღამოვდა, ბინდ-ბუნდი მოეფინა მთაგორებს და მინდორ-ველებს, ცეკვა, თამაში და სიმღერა მაინც გრძელდება. მხოლოდ საყვირის ხმა აჩერებს გახალისებულ მეომრებს. იგი სავახშმოდ მოუწოდებს.

შეუმჩნევლად დაილია დღე, დაღამდა. ბანაკში სიწყნარე ჩამოვარდა გვეწვია დაუპატიჟებელი სტუმარი. — ღამე. ეს უკანასკნელი ღამეა დიდი „ბრძოლის" წინ, უკანასკნელი წყნარი ღამე...

ვლ. მგალობლიშვილი.

სოფ. № 23 აგვისტო.

ჯილდო მოწინავე საბჭოებს

1935 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატების მოპოვებისათვის საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დააჯილდოვა მთელი რიგი საქალაქო და სასოფლო საბჭოები, მათი თავმჯდომარეები, სექციების ხელმძღვანელები, საბჭოს აქტიური წევრები და სხვ.

საშინაო ფონდის აღდგენისა, რკინიგზის ტრანსპორტისათვის დახმარების გაწევისა და ქალაქის კეთილმოწყობისათვის 20 ათასი მანეთის ჯილდო მიეცა ბათომის საქალაქო საბჭოს, 600 მანეთი მის თავმჯდომარეს ამხ. ჩიხვაძეს და 500 მან. საბჭოს სადეპუტატო ჯგუფის თავმჯდომარეს ამხ. მ. სტოდოლნიკოვას. აგრეთვე 400 მანეთით დაჯილდოვებულია სადეპუტატო ჯგუფის აქტიური მუშაკი ა. ცუხცაძე.

ამავე დარგში წარმატებებისათვის დაჯილდოვებულია ტფილისის საქალაქო საბჭოს საშინაო სექციის თავმჯდომარე გ. გოგიბერიძე (500 მან. რაოდენობით), ამავე სექციის წევრი მარიამ კრაკეტი (400 მან. რაოდენობით); კიროვის სახ. რაისაბჭოს პირველი სადეპუტატო ჯგუფის თავმჯდომარე ბ. გაგნიძე (500 მან. რაოდენობით) და სოხუმის ქალაქის საბჭოს სადეპუტატო ჯგუფის თავმჯდომარე ნ. აქიბა (500 მან. რაოდენობით).

სასკოლო მშენებლობისა და სკოლების საუკეთესოდ მომზადებისათვის ცოცხნარის სას. საბჭო (ბაშურის რაიონი) დაჯილდოვებულია 10 ათასი მანეთით, საბჭოს წევრი დ. გაგნიძე 300 მანეთით. სასკოლო მშენებლობაში დიდი წარმატებებისათვის აგრეთვე 10 ათასი მანეთით დაჯილდოვებულია ბლაბურხვას სას. საბჭო (აფხაზეთი).

მესაქონლეობის დარგში წარმატებებისათვის დაჯილდოვებული არიან წყალტუბოს, ზემო ალვანის და ეშერის სას. საბჭოების თავმჯდომარეები.

საგზაო მშენებლობის გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის დაჯილდოვებული არიან სილაურის სას. საბჭოს თავმჯდომარე (მახარაძის რაიონი) ქ. გოგელიძე 600 მანეთით, ფარცხანაყანევის სას. საბჭოს საგზაო სექციის თავმჯდომარე (ქუთაისის რაიონი), მამარდაშვილი 100 მანეთით. აგრეთვე დაჯილდოვებული არიან ტურავლის (ახალციხის რაიონი), ლაშის (ორჯონიკიძის რაიონი), ჩაქვის (აჭარა), გრომის (სამხრეთ-ოსეთი), კაჭარის (აფხაზეთი) და სხვა სას. საბჭოების თავმჯდომარეები და სექციების ხელმძღვანელები.

საქ. ცაკმა აგრეთვე დააჯილდოვა სამხრეთ-ოსეთის ცაკის ორგანო გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქცია 800 მანეთით, სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ჯიოევი 800 მანეთით, სამხრეთ-ოსეთის ცაკის წევრი ამხ. ჯალაგოვა 500 მანეთით, საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ყოფილი გამგე ამხ. კვირიკაძე და აჭარის ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. გაბუნია 600 მანეთით თვითეული.

◇

აზერბაიჯანელი მხატვრები

ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდნენ აზერბაიჯანელი მხატვრები, აზერბაიჯანის სახალხო მხატვრის აზიმ აზიმ-ზადეს ხელმძღვანელობით.

აზერბაიჯანელი სტუმრების მიზანია საქართველოს მხატვრებთან შეხვედრა, შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება და გამოფენის „ა.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის" — დათვალიერება.

22 აგვისტოს აზერბაიჯანელი მხატვრები ეწვივნენ საქართველოს მხატვრებს, რომლებმაც სტუმრები მიიპატიჟეს გამოფენაზე.

მონოგრაფია კ. მარჯანიშვილზე

პლ. კეშელავა მონოგრაფიას ამზადებს სახალხო არტისტ კ. მარჯანიშვილზე, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მასალები ამ შრომისათვის ნაწილობრივ წარმოადგინეს სახალხო არტისტმა მაკო საფაროვა-აბაშიძისამ (კ. მარჯანიშვილის ახალგაზრდობა და მისი პირველი გამოსვლები ქართულ სცენაზე) და განსვენებულის ძმამ ფ. მარჯანიშვილმა (მარჯანიშვილის ოჯახი, კოტეს ბავშვობა, მოწიფების წლები და სასცენო მოღვაწეობა მოსკოვსა, ლენინგრადსა, კიევსა, ტფილისსა და სხვ.).

მონოგრაფიას გამოსცემს გამომცემლობა „ფედერაცია". წიგნს დართული ექნება კ. მარჯანიშვილის პორტრეტები ცხოვრებასა და სცენაზე, სხვადასხვა როლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ტფილისში გაიმართება ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადა. ქალაქის ყველა რაიონში საბავშვო მოედნებზე მიდის სამზადისი ოლიმპიადისათვის. **სურათზე:** გოგონა ჩიხაია და სირან ეგიაზაროვა ცეკვავენ „ცხზელის".

ლაშქრობა პამირის მწვერვალების ასაღებად

ოშა, 21 აგვისტო. (რადიოთი ჩვენი კორესპონდენტისაგან). ლენინის პიკის ასაღებად წამოსული მოლაშქრეები, შუააზიის სამხედრო ოლქის შეიარაღებული მებრძოლები შეჩერდნენ უკანასკნელ ბანაკზე, რომელიც 6.200 მეტრის სიმაღლეზეა გაშენებული. 20 აგვისტოს დაიწყო ქარბუქი. იძულებული ვართ ველოდოთ გამოდარებას.

ა. ჯაფარიძე.

◇

ს პ ო რ ტ ი

„საქართველოს თასის" გათამაშება

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამჟამად მიმდინარეობს „საქართველოს თასის" გათამაშება ფეხბურთელთა გუნდებს შორის. გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ ტფილისის, ქუთაისის, ბათომის, ფოთის და სოხუმის გუნდები.

ჯერჯერობით წინ მიდის სოხუმის გუნდი, რომელმაც მოუგო ფოთს (3:2) და ბათომს (4:1).

მორიგი შეჯიბრებები „საქართველოს თასზე" გაიმართება 24 აგვისტოს. ქუთაისში თამაშობენ ქუთაისის და სოხუმის გუნდები, ხოლო ბათომში ფოთის და ბათომის ფეხბურთელები.

o

ტფილისი — როსტოვი

25 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, „დინამოს" სტადიონზე გაიმართება ფეხბურთელთა მორიგი შეხვედრა საკავშირო პროფსაბჭოს თასის გათამაშებაზე.

თამაშობენ ტფილისის და როსტოვის გუნდები. ტფილისიდან გამოდის საზ-ბა „მშენებელი" (ა.-კ. ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი), ხოლო როსტოვიდან — „ბურევესტნიკი".

თამაშს სჯის მოსკოვიდან ჩამოსული მსაჯი ამხ. იაკუშინი.

o

20 აგვისტოსათვის ფიზკულტურის ტფილისის ორგანიზაციამ, პირველმა საბჭოთა კავშირის მსხვილი ქალაქებიდან, ვადაზე ადრე შეასრულა წლიური საკონტროლო დავალება ნორმების ჩაბარებაზე ნიშნისათვის „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის". გეგმით წელს ნორმები უნდა ჩაებარებინა 6.230 კაცს, ფაქტიურად უკვე ჩააბარა 6.234 კაცმა.

ფიზკულტურის ტფილისის ორგანიზაციამ იკისრა წლის ბოლომდე დამატებით 1000 კაცს ჩააბარებინოს ნორმები „მ.შ.თ" ნიშანზე.

◇

გადარბენა შესაბმელი ძაღლებით

ხულო, 21 აგვისტო შესაბმელი სასამსახურო ძაღლებით გადარბენის მონაწილენი 19 აგვისტოს ჩამოვიდნენ ხულოში. მათ გადმოიარეს გოდერძის უღელტეხილი ყველანი კარგად არიან. გადარბენაში მონაწილეობს 10 კაცი და 11 შესაბმელი ძაღლი.

გადარბენის კომანდორი —
მაყაშვილი.

◇

მწერალთა დასასვენებელი სახლის მოწყობა

რამდენიმე წელიწადია მწერალთა კავშირის განკარგულებაში იმყოფება დ. ყიფიანისეული სახლი აგარაკ ქვიშხეთში. აქ ყოველწლიურად ისვენებდნენ მწერლები და მათი ოჯახის წევრები, მაგრამ მიმდინარე წლამდე სახლის კეთილმოწყობისათვის ცოტას ზრუნავდნენ. საჭირო იყო სახლის შეკეთება, ბაღის გაფართოვება, ეზოს შემოკავება და სხვა.

წელს ეს საქმე იკისრა საქ. ლიტფონდის გამგეობამ. ამჟამად სახლი საფუძვლიანად შეკეთებულია. აღდგენილია ბაღი, თავის ფანჩატურებით და ყვავილნარით, რაც საუკეთესო პირობას ჰქმნის დასვენებისათვის. 16 მზიანი საუცხოოდ შეკეთებული ოთახი, ყველა საჭირო ავეჯით და მოწყობილობით გადაეცა მწერალთა ოჯახებს. ამჟამად ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელ სახლში, ისვენებს 50 მწერალი და მათი ოჯახის წევრი. მოაგარაკეები უზრუნველყოფილნი არიან არა მარტო კარგი ბინით, სინათლით, წყლით და სახლის მოწყობილობით, არამედ საუცხოო სადილებით, სურსათ-სანოვაგით.

ყოველივე ეს ჰქმნის შესანიშნავ პირობებს მწერალთა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ლიტფონდის მორიგ ამოცანას შეადგენს ი. ჭავჭავაძისეულ სახლის აღდგენა და მოწყობა საგურამოში.

ბიბლიოგრაფია

კალე ბობოხიძე — „სიყვარული"

კალე ბობოხიძე—„სიყვარული"

კალე ბობოხიძე საბჭოთა მწერლების ახალგაზრდა თაობას ეკუთვნის. იგი უკვე რამდენიმე წიგნის ავტორია.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებული ლექსებით თამამად შეიძლება გავარკვიოთ მწერლის უკანასკნელი პერიოდის მუშაობა. პირველ ლექსში—„სიყვარული" ლირიკულად გამოხატულია პოეტის განწყობილებანი და შეხედულებანი სიყვარულზე, ოჯახზე და ცოლქმრობაზე. პოეტი მიმართავს ქალს. „არ მინდა მყავდე ცოლი უღელში, ვეტრფი მეგობარს და არა მონას". „სიყვარულში" მოთავსებული ლექსები გულწრფელად თქმული სიმღერებია ახალ ოჯახზე, შრომაზე, გმირობაზე, ჯანმრთელობაზე და ბედნიერ ცხოვრებაზე. თვითეული ლექსი ოპტიმიზმით გაჟღენთილია.

კალე ბობოხიძე უმთავრესად თანამედროვე თემატიკაზე მუშაობს. მისი ლექსები გამსჭვალულია საბჭოთა ლირიკის სიცოცხლით. სარეცენზიო წიგნში 33 ლექსია მოთავსებული, რომელთა უმრავლესობა დაბეჭდილია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში და შეფასებულიც არის. მაგრამ მაინც გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ზოგიერთ ლექსზე. აგილით „შავი ქალაქი", რომელიც ბაქოს ნავთის ქარხნებს ეძღვნება. ეს ლექსი იდეურად გამართულია, მაგრამ ფორმის მხრივ ვერ არის ოსტატურად გაკეთებული, ღარიბია ორიგინალური რითმებით, თემა მხატვრულად არ არის დაძლეული.

კ. ბობოხიძეს დიდი მუშაობა მართებს ლექსის ფორმის დაუფლებისათვის.

„სიყვარულში" წარმოდგენილ ლექსებიდან საყურადღებო ლექსი „მკითხველებს", სადაც ავტორი [illegible] მოდის და ესაუბრება მკითხველებს:

თუ არ მიმღერა ჩემმა მკითხველმა
რა საჭიროა თვალის გახელა.

დიახ, თუ მკითხველმა არ დაიფასა მომღერალი, მართლაც „რა საჭიროა [illegible] გახელა"!

სარეცენზიო წიგნში 1927 წლის ლექსებიც წარმოდგენილი, მაგრამ ამ პერიოდის შემოქმედებიდან ძლიერ განსხვავდება ბობოხიძის 1934-36 წლის ლექსები, შესრულებული უფრო ოსტატურად და შედარებით მაღალი გემოვნებით. ეს მოწმობს იმას, რომ პოეტი იზრდება.

კ. ბ.

◇

ტურნირი ნოტინგემში

მეთერთმეტე ტური

მეთერთმეტე ტურში შესვენებამდე, რეშევსკიმ მოუგო ლასკერს რაც მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ქულა იყო. ფლორმა გაიმარჯვა ვინტერთან და ალიოხინმა — ალექსანდრთან.

ტურის ცენტრალური პარტია კაპაბლანკა—ეიუვე, ყაიმით დასრულდა. ბოტვინიკ—ტომასის, ტეილორ—ვიდმარის და ტარტაკოვერ—ფაინის პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

მეთერთმეტე ტურის შემდეგ წინ არიან: ეიუვე+7 ერთი გადადებული უარეს მდგომარეობაში (თოიდან), ბოტვინიკი და ფაინი+6½ ერთი გადადებული თითოეული, ფლორი+6½ და რეშევსკი+6 ერთი გადადებული უკეთეს მდგომარეობაში (თერთმეტიდან).

o

დღეს, 24 აგვისტოს თამაშობენ: რეშევსკი—ბოტვინიკი, ფაინი — ალიოხინი, ალექსანდრი — ფლორი, ვინტერი — კაპაბლანკა, ეიუვე—ტეილორი, ვიდმარი—ლასკერი და ბოგოლიუბოვი—ტარტაკოვერი. თავისუფალია ტომასი.

□

ორფუთიანი საზამთროები

ქუთაისი, 20 აგვისტო. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში საზამთროსა და ნესვის უხვი მოსავალია. კოლმეურნეობებში ჰექტარიდან საშუალოდ იღებენ 22 ტონა საზამთროს და 15 ტონა ნესვს. ყველაზე დიდი მოსავალი მიიღო დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (25 ტონა საზამთრო ჰექტარიდან).

კილო საზამთრო ქუთაისში 40 კაპ. ღირს, 30 კაპ. ნაკლები გასულ წელთან შედარებით.

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობები დიდძალ საზამთროსა და ნესვს ეზიდებიან ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში, ყოველდღე ზემოსვანეთის ცენტრში—მესტიაში იგზავნება 400 კილო საზამთრო.

მიმდინარე წლის მოსავლის საზამთროები ძალიან დიდია. დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ბოსტანში იზრდება სამი ცალი ორ-ორფუთიანი საზამთრო, რომლის თესლი გამოყენებული იქნება მომავალი წლის გაზაფხულზე.

ბოსტნეული კულტურების ძველი სპეციალისტმა კოლმეურნე ი. ბარამიშვილმა განაცხადა, რომ ასეთი სიდიდის საზამთროები მას არ ახსოვს.

საკოლმეურნეო ფოტოწრემ გადაიღო გიგანტური საზამთროების სურათი. ეს სურათები გაიგზავნება მოსკოვში 1937 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

◇

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

პროპაგანდის კაბინეტი — ჯგუფური კონსულტაცია პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი სკოლების პროპაგანდისტებისათვის, თემაზე—„ბოლშევიკების პარტია სამოქალაქო ომისა და სამხედრო კომუნიზმის პერიოდში". ქართულ ენაზე, დასაწყისი საღ. 7 საათზე.

ა.-ლ.კ.კ. კაბინეტი—კომკავშირული აქტივის ჯგუფური კონსულტაცია თემაზე—„ისტორიული ცნობები ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის შესახებ". დასაწყისი საღ. 8 საათზე.

25 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ლექცია საკ. კ.პ. (ბ) ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი წრეების მსმენელთათვის შემდეგ თემაზე: პარტია და მისი ბრძოლა ოქტომბრისათვის.

დედა ელენე, ცოლი თამარი ბობეიძე, და დუსია ქმრით შალიკოთი და ბავშვებით მწუხარებით იუწყებიან

ალექსანდრე (შურა) დომენტის-ძე ბოხუას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 24 აგვისტოს 5 ს. გამოსვენება მუშთაიდის ქ. 7. (ლენინისი). 15795